# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 27 ოქტომბერი 2000 №208 (1230) | ფასი 50 თეთრი



## სტეფანია დინოზავრია!

### ნიუ იორკში შარყოფილი ქართველი ტორონტომ შეიფარა

ეს მოსალოდნელი იყო: „ნიუ იორკ ნიქსმა“ აყვანიდან ზუსტად ერთი თვის თავზე დაითხოვა ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. ჩვენებურს გაუჭირდა გუნდში არსებული დიდი კონკურენციის დაძლევა. „ნიქსი“ მხოლოდ სტეფანიას არ გამოთხოვებია — მისი ბედი კიდევ ოთხმა აწ უკვე ყოფილმა ნიუიორკელმა კალათბურთელმა გაიზიარა.

იმავე დღეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კანადური კლუბის, „ტორონტო რეპტორზის“ იუგოსლავიელმა ცენტრმა ალექსანდრ რადოევიჩმა ზურგის მძიმე ოპერაცია გაიკეთა და, სავარაუდოდ, ერთი სეზონით გამოაკლდა გუნდს. „რეპტორზმა“ ცენტრის ძებნა დაიწყო...

სტეფანიას და „ტორონტოს“ ინტერესები ოთხშაბათს საღამოს გადაიკვეთა — ქართველი კალათბურთელი კანადურ კლუბში ჩაირიცხა. ვლადიმერი ახალ გუნდს შეუერთდა შარლოტში, სადაც „რეპტორზი“ ბოლო საგამოფენო მატჩს ატარებდა იქაური „ჰორნეთსის“ წინააღმდეგ. შეხვედრის დაწყებამდე ორიოდ საათით ადრე გარეპტორზებულ სტეფანიას არ უთამაშია, თუმცა ახალი გუნდის სათამაშო ფორმაში გამოწყობილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

„რეპტორზს“ სჭირდება სტეფანია: ამჟამად ტორონტოელებს ორი ჯანმრთელი ცენტრი ჰყავთ — 38 წლის ვეტერანი კევინ ვილისი და ახალბედა გარტ ჯოზეფი. რადოევიჩის მსგავსად დაშავებულია 25 წლის მაიკლ სტიუარტი, რომელმაც მუხლის ოპერაცია გადაიტანა.

სტეფანიას სჭირდება „რეპტორზი“: „სიეტლისა“ და „ნიუ იორკისგან“ განსხვავებით, აქ არ არის ძლიერი და მაღალანაზღაურებადი წინა ხაზი. ამდენად, ვლადიმერს მოედანზე ყოფნის მეტი საშუალება ექნება. დღე-დღეზე დასაწყებ სეზონში კარგი თამაში კი ქართველი კალათბურთელის მომავლისთვის მეტად მნიშვნელოვანია — ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება და თავისუფალი აგენტი ხდება. ახალი, სარფიანი ხელშეკრულების გასაფორმებლად კი წინა სეზონში რიგიანი თამაში აუცილებელია.

„დინოზავრებში“ (ასე ითარგმნება „რეპტორზი“) 24 წლის სტეფანიას თანაგუნდელები იქნებიან: ნბა-ს სუპერვარსკვლავი ვინს კარტერი, აგრეთვე ჩამქრალი, მაგრამ გამოცდილი ვარსკვლავები მაგსი ბოგსი, მარკ ჯეკსონი, ჩარლზ ოკლი და სხვები. „ტორონტოს“ კი ლენი ვილკენსი წვრთნის, კაცი, რომელსაც ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩი მოუგია.

„ტორონტოს“ საგამოფენო შეხვედრა აღარ ექნება. 31 ოქტომბერს იგი სეზონის გახსნის მატჩში შინ, „ეარ კანადა ცენტრში“ უმასპინძლებს „დეტროიტ პისტონზს“.

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## 10 ტური

25 ოქტომბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| გორდა | 1 |
| სიონი | 2 |
| მერანი | 1 |
| ბათუმი | 1 |
| იბერია | 0 |
| დინამო | 5 |
| თსუ | 0 |
| ტორპედო | 1 |

26 ოქტომბერი, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| კოლხეთი | 1 |
| დილა | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 10 | 0 | 0 | 18:2 | 30 |
| ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 22:6 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 15:5 | 20 |
| დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 19 |
| სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9:9 | 13 |
| მერანი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| კოლხეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 11:13 | 12 |
| გორდა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:16 | 11 |
| ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:14 | 10 |
| თსუ | 10 | 3 | 1 | 6 | 12:19 | 10 |
| დილა | 10 | 2 | 2 | 6 | 8:18 | 8 |
| იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 1:20 | 1 |

## 38 მეტრიდან!

### კოლხეთს ვიტ ჯორჯიასთან ქუნთელიას შორეულმა გოლმა მოაგებინა

სტუმართათვის სახეირო ოთხშაბათს ხუთშაბათიც მათთვის სასარგებლო მოჰყვა. „კოლხეთში“ სოსო ფილიას დაბრუნების შემდეგ ფოთელები უკვე მესამე თბილისურ გუნდს ეწვივნენ და როგორც იქნა, შინ გამარჯვებული გაბრუნდნენ. კოლხები „არმაზის“ ტალახში ნაპოვნ ამ ძვირფას სამ ქულას მცველ გოგიტა ქუნთელიას უნდა უმადლოდნენ, რომლის 38 მეტრიდან დარტყმულით ათგაფრთხილებიანი მატჩის ერთადერთი გოლი გავიდა.

„ლოკომოტივმა“ რომ გორში მოგება შეძლო, ეს რკინიგზელი თავდამსხმელის მამუკა რუსიას დამსახურებაა. რუსიამ თავური ხომ გაიტანა და, საკუთარი, ცარიელი კარიც გადაარჩინა საპასუხო გოლს.

ხუთი მოგება და ერთი ფრე — ასეთია მეათე ტურში სტუმართა მონაგარი.

იხილეთ მესამე გვერდი



გუშინდელი „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთი“: 38 მეტრიდან გოგიტა ქუნთელიას დარტყმული ბურთი მირზა მერლანს გასცდა და... 0:1

## ჯანაშია გამოვიდა, არველაძე შევიდა



რაიო ვალეკანო — ვიბორგი 1:0. მასპინძელ მინგოსა და სტუმარ მორტენ პოულსენის (№2) შეყრა ესპანელისთვის მტკივნეული გამოდგა

UEFA CUP

ჩემპიონთა ლიგასთან უეფას თასი, აბა, რა მოსატანია, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ ორი ჩვენებურის გუნდი თამაშობს. გუშინ თავი არცერთს გამოუჩენია — ჯანაშია მე-80 წუთზე შეცვალეს, ტრავმამოშუშებული შოთა არველაძე კი გუნდს 64-ე წუთზე შეუერთდა. „ლოკომოტივმა“ მოსკოვში 1:0 მოიგო, ამსტერდამის „აიაქსმა“ კი ლოზანაში ამავე ანგარიშით წააგო, თუმცა, რომელი შედეგი სჯობს, ორ კვირაში გამოჩნდება.

სხვა რაღა... ჰო, მილანის „ინტერმა“ კვლავ ვერ მოიგო.

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA CUP

## უეფას თასი. II ეტაპი.
## პირველი მატჩები. 26 ოქტომბერი

ვისლა (პოლონეთი) 0:0 პორტუ (პორტუგალია)

ტიროლი (ავსტრია) 1:0 შტუტგარტი (გერმანია)
1:0 მაირი (54)
გაძევება: ტოდტი (30, შტუტგარტი), ბაური (89, ტიროლი)

ლოკომოტივი (რუსეთი) 1:0 ინტერი (სლოვაკეთი)
1:0 ლოსკოვი (38პ)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, დროზდოვი, ევსეევი, პაშინინი (ჩერევჩენკო 42), ჩუგაინოვი, სარქისიანი, სენნიკოვი, ჯანაშია (ტერიოხინი 80), ლოსკოვი, მამინოვი (ხარლაჩევი 61)
მწვრთნელი: იური სიომინი
7 000 მაყურებელი

ლილესტრიომი (ნორვეგია) 1:3 ალავესი (ესპანეთი)
0:1 იბონ ბეგონია (2), 0:2 ტელიესი (22), 0:3 კონტრა (47), 1:3 შელანდი (84)

ნანტი (საფრანგეთი) 2:1 მტკ (უნგრეთი)
0:1 ილეში (28), 1:1 ზიანი (63), 2:1 ჟილე (73)

ჰერტა (გერმანია) 3:1 ამიცა (პოლონეთი)
1:0 პრეეცი (8), 2:0 ბაინლიხი (46), 3:0 რაისი (65), 3:1 პისკულა (88)

პარმა (იტალია) 2:0 დინამო (ხორვატია)
1:0, 2:0 ამოროზო (61, 78)

აეკ (საბერძნეთი) 5:0 ჰერფიოლგე (დანია)
1:0, 2:0 ნიკოლაიდისი (48, 53), 3:0 ზიკოსი (61), 4:0, 5:0 ნიკოლაიდისი (64, 75)

ოფი (საბერძნეთი) 2:2 სლავია (ჩეხეთი)
0:1 ნეკაში (30), 1:1 კოლიციდაკისი (42), 1:2 რადა (70), 2:2 მაურო სილვა (78)

ლოზანა (შვეიცარია) 1:0 აიაქსი (ჰოლანდია)
1:0 მაცონი (38)
აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ (მ. არველაძე 64), პასანენი, კნოფ, ბერგდოლმო, იკედია, გალაშეკი, ვან დერ ვაარტი (იაკუბუ 64), ვინტერი, მახლასი, ვამბერტო
მწვრთნელი: კო ადრიანსე
11 500 მაყურებელი

ბაზელი (შვეიცარია) 1:2 ფეიენოორდი (ჰოლანდია)
0:1 კალუ (60), 1:1 ჩუგა (62), 1:2 ბოსველტი (84)

ჰალმსტადი (შვედეთი) 3:2 მიუნხენ 1860 (გერმანია)
1:0 სვენსონი (13), 2:0 სელაკოვიჩი (34), 2:1 მაქსი (35), 2:2 ჰესლერი (37პ), 3:2 რ. ანდერსონი (56)

ბრიუგე (ბელგია) 2:1 სენტ გალენი (შვეიცარია)
0:1 ამოა (28), 1:1 ლემბი (53პ), 2:1 ვერმანტი (76პ)

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:0 სელტა (ესპანეთი)
1:0 დრულიჩი (62)

ბორდო (საფრანგეთი) 1:1 სელტიკი (შოტლანდია)
1:0 დიუგარი (22), 1:1 ლარსონი (24პ)

ინტერი (იტალია) 0:0 ვიტესი (ჰოლანდია)

რაიო ვალეკანო (ესპანეთი) 1:0 ვიბორგი (დანია)
1:0 კვედო (18)
გაძევება: პოშნერი (51, რაიო ვალეკანო)

ლივერპული (ინგლისი) 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 ჰესკი (87)

ესპანიოლი (ესპანეთი) 4:0 გრაცერი (ავსტრია)
1:0 ტამუდო (15), 2:0 გალკა (20პ), 3:0, 4:0 სერხიო (30, 45)
გაძევება: აკოტო (26, გრაცერი)

ბოავიშტა (პორტუგალია) 0:1 რომა (იტალია)
0:1 მონტელა (74)
გაძევება: ჟოზე როჟერიუ (42, ბოავიშტა)



ბაზელი — ფეიენოორდი 1:2. კრისტიან გიანი და როტერდამელი ფელიციანო მაგრო


ცრვენა ზვეზდა — სელტა 1:0. ვიგოელი გორან ჯოროვიჩი თვისტომს და სეხნიას დრულიჩს გაექცა



პარმა — დინამო 2:0. ხორვატი რენატო ფილიპოვიჩი და პარმელთა არგენტინელი მატიას ალმეიდა


ნანტი — მტკ 2:1. მასპინძლებს გამარჯვება ნიკოლა ჟილემ მოუტანა



ლივერპული — ლიბერეცი 1:0. პიოტრ იოჰანა (№14) თანამემამულე პატრიკ ბერგერთან ვერაფერს გახდა


ლოზანა — აიაქსი 1:0. მასპინძელთა კარს ნიკოს მახლასი უტევს

## აზიის თასი
### ნახევარფინალი

**სამხრეთ კორეა 1:2 საუდითი**
0:1, 0:2 ალ მეშალი (76, 80), 1:2 დონგ გუკი (90)

**იაპონია 3:2 ჩინეთი**
1:0 ფან ჟიი (21ს.კ.), 1:1 კი ჰონგი (30), 1:2 ჩენ იანგი (48), 2:2 ნიშიზავა (53), 3:2 მიოჯინი (61)

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
10 ტური

# შორი გოლის ორდღიური

მცხეთა
26 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
400 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 0:1 კოლხეთი**

0:1 ქუნთელია (16)
ვიტ ჯორჯია: მერლანი, ჭანკოტაძე, საჯაია, ჯ. მუჯირი (ყიფიანი 78), კობიაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, დეკანოსიძე (ინწკირველი 66), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; დ. დოლიძე, ზ. გვაზავა, თაყაძე, სულთანიშვილი
კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, გ. ჩიტაია, ქუნთელია, გოროზია, ღალანიძე (აკობია 89), ახალკაცი, კიკლიაშვილი, კვირკველია (კრასოვსკი 46), ე. გვასალია (თედეევი 88), ხუჭუა
სათადარიგონი: ჩემია; შავგულიძე, ბურკვაძე, ქანტურიძე
გაფრთხილება: დეკანოსიძე (20), მელქაძე (30), მ. გვასალია (50), კრასოვსკი (51), კიკლიაშვილი (53), ჭანკოტაძე (53), ხუჭუა (63), გოროზია (67), ყიფიანი (79), ახალკაცი (82)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

**ვახტანგ ზზიკაძე მცხეთიდან**

— პენალტი! ჯარიმა! ეგ, რა ჯარიმაა! არ გააფრთხილო, მესამეა! მაგათ რატომ არ აფრთხილებ! შენს ყვლას ბალიშის ქვეშ ხუთასლარიანები! შე, ასეთო! შე, ისეთო! და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი „ჰკა მაგათ!"

გუშინ მცხეთის „არმაზზე" სულ ოთხასიოდე კაცმა უცქირა „ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთის" ნერვებადქცეულ დაპირისპირებას და თითოეული რეპლიკა ისე ისმოდა, როგორც რეპროდუქტორში ნათქვამი.

ადრესატი უმრავლეს შემთხვევაში არბიტრი პაატა დოგრაშვილი იყო, იშვიათად რომელიმე თანამსაჯიც. მსაჯები, მეტადრე დოგრაშვილი, გუშინ მართლაც ვერ გაერკვნენ რამდენიმე ეპიზოდში, მაგრამ ეს მიკერძოებით არ მოსვლიათ და არც ისეთი უპატიებელი ცოდვა დაუდვიათ, როგორსაც მასპინძელთა ქომაგები და საპატიო სტუმართა ლოჟაში მსხდარნი თუ მდგომნი ჰკიდებდნენ.

„ვიტ ჯორჯია" მსაჯობაზე მეტად სწორედ იმ პანიკურმა ატმოსფერომ აზარალა, რომელიც პირველი ნახევრის შუაწელიდან შეიქმნა და საფინალო სასტვენამდე საშველი არ მისცა არც მსაჯს, არც სტუმარს და არც მასპინძელს.

ატმოსფერო კი კოლხი გოგიტა ქუნთელიას უშორესმა გოლმა და ზედიზედ ორი ვიტელის გოლსმოყოლილმა გაფრთხილებამ დაძაბა.

დოგრაშვილმა მასთან მოკამათეთა დაშოშმინება ყვითელი ბარათით სცადა, მაგრამ წამალს უკურეაქცია ჰქონდა და მისი გამოყენება კიდევ რვაჯერ დასჭირდა.

გოლი მართლაც ბრაზისმომგვრელი იყო — კუთხურიდან ღალანიძის ჩაწოდებული ბურთი ტრავმამოშუშებულმა მირზა მერლანმა შორს კი მოიგერია, მაგრამ კარის პირდაპირ, სადაც ცენტრალურ რგოლს 3-4 მეტრით გადამცდარმა გოგიტა ქუნთელიამ მარჯვენა შეაგება და ნახტომში გაჭიმულ მერლანს ცხრიანი შეუბღალა.

ვინც მერლანს ასეთი დარტყმულის აღებას მოსთხოვდა, სრულ ჭკუაზე ვერ იქნებოდა, მაგრამ მოგერიებული კი ნამდვილად ვერ გამოუვიდა უნაკლო.

შორი გოლის ორდღიური — ასეთი იყო შუა კვირა მცხეთაში. გუშინწინ თსუ-ს ტორპედოელმა მალხაზ ასათიანმა გაუტანა საჯარიმოს გარედან, გუშინ კი მასზე შორიდან ქუნთელიამ, „ვიტ ჯორჯიას".

ისეთ ტალახში, „არმაზზე" ორ დღეს რომ იზილებოდა, სხვაგვარი გოლი წარმოუდგენელიც კი იყო.

საპირველტაიმო ვნებები ბოლო ხუთ წუთში გაცვლილი საგოლე შანსით დასრულდა.

ჯერ ხუჭუა საჯაიას გაექცა, მაგრამ მისი ჩაწოდებულის ვარდნაში გატანა ღალანიძეს ჯაბა მუჯირმა არ დაანება.

მერე კიკლიაშვილმა ტალახიანი ბურთი თავით უნებურად მელქაძისკენ მოიგერია, მაგრამ თავდამსხმელმა დარტყმა დააყოვნა, საჯარიმოს სიღრმეში შეიწია და რაკი კუთხე შეიმცირა, კარს ველარ დაუმიზნა.

შესვენებამდე და ამ ეპიზოდებამდე ერთი სახიფათო მომენტიც იყო, თუმცა ნაკლებმწვავე — გოჩაშვილის მოპოვებულ კუთხურზე კობიაშვილმა დაარტყა მამუკა გვასალიას კარსზემოთ.

კობიაშვილივე მეორე ტაიმის დასაწყისში კარგა ხანს იყო ყურადღების ცენტრში. თამაშის განახლებისთანავე ვიტელ მცველს ჰაერში შეეჯახა ხუჭუა და ისე დააშავა, მოედანს სამი წუთის მერელა დაუბრუნდა, მაგრამ დაუბრუნდა და საგოლე მომენტი შექმნა — მარჯვენა ფრთაზე გაჭრილმა შორეულ, მარცხენა ძელთან მელქაძეს ჩაუწოდა და მის თავურს მამუკა გვასალია დაუხვდა ადგილზე.

პრეტენზიები ახლა ფოთელებისა გენახათ — რა შეშვებაა, ბიჭო, ეს?

მართლებიც იყვნენ, კობიაშვილი, წესისამებრ, ცენტრალურ ხაზთან კი არა, მოშორებით, იქ შევიდა, სადაც ბურთი იყო. ესეც მსაჯთა, პირველ რიგში კი სათადარიგო არბიტრის შეცდომა.

სიტუაცია კიდევ ერთხელ მაშინ დაიძაბა, როცა არბიტრმა ფოთელთა საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან სახიფათო საჯარიმო დანიშნა გიორგი ქორიძის საეჭვოდ წაქცევისთვის. საეჭვო და გაურკვეველი კი ქორიძის წაქცევის მიზეზი იყო — მას თითქოს არავინ შეხებია.

ამ ეპიზოდს საქმის გარჩევა და ერთმანეთზე გაწევა მოჰყვა — „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი გიორგი ჭანკოტაძე, რომელსაც უკვე მერამდენედ ავიწყდება, სამუდამოდ დისკვალიფიცირებული რომ იყო, ლამის მამისტოლა თამაზ კიკლიაშვილს გაექაჩა. კოლხთა ვეტერანმა ჭანკოტაძეს თავი არ გაუტოლა და არ აჰყვა, მაგრამ დოგრაშვილმა ყვითელი მაინც წყვილად ააფრიალა.

როგორც იქნა, გოჩაშვილმა საჯარიმოც დაარტყა, მაგრამ ფოთელებმა მოიგერიეს და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა ედიკ საჯაიამ, რომელსაც გატანის ჩინებული შანსი ჰქონდა, შეტევა ისევე არაზუსტი დარტყმით დაასრულა, როგორც ერთ წუთში მელქაძემ.

მეორე ტაიმის შუაში ვიტელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ შეცვლებით სცადა ფონს გასვლა, მაგრამ უცნაური გადაწყვეტილებები არ გამოადგა.

ნახევარმცველ დეკანოსიძის ნაცვლად შესული მცველი ინწკირველი და თორმეტ წუთში მცველ მუჯირის შემცვლელი ნახევარმცველი ყიფიანი წრეგადასულ კამათს მოუნდნენ და ისედაც დაძაბული გუნდი უფრო აწეწეს.

ამ შეცვლებს შორის მასპინძლებს ერთი მომენტი კიდევ ჰქონდათ — კუთხურისას მამუკა გვასალიამ ჭანკოტაძის დარტყმული მოიგერია.

ბოლოს კოლხებმაც გამოაღწიეს საკუთარ საჯარიმოდან, მეტოქეს მიუხდნენ, მაგრამ მერლანი ჯარიმიდან კიკლიაშვილის ჩაწოდებულზე ელდარ გვასალიას თავურს გაუმკლავდა.

წამატებულ 3 წუთში ვიტელები სტუმართა საჯარიმოში ისე წაქცევას ლამობდნენ, მსაჯს პენალტი დაენიშნა, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე და სოსო ფილიას ბოლოსთვის მოტოვებული ორი შეცვლით დარჩენილი დროც თვალსა და ხელს შუა გავიდა.

ათი გაფრთხილება, ტალახი, მსაჯთა შეცდომები და ნერვული სიტუაციაა. მატჩი ორთაბრძოლებით დატვირთული და ემოციური გამოდგა.

„ვიტ ჯორჯიამ" მოახერხა მეორე ტაიმში კოლხთა საკუთარ საჯარიმოში გამოკეტვა, მაგრამ „კოლხეთმაც" შეძლო არგაშვება და ამ შეტევების მოგერიება. სტუმრებს დიდად შეეშველათ თავდასხმაში გაუჩერებელი დავით ხუჭუას გასაოცარი აქტიურობა. მასპინძლებმა კი, მე თუ მკითხავთ, კიდევ ბევრი შეძლეს — მათ რომ ჭკუის მასწავლებელი ჰყავთ, მაგდენი „ბარსელონას" არ ეყოლება.

გუშინდელ მატჩს „ვიტ ჯორჯიას" საკვირაო მეტოქის მთავარმა და საქართველოს ნაკრების თანამწვრთნელმა დავით ყიფიანმა უცქირა.

„არმაზს" და უმცროს ყიფიანს, ლევანს, მის გარდა სხვა სტუმარიც ჰყავდა.

„ბათუმის" ყოფილი მწვრთნელი იტალიელი ჯანი კარნევალი ამ ცოტა ხნის წინ ვიტელთა შესაძლო თავკაცად დასახელდა და ამის თაობაზე მოლაპარაკება რომ იყო, ეს არც „სარბიელთან" ორი კვირის წინანდელი საუბრისას დაუფარავს.

მაგრამ ახლა მისი ჩამოსვლის ოფიციალური ვერსია სხვაა — კარნევალი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებისთვის იტალიური შეკრების და სპარინგ-პარტნიორთა გამოძებნის ორგანიზებას კისრულობსო — გვითხრა სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის თააკაცმა ლევან ყიფიანმა.

თუმცა, ეს, ალბათ, არ ნიშნავს, რომ თუ ვიტელებს მისი დასაქმების სურვილი ექნათ, ეს ხელს შეუშლის.



გუშინ მცხეთაში: კოლხმა დავით ხუჭუამ (№8) მთელი მატჩი არ მოასვენა თენგიზ კობიაშვილი და სხვა ვიტელი მცველები

# რუსიას გატანილ-გამოტანილი

გორი
26 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:1 ლოკომოტივი**

0:1 რუსია (9)
დილა: სოლოლაშვილი, აკოფიანი, გაგნიძე, გრიგალაშვილი, ლომიძე (ეჯოშვილი 79), ლ. გოჩაშვილი, ხოხობაშვილი, რევაზიშვილი, კოტორაშვილი (ციცქიშვილი 46), ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე
სათადარიგონი: მდივანი; საყვარელიძე, მ. მაისურაძე, მ. ბურნაძე, გ. ტულუში
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი, ძოწუაშვილი (პარამონოვი 46), გოგშაროვი, რუსია
სათადარიგონი: ივარდავა; გილაური, თ. აფციაური, დ. არჩვაძე, გ. შენგელია, დავითაშვილი
გაფრთხილება: გოჩაშვილი (25)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**გორის** „დილამ" ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტთან ბოლომდე კი იბრძოლა, მაგრამ რკინიგზელთა მიერ შეხვედრის დასაწყისში გატანილ გოლს ვერაფრით უპასუხა და საბოლოოდ 0:1 დამარცხდა.

ცუდი დროება უდგას „დილას". თითქმის ყველა სათამაშო რგოლში პრობლემები მორევია. ასეთი სუსტი გუნდიც არასდროს ჰყოლიათ გორელებს. ეს ხომ თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესია.

ახალი მწვრთნელის, ვაჟა ხაჩირაშვილის მიერ შეგულიანებული გუნდი შთამბეჭდავად განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოიყურებოდა, მაგრამ „დილას" ბევრი აქვს დასახვეწ-საშრომი, ამას კი დრო სჭირდება და მხოლოდ თავდადება ვერ უშველის.

მატჩის პირველი ტაიმი „ლოკომოტივისა" იყო. რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებმა თავიდანვე სიფრთხილე კი გამოიჩინეს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე როდი იზრუნეს და საწადელიც მალევე აისრულეს.

საგოლე შეტევა რკინიგზელთა გორელმა მცველმა, გიორგი ბალაშვილმა დაიწყო. ვინ იცის, აქამდე რამდენჯერ გაჭრილა გორის „ცენტრალურის" მარჯვენა ფლანგზე გიორგი. ეს ყველაფერი მან ერთხელაც გაიმეორა. დამხვდურმა გოჩაშვილმა მას ხელი ვერ შეუშალა და ბალაშვილმაც ბურთი მეკარის ბაქანსა და საპენალოს შორის ჩააწოდა. ხვიჩა გაგნიძე მას ვერ მისწვდა, აკოფიანს კი სტუმართა შორის საუკეთესომ, მამუკა რუსიამ დაასწრო და თავით თავისი მორიგი გოლი გაიტანა.

ამის შემდეგ თამაში „ლოკომოტივის" სურვილით წარიმართა. „დილამ" შუა ხაზში პოზიციები დათმო. ფეხმტკივანი კოტორაშვილი მეტოქეს აშკარად დაეჩაგვრინა, ხოლო ლომიძე მთლად უსუსური იყო. მასპინძელთა ყველაზე სუსტმა რგოლმა, თავდასხმამ კი ლომაიას სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ ვერ დაურტყა და მაშინაც რუსიამ იხსნა სტუმრები. ცარიელი კარიდან ბურთი თავით გამოიტანა.

რკინიგზელებმა შესვენებამდე ერთი გოლიც გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა სანაიამ არ ჩათვალა. არბიტრს დარტყმამდე ტაიმის დამთავრებისა ჩაესტვინა. მსაჯს მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ვუსაყვედუროთ, როგორც კი გოგიჩაიშვილმა ჯარიმიდან ჩააწოდა, მან მომენტს ზურგი შეაქცია და დამთავრების ნიშანი ისე ამცნო საფეხბურთო აუდიტორიას.

შესვენებაზე ძოძუაშვილმა თავისი მოგვარე თავდამსხმელი პარამონოვით შეცვალა და მეორე ტაიმში კონტრშეტევებზე ააწყო „ლოკომოტივის" ტაქტიკა. ხაჩირაშვილმა ფეხმტკივანი კოტორაშვილის ნაცვლად ვეტერანი ციცქიშვილი გამოუშვა და „დილას" შეტევა უბრძანა.

საგოლე მომენტი ორივე გუნდმა შექმნა, მაგრამ უფრო რეალური — „დილამ". ეს მაშინ, როცა ხმალაძის დარტყმული ლომაიამ დიდებული ნახტომით კუთხურე მოიგერია.

აქეთ სოლოლაშვილმა თავგანწირული ნახტომით გააუვნებელა გოგიჩაიშვილის სახიფათო გარღვევა.

ბოლოსკენ ემოციებმაც იძალეს. მოწინააღმდეგეები ერთმანეთის ფეხებს არ უფრთხილდებოდნენ და ვნებათაღელვამაც თითქმის პიკს მიაღწია, მაგრამ ზღვარს არც სტუმარი გადასულა და არც მასპინძელი.

**მატჩის შემდეგ**

***რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი:***

„დილამ" დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. დაძაბულობა თამაშს არ მოჰკლებია და ანგარიშში უპირატესობის მოპოვების შემდეგ კონტრშეტევებზე თამაში ვარჩიეთ. ორ-სამ მომენტში ჩემს ფეხბურთელებს სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ალბათ კიდევ გავიტანდით.

***ვაჟა ხაჩირაშვილი, „დილას" მთავარი მწვრთნელი:***

წავაგეთ და ამას თავისი ობიექტურ-სუბიექტური მიზეზები გააჩნია. სათქმელს ფეხბურთელებს ვეტყვი, დანარჩენი თავადაც ნახეთ, ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში ბევრიც არაფერი დაგვითმია. ერთი კვირაც არაა, რაც მწვრთნელად დამნიშნეს და ვითარებაში გასარკვევად დრო მეც მჭირდება.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი პირველი წრე 10 ტური

# ქართული ვედრება
## ღმერთო, გვაშორე სეტყვა რთვლამდე და წვიმა თამაშამდე


გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია“ — „კოლხეთი“ 0:1. კოლხი ნიკოლოზ ახალკაცი (მარცხნივ) და ვიტელი ჯაბა მუჯირი

**ერთი** ტურიც და უკან დარჩება უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის მეოთხედი. თორმეტგუნდა პირველობის ავკარგიანობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ერთის თქმა შეიძლება, მატჩების რაოდენობის შემცირება ხარისხს დიდად არ დასტყობია. ჯერჯერობით ერთადერთი, რაც შემცირებულ ჩემპიონატს აქტივში ჩაეთვლება, დაძაბულობაა, ეს კი არცთუ უმნიშვნელოა.

მართალია, ჩვენი შინაური პირველობის მატჩების შედეგების წინასწარ განჭვრეტა დიდ პრობლემას კვლავაც არ წარმოადგენს, მაგრამ ამ თამაშების მნახველი ძნელად თუ იტყვის ვინმე, ბრძოლა არ მინახავსო. ბრძოლა კი ყოველთვის ბადებს ინტერესს და ვნახოთ, ამ მხრივ რა ხდებოდა მეათე ტურში.

საშუაკვირო, ორ დღეს გაწელილი ტური ცოტათი გაუფერულდა კიდეც, რადგან გადაღლილ გუნდებს წვიმა შეუხვდათ, წვიმა კი ჩვენი სტადიონებისთვის კახეთში რთველის წინ სეტყვის ტოლფასია.

ოთხშაბათის მატჩებიდან მშრალ მოედანზე ერთადერთი შეხვედრა გაიმართა. ხაშურში სამტრედიულმა „იბერიამ“ ათგზის ჩემპიონ „დინამოს“ უმასპინძლა. ხუთშაბათს კი გორში „დილამ“ უმასპინძლა „ლოკომოტივს“ მშრალად.

მტერს არ უსურვებს კაცი, ისეთ დღეშია ერთ დროს დალხინებული „იბერია“. სოსო ფრუიძის, გუნდის მთავარი მწვრთნელის მონდომება და ენთუზიაზმი მართლაც რომ გასაოცარი და გამოსარჩევია — დღემდე წვალებით მოჰყავს ფრუიძეს უპატრონოდ და უსახლკაროდ დარჩენილი გუნდი.

— რა ვქნა ამ მდგომარეობას ახალგაზრდების ნიჭს ვერ ვანაცვალებ, სანამ შემეძლება, ბიჭების გვერდით ვიდგები — გვითხრა მატჩის წინ წინასწარ მარცხს შეგუებული, დაღლილი სახით ფრუიძემ.

სამტრედიელები რომ მართლაც ნიჭიერები და მონდომებულნი არიან, ეს მატჩმაც ცხადყო. „დინამო“ 52 წუთი ამაოდ დაშვრა „იბერიას“ კარის გასაღების ძებნაში. 10-15 წუთიც რომ გაეძლოთ მასპინძლებს, მეტოქე საბოლოოდ განერვიულდებოდა, მაგრამ ათგზის ჩემპიონმა საოცარი მიზანდასახულობა და მკაცრი დისციპლინა გამოავლინა. არველაძის გუნდი მეთოდურად უჭერდა მარწუხებს მეტოქეს და ლოგიკურად მივიდა პირველ გოლამდე, პირველს მეორე და მასპინძელთა დაღლა მოჰყვა, „დინამომაც“ ფრთები გაშალა და აუღელვებლად მიიყვანა საქმე დიდი ანგარიშით გამარჯვებამდე.

გუშინწინ „გრიგოლ ჯომართიძეზე“ ერთი ემოციური კაციც იყო. დინამოელთა მთავარი მწვრთნელი რევაზ არველაძე მოედანზე არ შესულა, თორემ თავისი გუნდის სული და გული იყო. ზედ დასაშვებ ხაზთან მდგომი, ენერგიულად მოუწოდებდა თავისიანებს, მითითებებს, შენიშვნებს აძლევდა, ფეხბურთელთა მცირე შეცდომის შემთხვევაში კი განწირულად ყვიროდა. გარწმუნებთ, ნამატჩევს ფეხბურთელებზე ნაკლებ დაღლილი არ ყოფილა, თუმც, ბუნებრივია, თავისი გუნდის გარჯით ერთობ კმაყოფილი დარჩა.

— „იბერიას“ დაძაბულ ბრძოლაში ვძლიეთ, სამი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ მთელი ჩემი ფიქრები უკვე „გორდასთან“ მატჩს დასტრიალებს“ — ეს სიტყვები გვითხრა „სიონის“ მთავარმა მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ მეცხრე ტურის ბოლნისური მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე. ვერაფერს იტყვი, მართლაც ბევრი და შედეგიანად უფიქრია არჩვაძეს, მისმა გუნდმა ახალი ისტორიული ფურცელი ჩაიწერა და როგორც იქნა, სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდა რუსთავიდან.

ბოლნისელთა ჟინისა და გაქანების ამბავი ბევრისთვის ცნობილია, მაგრამ „ფოლადზე“ რუსთაველები მეთორმეტე ეროვნულ ჩემპიონატში გუშინწინდლამდე არ დამარცხებულიყვნენ და თავდაჯერებულნი გავიდნენ მოედანზე და დებიუტშივე დაისაჯნენ მეკარე ნიკურაძის შეცდომის გამო. ძირითად შემადგენლობაში დაყენებულმა ალექსანდრე კიტეიშვილმა და კომპანიამ ყველაფერი გააკეთეს ანგარიშის გათანაბრებლად, მაგრამ ამაოდ, პირიქით, მეორე გოლიც გავიდა გამცემლიძის თავურის შემდეგ.

იმ დღეს რუსთაველთაგან გატანა არავის ეწერა, მასპინძელთათვის ერთადერთი გოლიც სიონელმა ირემაშვილმა ჩაჭრა თავისი გუნდის კარში. „სიონს“ ჰყავს დავით სოლოღაშვილი და შალვა ისიანი, მაგრამ რუსთავიდან სამი ქულის წაღებაში გადამწყვეტი როლი თემურ ვოლკოვმა ითამაშა. „მგელი ადამიანის ნიღბით“ საოცრებებს სჩადიოდა საჯარიმოში და ეს პირველი მატჩი როდია, როცა ბოლნისელთა კარის დარაჯი წარმატებით ართმევს თავს მოვალეობას.

„სიონმა“ კი მოიგო, მაგრამ ალბათ სადისციპლინო კომიტეტს ვერ გადაურჩება გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი (ხუთთაგან) ფირუზ რეხვიაშვილი. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ავთანდილ შალამბერიძის გადაწყვეტილებებით დარჩა უკმაყოფილო და გვარიანადაც შემოელანძღა შავოსანი. რუსთავში გაძევებული რეხვიაშვილი მომდევნო მატჩში ტრიბუნიდან თუ შეეშველა თავისიანებს.

არასახარბიელო პირობებში (ტალახიანი, დამძიმებული, ფეხბურთისთვის უვარგისი გრუნტი) მშვენივრად იბურთავეს თსუ-მ და „ტორპედომ“ და სწრაფი თამაში აჩვენეს „არმაზზე“ შეკრებილ ხუთასამდე ქომაგს. კარის აღების შანსი უხვად ჰქონდათ ორივე გუნდის ფეხბურთელებს, თუმც მატჩში ერთადერთი გოლი გავიდა, ულამაზესი და ფრიად შთამბეჭდავი, ასათიანმა ლონივრად დაჰკრა საჯარიმოდან გამოვარდნილ ბურთს და ხარიხის ქვევით კარში მიუჩინა ადგილი. იონანიძეს მეორედაც შეეძლო სტუდენტთა დამწუხრება, მაგრამ პენალტი გააცუდა.

ერთობ სასიამოვნოა ტორპედოელი ვალტერ გუჩუას ესოდენ სტაბილური თამაში, გუჩუა ყოველ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესოა თანაგუნდელთა შორის. გამონაკლისი არც არმაზული შეხვედრა ყოფილა. ტორპედოელთა საყრდენი ნახევარმცველი თსუ-სთან მატჩში ერთობ შრომატევად სამუშაოს ასრულებდა და ლომის წილი დაიდო თანაგუნდელთა გამარჯვებაში. ქუთათურებმა ჩემპიონატის წინ რომ საჭირო ფეხბურთელი შეიძინეს, ეს ამ მატჩით კიდევ ერთხელ დაამტკიცა ყოფილმა კოლხმა ჯონი შალამბერიძემაც.

ურიგო შთაბეჭდილებას არც თენგიზ კაციას გუნდი ტოვებს, მაგრამ სტუდენტთა დღევანდელი არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა უეჭველად გამოუცდელობით არის განპირობებული.

ოთხშაბათის ამბები ავჭალური მატჩით მოვილიოთ. „მერანი“ — „ბათუმის“ შეხვედრა ოთხთაგან ერთადერთი იყო ფრედ რომ დასრულდა. ამ მატჩში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს ჩემპიონატებში მიხეილ ფოცხვერიას დებიუტი შედგა. მიშას კი ეტყობოდა, რომ სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, ფორმაში შესვლის შემდეგ გუნდს უეჭველად ლიდერად მოევლინება.

საოცრად სახეცვლილია „ბათუმი“. ასლან ბალაძის ხელში გუნდის თამაში საგრძნობლად გამოსწორდა. ავჭალაშიც ბევრი იბრძოლა „ბათუმმა“, მეტოქესთან შედარებით მომენტებიც უხვად შექმნა, მაგრამ მხოლოდ აფხაზავას პენალტს გამორჩა. ბათუმელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზღვისპირელები მსაჯის მაგინებელი გელა ქორიძის გაძევებამ და ერთბურთიანმა ჩამორჩენამაც არ შეაბრკოლა. ყოველივეს გათვალისწინებით ეს ქულა სტუმრებს უფრო ჩაეთვლებათ აქტივში, „მერანს“ კი ექვსეულის სრულფასოვანი წევრობისთვის დიდი ბრძოლა და ოფლის ღვრა მოუწევს.

ერთი სიტყვით, ოთხშაბათი, ისევე როგორც ხუთშაბათი და მთელი ტური, სტუმართათვის უფრო იღბლიანი გამოდგა.

ხუთი მოგება და ერთი ფრე, ასეთია მათი მონაგარი. ტურის უმთავრესი მატჩი კი გუშინ მცხეთაში გაიმართა. „ვიტ ჯორჯიამ“ „კოლხეთს“ უმასპინძლა.

ფოთელებმა გოგიტა ქუნთელიას შორეული გოლით მოიგეს. კარგად ითამაშა კოლხთა ეულმა თავდამსხმელმა დავით ხუჭუამაც, რომელსაც მთელი მატჩის მანძილზე მეურვეობდა, სულ მცირე, ორი მცველი და ხშირ შემთხვევაში ორივეს იოლად გაურბოდა.

გორში პირველი ტაიმი სტუმრებისა იყო, მეორე კი „დილასი“. ორივე გუნდმა ორ-ორი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ერთადერთის გამოყენება მხოლოდ „ლოკომოტივმა“ შეძლო.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე სტუმართა თავდამსხმელი მამუკა რუსია იყო, რომელმაც გატანაც მოახერხა და ცარიელი კარიდან გაგნიძის დარტყმულის გამოტანაც.

**ბაატა ქვანტალიანი**


ტურის მწვრთნელი სოსო ფილია


რამდენადაც უსიამოვნო ტალახსა და ავდარში თამაშია, მით უფრო თვალსასეიროა ასეთ ამინდში გადაღებული ფოტო

## საქართველოს უმაღლესი ლიგა — ჩემპიონატი — პირველი წრე — 12 — 10 ტური — სტატისტიკა

### ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 10 |
| მატჩი | 59 |
| გოლი | 145 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,46 |
| მასპინძელთა მოგება | 30 (51%) |
| ფრეები | 9 (15%) |
| სტუმართა მოგება | 20 (34%) |
| საერთო დასწრება | 76 300 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 293 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 126 | 21,00 |
| სტუმარი | 117 | 19,50 |
| სულ | 243 | 40,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 24 | 4,00 |
| სტუმარი | 24 | 4,00 |
| სულ | 48 | 8,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 3,50 |
| სტუმარი | 26 | 3,66 |
| სულ | 47 | 7,83 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 3,16 |
| სტუმარი | 22 | 3,65 |
| სულ | 41 | 6,83 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 3,50 |
| სტუმარი | 40 | 6,66 |
| სულ | 61 | 10,16 |

*სემ – საშუალოდ ერთ მატჩში*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 8 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 6 - იონანიძე | ტორპედო |
| 5 - რუსია | ლოკომოტივი |
| 4 - აფხაზავა | ბათუმი |
| ზირაქიშვილი | დინამო |
| მოსეშვილი | სიონი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფუფუნავა | თსუ |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |

### გორდა 1:2 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 11 | დაჯარიმდა | 20 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 7 | კარში დარტყმა | 5 |
| 3 | თამაშგარე | 4 |

### მერანი 1:1 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 25 | დაჯარიმდა | 20 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | კარში დარტყმა | 1 |
| 3 | თამაშგარე | 9 |

### იბერია 0:5 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 22 |
| 0 | კუთხური | 8 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 0 | კარში დარტყმა | 9 |
| 2 | თამაშგარე | 7 |

### თსუ 0:1 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 19 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 10 |

### ვიტ ჯორჯია 0:1 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 24 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 9 | თამაშგარე | 6 |

### დილა 0:1 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 26 | დაჯარიმდა | 12 |
| 5 | კუთხური | 5 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 4 |



ეს-ესაა, მერანელმა ბომბარდირმა დავით გოდერძიშვილმა (№10) „ბათუმის“ მეკარე გრიგოლ ბედიაშვილს გოლი გაუტანა

---

გორი
26 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:1 ლოკომოტივი

0:1 რუსია (9)
**დილა:** სოლოლაშვილი, ბკოფიანი, გაგნიძე, გრიგალაშვილი, ლომიძე (ეჯოშვილი 79), ლ. გოჩაშვილი, ხოხობაშვილი, რევაზიშვილი, კოტორაშვილი (ციცქიშვილი 46), ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე
სათადარიგონი: მდივანი; საყვარელიძე, მ. მაისურაძე, მ. ბურნაძე, გ. ტულუში
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი, ძოძუაშვილი (პარამონოვი 46), გონჩაროვი, რუსია
სათადარიგონი: ივარდავა; გილაური, აფციაური, დ. არჩვაძე, გ. შენგელია, დავითაშვილი
**გაფრთხილება:** გოჩაშვილი (25)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

---

მცხეთა
25 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### თსუ 0:1 ტორპედო

0:1 ასათიანი (24)
იონანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (69, ააცილა)
**თსუ:** მამარდაშვილი, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ვადაჭკორია (სვანაძე 81), მესხი, არეშიძე (ახალაძე 71), ერაძე, წუწუნავა (ადამია 59), გოცირიძე
სათადარიგონი: გუგუნავა; ბ. ნოზაძე, მორჩილაძე
**ტორპედო:** ზოიძე, შალამბერიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, გუჩუა (შევრილაძე 68), ახვლედიანი, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ასათიანი, იონანიძე, იმედაძე (კვერნაძე 82)
სათადარიგონი: ქანტურია; თავბერიძე, ჩხაიძე, ვაჩიბერაძე, თურმანიძე
**გაფრთხილება:** მესხი (55), ვადაჭკორია (65), ლაბაძე (85), კვეტენაძე (90)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. გვანცელაძე

---

ხაშური
25 ოქტომბერი
16 საათი
გრიგოლ ჯომართიძე
400 (ტევადობა 8 000)

### იბერია 0:5 დინამო

0:1 გადელია (52), 0:2 დათვაძე (68), 0:3 სახვაძე (73), 0:4 გოგოლაძე (78), 0:5 ზირაქიშვილი (88)
**იბერია:** ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ხმალაძე, მუმლაძე (კ. ბობოხიძე 79), ონიანი (ბანძელაძე 82), ბიწაძე, ყურაშვილი
სათადარიგონი: ჩომახიძე; კაკაშვილი, გიგიაძე
**დინამო:** ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, ა. სახვაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათუაძე (მაზიაშვილი 69), სიჭინავა, გადელია (კ. გოგოლაძე 71), ზირაქიშვილი, პ. ჯინჭარაძე (გ. მიქაძე 74)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; კანდელაკი, რუსაძე, ბურდული
**გაფრთხილება:** მიქელთაძე (35), ზირაქიშვილი (35)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

---

მცხეთა
26 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
400 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:1 კოლხეთი

0:1 ქუნთელია (16)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ქანკოტაძე, საჯაია, ჯ. მუჯირი (ყიფიანი 78), კობიაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, დეკანოსიძე (ინწკირველი 66), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; დოლიძე, გვაზავა, თაყაძე, სულთანიშვილი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ტორჩინავა, გ. ჩიტაია, ქუნთელია, გოროზია, ლალანიძე (აკობია 89), ახალკაცი, კაკლიაშვილი, კვირკველია (კრასოვსკი 46), ე. გვასალია (თედეევი 88), ხუჭუა
სათადარიგონი: ჩემია; შავგულიძე, ბურკვაძე, ქანტურიძე
**გაფრთხილება:** დეკანოსიძე (20), მელქაძე (30), მ. გვასალია (50), კრასოვსკი (51), კაკლიაშვილი (53), ქანკოტაძე (53), ხუჭუა (63), გოროზია (67), ყიფიანი (79), ახალკაცი (82)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, გ. კუკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

---

თბილისი
25 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
800 (ტევადობა 3 000)

### მერანი 1:1 ბათუმი

1:0 გოდერძიშვილი (26), 1:1 აფხაზავა (84პ)
**მერანი:** დევაძე, გ. ილურიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე (ჭინჭარაული 87), ფოცხვერია, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, როსტიაშვილი, დ. გოდერძიშვილი, კაკუბავა (ბაჯელიძე 87), მუხინი (თოლორდავა 87)
სათადარიგონი: ნაჭყებია; ჩანადირი, მინაშვილი, ბოლქვაძე
**ბათუმი:** ბედიაშვილი, ჩიჩუა (ცულეიშვილი 46), მანდაძე, მეავანაძე, პაპიძე, გელა ქორიძე, ლლონტი, დარჩიძე, რომანაძე, აფხაზავა (კაკაბაძე 82), თედორაძე
სათადარიგონი: ჯაში; სიხარულიძე, ბახტაძე, ტუსკია, სოხაძე
**გაფრთხილება:** როსტიაშვილი (57), რომანაძე (29)
**გაძევება:** ქორიძე (76)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

---

რუსთავი
25 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
1000 (ტევადობა 10 700)

### გორდა 1:2 სიონი

0:1 მოსეშვილი (6), 0:2 გამცემლიძე (37), 1:2 ირემაშვილი (ს.კ. 40)
**გორდა:** ნიკურაძე, ბერიძე, ა. ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, ბუკია (ლაშა სილაგაძე 46), მელაძე, ზ. ლაბაძე (ივეჩიანი 63), ალადაშვილი, კიტეიშვილი, მიშველიძე
სათადარიგონი: გონგაძე; ბაჩილავა, მჭედლიძე, მ. სახვაძე, პატარიძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, ბარნოვი, ისიანი (კ. მეტრეველი 90), მოსეშვილი (ჯაბაგარიძე 90), სოლოლაშვილი, გამცემლიძე (სვანიძე 61), წიწნიძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჩაგელიშვილი, დემურიშვილი
**გაფრთხილება:** წიწნიძე (34), გოდერძიშვილი (39), გაბელაია (45), ბერიძე (90)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

---



თსუელი მეკარე დავით მამარდაშვილი და ტორპედოელი ზურაბ იონანიძე

### სიმბოლური ნაკრები

| მოთამაშე | გუნდი |
|---|---|
| მამუკა რუსია | ლოკომოტივი |
| დავით ხუჭუა | კოლხეთი |
| არჩილ რომანაძე | ბათუმი |
| მიხეილ მაზიაშვილი | დინამო |
| ვალტერ გუჩუა | ტორპედო |
| დავით დათუაძე | დინამო |
| გოგიტა ქუნთელია | კოლხეთი |
| ზაალ ლალანიძე | კოლხეთი |
| ჯონი შალამბერიძე | ტორპედო |
| ზაზა ზამთარაძე | დინამო |
| მამუკა გვასალია | კოლხეთი |

გუნდი: კოლხეთი
მწვრთნელი: სოსო ფილია

### უმაღლესი ლიგა

| № გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორპედო | 10 | 10 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 30 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 15 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 15 |
| 2 ლოკომოტივი | 10 | 8 | 0 | 2 | 22:6 | 16 | 24 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 6 | 5 | 0 | 1 | 11:4 | 7 | 15 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 15:5 | 10 | 20 | 5 | 3 | 0 | 2 | 3:2 | 1 | 9 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 11 |
| 4 დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 7 | 19 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 |
| 5 სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 9:9 | 0 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | -1 | 7 |
| 6 მერანი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | -2 | 13 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 12 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 |
| 7 კოლხეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 11:13 | -2 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:9 | -4 | 3 |
| 8 გორდა | 10 | 2 | 5 | 3 | 10:16 | -6 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:10 | -8 | 2 |
| 9 ბათუმი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:14 | -3 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:10 | -8 | 1 |
| 10 თსუ | 10 | 3 | 1 | 6 | 12:19 | -7 | 10 | 6 | 2 | 0 | 4 | 6:12 | -6 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 11 დილა | 10 | 2 | 2 | 6 | 8:18 | -10 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 3 |
| 12 იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 1:20 | -19 | 1 | 6 | 0 | 1 | 5 | 0:13 | -13 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 |

შეცვლილა... დაკაცებულა. მოედანზე სათამაშოდ შესული უცბად ვერც ვიცანით. თვითონ კი ყველაფერი ახსოვს. „ბათუმთან“ მატჩის შემდეგ გასახდელიდან ახალგამოსულს რომ მივუახლოვდით, წამით ჩაფიქრდა. გამარჯობის თქმა კი დავასწარით და მაშინვე მოგვიგო:

— თუ არ ვცდები, გაზეთი „სარბიელი“, ხომ — გაეღიმა. ცდილობს, კარგ ხასიათზე იყოს, მხოლოდ თვალებში უდგას ნაღველი. ხუთწლიან, თითქმის აუტანელ ყოფას მისთვის დაღი დაუმჩნევია. ფეხბურთსაც ვერ თამაშობს ძველებურად, მაგრამ მაინც ეტყობა, რომ სხვათაგან გამორჩეული მოთამაშეა.

ახალგაზრდულისა და ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი მიხეილ ფოცხვერია ნამდვილად „მერანის“ მოთამაშეა. ნაღდი ქართველი საქართველოს დაუბრუნდა და დღეს „სარბიელს“ თავის მორიგ ინტერვიუსაც არ ამადლის.

# მიხეილ ფოცხვერია: მე დავბრუნდი...



„მერანმა“ მიხეილ ფოცხვერია სამშობლოში დააბრუნა

**— ბედნიერი ჩანხართ.**

— რა თქმა უნდა, მე ხომ მშობლიურ ქვეყანაში ჩამოვედი. თბილისი დიდებული ქალაქია. აქ მშვენივრად მძინავს და ჰაერიც ძალიან სუფთა მეჩვენება ყველა სხვა ქალაქთან შედარებით. ერთი ეგაა, ძალიან უქმური ამინდი დამხვდა. სათამაშო მინდორიც საშინელ დღეში იყო, მაგრამ მითხრეს, მალე გამოიდარებს და თბილისს ჩვეული შემოდგომა დაუბრუნდებაო.

**— „მერანის“ ხელმძღვანელობა გაცილებით ადრე გელოდათ. ხომ არ ყოყმანობდით, იქნებ დაბრუნებას სხვაგან წასვლა სჯობდა?**

— არა, არა, წამითაც არ დავფიქრებულვარ. ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შევფერხდი. რომ არ ველოდი, ისეთი სავიზო და საპასპორტო პრობლემები შემექმნა და ეს მაშინ, როცა თვითმფრინავის ბილეთები უკვე ხელთ მქონდა. რას ვიზამდი, დავაბრუნე ბილეთი და დაიწყო რამდენიმედღიანი მოგზაურობა საქართველოსკენ. დონეცკიდან ჯერ როსტოვში ჩავაღწიე, მერე — ვლადიკავკაზში და იქიდან ჩამოვედი თბილისში. ზუსტად არც მახსოვს, რამდენი და რა სახის ტრანსპორტი გამოვიცვალე, სანამ აქ მოვხვდებოდი.

**— ოჯახიც ხომ არ ჩამოგიყვანიათ თან?**

— ჯერჯერობით არა. მეუღლე და ქალიშვილი დონეცკში, მეუღლის მშობლებთან დარჩნენ. ცოტას მივიხედმოვიხედავ, ბოლომდე მოვშინაურდები და მერე მათაც ჩამოვიყვან.

**— ქართულად როდის ვისაუბრებთ?**

— არც ის დროა შორს. სიტყვების გარკვეული მარაგი უკვე მაქვს. თითქმის ყველაფერი მესმის. ეგ არის, პრაქტიკა მაკლია, მაგრამ ბიჭებთან ურთიერთობისას მეც მალე ჩვეულებრივი ქართველივით ავლაპარაკდები. ამის დიდი იმედი მაქვს.

**— როგორია პირველი შთაბეჭდილებები „მერანზე“?**

— იცით, მე საფეხბურთო თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. გუშინწინ ჩამოვედი, გუშინ ვითამაშე. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ყველასგან სითბო და მხარდაჭერა ვიგრძენი. ყველა სტრესი ერთბაშად მომეხსნა. თავი ახლობლებში მგონია. ვფიქრობ, ყველას შევეწყობი და შევეგუები. ერთი შეხედვით დიდებული ბიჭები ჩანან და მათთან საერთო ენის გამონახვა, წესით და რიგით, არ უნდა გამიჭირდეს.

**— ადამიანური მოპყრობა, თანადგომა და მისთანები უკრაინულ „შახტარში“ მუდამ გაკლდათ.**

— ნუ გამახსენებთ. მე საერთოდ არ ვარ კონფლიქტური პიროვნება, მაგრამ ლამის მთელი „შახტარი“ მტრად მომეკიდა. და რისთვის? იმიტომ, რომ მე, ქართველმა მიხეილ ფოცხვერიამ, უკრაინის ეროვნულ გუნდს მშობლიური, საქართველოს ნაკრები ვამჯობინე. რამდენიმე საფეხბურთო წელიწადი გამიცდა და დაიკარგა ამის გამო, მაგრამ დამიჯერეთ, არაფერს ვნაღვლობ. ჯერ 25 წლის ვარ და სათამაშოდ და თავის გამოსაჩენად დრო კიდევ მაქვს.

**— „შახტარისა“ ვთქვით. იქნებ იმაზეც გვითხრათ, რატომ ვერ დამკვიდრდით ვლადიკავკაზურ „ალანიასა“ და უკრაინულ „დნიპროში“?**

— „ალანიაში“ მაშინ გადავედი, როცა ოსურ კლუბში პრობლემები და დაპირისპირებები მძლავრობდა. შეკრებაც გავიარე, მაგრამ დიდი ხნის უთამაშებელს ფორმაში შესასვლელად ცოტა დრო მჭირდებოდა. დრო კი არავინ მომცა. თამაშიც არ მიმდიოდა და წამოსვლა ვარჩიე.

„დნიპროში“ მისულს სამი ტური სატრანსფერო საკითხების მოგვარებამდე გამიცდა. მერე ოთხი მატჩი ვითამაშე და ტრავმაც მივიღე. ბუნებრივია, შემადგენლობაში დაბრუნება გამიჭირდა. თანაც ნათხოვრობის ვადა მალე იწურება, უკრაინის ჩემპიონატში აწი შესვენებაც გამოცხადდება და იქ დარჩენა აღარ ღირდა.

**— საბოლოოდ ვის ეკუთვნის ფეხბურთელი მიხეილ ფოცხვერია?**

— საფეხბურთო კლუბ თბილისის „მერანს“.

**— კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმეთ?**

— ოფიციალური — ჯერ არა, მაგრამ ჩათვალეთ, რომ კონტრაქტი ხელმოწერილია. წინასწარი შეთანხმება მიღწეულია.

**— მერანში“ რამდენ ხანს დარჩებით?**

— მომბეზრდა მუდმივი პრობლემები, აღმა-დაღმა ხეტიალი და ნერვიულობა. აქ იქნება პირობები ვარჯიშისთვის და არც ძირითადში მოხვედრა გამიჭირდება. ნელ-ნელა სათამაშო ფორმასაც აღვიდგენ, „მერანს“ გამოვადგები. ყველაფერს დრო უნდა. მერე კი ვიფიქრებ, სად და როგორ გავაგრძელებ კარიერას.

**— ეროვნულ ნაკრებში როდის დაბრუნდება ფოცხვერია?**

— ბოსკამპის შემდეგ არავინ შემხმიანებია და ეს სულაც არ არის გასაკვირი და საწყენი. მე მაკლდა სათამაშო პრაქტიკა, ფორმაშიც არ ვიყავი და ვის რაში ვჭირდებოდი? ეროვნულ ნაკრებში თამაში მუდამ ჩემი ოცნება იყო. პირველი დაძახებისთანავე დაუფიქრებლად მოვფრინავდი. ამიერიდან ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, თუ კარგად ვითამშებ და გოლებსაც გავიტან, გამომიძახებენ, არადა, საქართველოს უჩემოდაც ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავს.

**— ცოტა მოსუქებული ჩანხართ...**

— არა, სათამაშო წონა შენარჩუნებულია. ზედმეტ კილოგრამებს ვერიდებოდი. დონეცკში ინდივიდუალურადაც ვემზადებოდი და უბრალოდ დავიკუნთე.

**— ინტერვიუ დავამთავრეთ. დანარჩენი მერე იყოს, გოლების გატანას რომ დაიწყებთ.**

— დიდი მადლობა ყველაფრისთვის და კიდევ იმისთვის, რომ გაჭირვების ჟამს მიხეილ ფოცხვერია ჟურნალისტებს არ დაგვიწყებიათ. მე დავბრუნდი და ფეხბურთსაც ვითამაშებ.

**გამუკა ძგანტალიანი**

# მგელთა გმირი



თემურ ქეცბაია

**პატარა** ბარნსლიში „მგლებმა“ ჩაირბინეს, სუსხიან ამინდში ცამეტათასიან აუდიტორიას ნერვები დააწყვიტეს და შინ გამარჯვებულები დაბრუნდნენ. დიახ, „ვულვერჰემპტონმა“ გასვლით მატჩებში გამარჯვების შიმშილი დაიცხრო და შეხვედრის ფავორიტ „ბარნსლის“ სძლია.

ეს ამბავი ჩვენთვის გამორჩეული იმიტომ არის, რომ „ვულვზის“ ძირითად შემადგენლობას საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი თემურ ქეცბაია დაუბრუნდა. დაბრუნება ქართველისთვის შთამბეჭდავი და წარმატებული გამოდგა, პირველი ტაიმის ბოლოს თემურმა გამარჯვებისა გაუტანა მასპინძლებს.

„ქეცბაია „ვულვზის“ გმირია, მან გააზრებული, აგრესიული თამაშით თავისი გუნდის გამარჯვება გამოჭედა“ — წერს სამშაბათის მატჩის შემდეგ ინგლისური „ექსპრეს სტარი“. თემურმა პირველ გოლშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო. სწორედ მისი პასით გაათანაბრა სტუმართა გუნდის კაპიტანმა კევინ მუსკატმა მეთვრამეტე წუთზე. მანამდე კი სახარბიელო არაფერი ჰქონდათ სტუმრებს. „ბარნსლიმ“ ყინჩად დაიწყო და დებიუტშივე დაწინაურდა. „მაგრამ სტუმრებს დიდებული ქართველი ჰყავდათ, რომელიც ბევრს მუშაობდა, ხშირად ამჟღავნებდა ბურთის დიდოსტატურად ფლობის უნარს და ყოველთვის საჭირო ადგილზე იდგა. აკი ბრწყინვალე პოზიცია შეურჩია ნილ ნეილორის ჩაწოდებულს და თორმეტი იარდიდან ბურთი ბადეში გააზვია“ — ისევ „ექსპრეს სტარი“.

მოკლედ, „ბარნსლისთან“ მატჩის შემდეგ ქეცბაიას კომპლიმენტები არ დაჰკლებია. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ სამშაბათის მატჩში თემურმა მესამე გოლი გაიტანა ინგლისის პირველი დივიზიონის მიმდინარე ჩემპიონატში.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ვის დავუჯეროთ?

**გუშინწინ** სადისციპლინო კომიტეტმა ერთი უცნაური საქმე გაარჩია. მართალია, იქ მყოფებმა მტყუან-მართალი ვერ გაარკვიეს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება კი სამართლიანი გამოიტანეს.

ელდეპოს სტადიონზე 1984 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ორი გუნდი დაპირისპირებია ერთმანეთს. მასპინძელი რევაზ ბარამიძის „დინამო 2“ ყოფილა, სტუმარი — ზაურ სვანიძის „შევარდენი“, რომელსაც ნოდარ აკობია თავკაცობდა. ზაურ სვანაძე 18-წლამდელთა ნაკრებს ახლდა ბულგარულ შეკრებაზე. თამაშზე არ ყოფილა ფედერაციის წარმომადგენელი, არც სათამაშო მინდორი იყოო სრულ მზადყოფნაში.

მსაჯს, კახა თბილელს, მატჩი დაუწყია და ვერ ჩაუმთავრებია. დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმარ-მასპინძელ თემურ სამსიანსა და დავით გოცირიძეს უჩხუბიათ და შემდეგ გუნდი გუნდზე გაწეულა.

იმასაც მოგახსენებთ, რომ თავიდან „შევარდენი“ იგებდა 2:0-ს, მერე 2:2 გამხდარა და...

ნოდარ აკობიას თქმით, მასპინძელმა გოცირიძემ დედა შეაგინა სამსიანს, რომელსაც მშობლები თურმე აფხაზეთში დაეღუპა. ვერ მოითმინა ბიჭმაო, თქვა მწვრთნელმა. გუნდური ჩხუბი მწვრთნელებს რამდენიმე დამხმარის მეშვეობით ჩაუცხრიათ. ნოდარ აკობიასთვის ვიღაცას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია და მასაც საფრთხის თავიდან ასაცილებლად თავისი გუნდი მოედნიდან გაუყვანია. ქუჩაში ჩავაცვი ბავშვებს და ზოგი საკუთარი ავტომანქანით, ზოგიც მეტროთი შინ გავუშვიო, დაამატა აკობიამ.

განსხვავებული (შედარებით) სურათი დახატა რევაზ ბარამიძემ:

— პრინციპში, მე ვეთანხმები ნოდარ აკობიას, მაგრამ გუნდური ჩხუბი არ ყოფილა და არც თამაშის შეწყვეტა-ჩაშლის აუცილებლობას ვხედავდი.

მსაჯმა სულ შეარბილა ვითარება და კომისიაც გაუგებარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იყო აზრთა სხვადასხვაობა, კამათი, ბოლოს ომარ გოგიაშვილმა ასეთი ვერდიქტი გამოაცხადა:

— 16 წლის ბიჭები ერთმანეთს მტრად არ უნდა მოეკიდონ. მატჩი გადათამაშდეს და მისი ორგანიზება ფედერაციის ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტს დაევალოს. შეარიგეთ სამსიანი და გოცირიძე, თანაც ორივეს ხუთ-ხუთ მატჩიანი დისკვალიფიკაციით ვსჯით. მწვრთნელებს კი ეძლევათ მითითება, რათა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა.

იქნებ სადავო და სათქმელი კიდევ იყო, მაგრამ, მგონი, ბოლოს ყველა კმაყოფილი წავიდა. მე თუ ვინმე მკითხავს, ამას ვიტყოდი — ნოდარ აკობია სწორად მოიქცა, მოსალოდნელი გართულებები თავიდან რომ აიცილა.

სადისციპლინო კომიტეტმა 100 ლარით დააჯარიმა თბილისური „ვიტ ჯორჯია“. ვეტერინარებს „ლოკომოტივთან“ მატჩში ჩემპიონატის ჰიმნი არ აუჟღერებიათ და არც ბურთის მიმწოდებელი ბიჭები ჩაუმწკრივებიათ მოედნის პირას.

ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50 ლარი ჯარიმა გამოეწერა მილანელ ზაზა მეღოევს, ხაშურელი გელა ლურსმანაშვილი 3 თამაშით დაისვენებს და 150 ლარს გადაიხდის მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის. არბიტრის გაბრაზება 3 მატჩად და 150 ლარად დაუჯდა თბილისელ ირაკლი კოხრეიძესაც.

სადისციპლინო კომიტეტმა არ განიხილა „მერანის“ მენეჯერის, ვლადიმერ ჩერქეზოვის საქმე. ჩერქეზოვი სხდომას არ ესწრებოდა, მოსკოვშიაო, თქვეს, არადა, მას „მერანის“ თამაშზე გუშინწინ ბევრი ნახავდა.

ასევე გაურჩეველი დარჩა ხობსა და მარტვილში მომხდარი ინციდენტი, რომლებსაც სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს სხდომაზე დაუბრუნდება.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ბოდიში, შევცდი...

**ზინედინ ზიდანსა** და ედგარ დავიდსს უეფასგან გარდაუვალი სასჯელი ელით. ორივე ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის მომავალ მატჩებს, ალბათ, ტრიბუნებიდან მიადევნებენ თვალს. თუმცა სანამ დისკვალიფიკაციის ვადა გაირკვევა, „იუვენტუსმა“ უკვე გადაწყვიტა, ორივე ნახევარმცველი 150-150 ათასი გირვანქით დააჯარიმოს. იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფრანგ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს სავარაუდოდ ლიგის ოთხი ტურის გამოტოვება მოუწევს, მაშინ, როცა ჰოლანდიელი, ალბათ, მარტო ერთ შეხვედრას გამოაკლდება. ცხადია, იმიტომ, რომ ზიდანი უფრო დამნაშავეა — მან სრულიად უწყინარ სიტუაციაში თავი დაჰკრა მეტოქეს.

ტურინელთა თავკაცი კარლო ანჩელოტიც განსაკუთრებით ფრანგის უმსგავსობას აღნიშნავს: „ერთადერთი, რამ შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ასეთი საქციელი ყოვლად მიუღებელია და არავის ეპატიება“.

ერთ-ერთი პოპულარული იტალიური გამოცემა „ტუტოსპორტი“ არც იმას გამორიცხავს, რომ ზიდანი ექვსი მატჩით მოკვეთონ ევროთასებიდან. თუ ყველაფერი მხოლოდ დისკვალიფიკაციით დასრულდა, ხომ კარგი, თუ არა და, სავსებით შესაძლებელია, ევროპის ჩემპიონატის რჩეულს წლის ბოლოს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება აღარ მიანიჭონ.

„ჰამბურგთან“ ჩადენილი უმსგავსო საქციელისთვის ზიდანმა ბოდიშიც კი მოიხადა: „ვწუხვარ, რაც მოხდა. ვხვდები, რომ თანაგუნდელები რთულ მდგომარეობაში ჩავაგდე. მინდორზე შექმნილმა დაძაბულობამ გაუმართლებელი საქციელისკენ ინსტიქტურად მიბიძგა, ამიტომ ბოდიშს ვიხდი“.

უზიდანოდ და უდავიდსოდ დარჩენილი „იუვენტუსი“ მძიმე დღეში აღმოჩნდა. გუნდი ეგებ ჩემპიონთა ლიგის მიღმაც დარჩეს, მაგრამ ანჩელოტი ოპტიმიზმს არ კარგავს: „ევროპის უძლიერეს 16 კლუბს შორის უცილობლად უნდა მოვხვდეთ. ჩვენი პრობლემა ჩვენივე გადასაწყვეტია, ტურნირი კი უნდა გავაგრძელოთ“.

იგივეს ფიქრობს „ბებერი ქალბატონის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოგიც და ეს „კორიერე დელო სპორტს“ გაუმხილა: „ალბათ, ყველაფერი კარგად იქნება, გუნდი არ გატყდება“.

# მიყიდა, ითამაშა, გაიტანა



მარკ ჰიუზი: აბა, რა გეგონათ?

**ორი** დღეც არ გასულა, რაც მარკ ჰიუზი „ევერტონიდან“ „ბლექბერ როვერსში“ გადავიდა და უკვე დუბლის შესრულება მოახერხა. ვეტერანი უელსელი, რომელიც იმავდროულად თავისი ქვეყნის ნაკრებს თავკაცობს, სადებიუტო მატჩში „ივუდ პარკზე“ „ტრანმერის“ წინააღმდეგ წარდგა და თავის ახალ გუნდს 3:2 მოაგებინა. „აპრილის შემდეგ არ გამიტანია და ძალიან მიხარია — განაცხადა ჰიუზმა, რომელიც მალე 37 წლის გახდება — ყველა ფორვარდს სიამოვნებს მეტოქის კარის დალაშქვრა, მით უმეტეს, სადებიუტო მატჩში. დიდი იმედი მაქვს, რომ „ბლექბერნში“ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევ და გუნდთან ერთად კვლავ პრემიერლიგაში დავბრუნდები. აქ ხომ დიდი ფეხბურთის სათამაშოდ მოვედი“.

ბუნებრივია, გაიხარა „ბლექბერნის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმაც: „ჰიუზი შეუდარებელი იყო. მან გუნდს ის შემატა, რაც გვაკლდა — აგრესია. კარგად ვითამაშეთ და გულშემატკივარიც კმაყოფილი დარჩა. მწამს, ამაზე არ შევჩერდებით და მეტს მივაღწევთ. ეს ნამდვილად შეგვიძლია“.

„ჰიუზის საგანგებოდ მეურვეობა არ დაგვიგეგმავს, მან კი ჩინებულად ითამაშა და დაამტკიცა, რომ კვლავაც მეტად სახიფათოა“ — შეაქო ვეტერანი „ტრანმერის“ თავკაცმა ჯონ ოლდრიჯმა.

# ფოგთსი ფეხბურთს უბრუნდება

**უახლოეს** მომავალში ლევერკუზენის „ბაიერს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება. იგი ალბათ, ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი თავკაცი ბერგი ფოგთსი იქნება, კაცი, რომელმაც 1996 წელს ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

„ლევერკუზენელები ამ ზაფხულს შემეხმიანნენ და ჩემი მიწვევის სურვილი გამოთქვეს. მეც არ ვარ წინააღმდეგი. გუნდის თამაშს მუდმივად ვადევნებდი თვალყურს, კარგად ვიცი მისი ფეხბურთელების შესაძლებლობები და მჯერა, მათ ბევრის მიღწევა ძალუძთ“ — განუცხადა ფოგთსმა ჟურნალისტებს.

გასულ შაბათს „ლევერკუზენის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან კრისტოფ დაუმის სკანდალური წასვლის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდი დროებით გერმანიის ნაკრების თავკაც რუდი ფიოლერს ჩააბარა. ლევერკუზენელებს ძალიან უნდოდათ მისი შენარჩუნება, თუმცა ეს ამბავი გუშინ თითქმის საბოლოოდ გამოირიცხა — „ბაიერის“ მენეჯერმა რაიმონდ კალმუნდმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ფოგთსი დაუმის მემკვიდრეობის უპირველესი კანდიდატია.



ბერტი ფოგთსი

ქომაგების მთავარი კერპი, ცხადია, რუდი ფიოლერია. მისი ხელმძღვანელობით „ლევერკუზენმა“ უკვე ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივე მოიგო — ბუნდესლიგაში „დორტმუნდთან“ 2:0 და გუშინწინ ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის „სპარტაკთან“ 1:0. ფიოლერის გუნდში დარჩენას გერმანიის საფეხბურთო კავშირმა შეუშალა ხელი, რომელმაც პირდაპირ ულტიმატუმი წაუყენა მწვრთნელს — ან ნაკრები, ან „ლევერკუზენი“, ორივეში ერთად მუშაობა გამორიცხულიაო. მართალია, ფიოლერს საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს, მაგრამ გუშინდელი გაზეთი „ბილდი“ ამტკიცებს, რომ ეს ამბავი უკვე გარკვეულია:

„საფეხბურთო კავშირს საიდუმლო გეგმა აქვს, რომლის მიხედვით ყველაფერი გადაწყვეტილია. ფიოლერი ნაკრებს 2002 წლის სექტემბრამდე გაწვრთნის, გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ის წაიყვანეს, მერე კი მას ოტმარ ჰიცფელდი შეცვლის. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ეროვნულ გუნდს სწორედ ჰიცფელდი მოამზადებს“ — წერს „ბილდი“.

შეგახსენებთ, ბერტი ფოგთსი ნაკრებიდან 1998 წელს წავიდა. მაშინ საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელები მეოთხედფინალში ხორვატებთან 0:3 განადგურდნენ. ჰოდა, ფოგთსსაც ეროვნულ გუნდში ვინლა გააჩერებდა. მას შემდეგ მწვრთნელი უმუშევარია. ბევრი ჭორი ვრცელდებოდა მის ირგვლივ, ხან რომელ კლუბში უშვებდნენ, ხან — რომელში. ახლაც, ინგლისის ნაკრები უნდა ჩააბარონო, ამბობდნენ, მაგრამ...

„კარგად ვიცით ფოგთსის შესაძლებლობები. ვფიქრობ, მისი ხელმძღვანელობით გუნდს პროგრესი ექნება“ — იმედოვნებს „ლევერკუზენის“ კომერციული დირექტორი ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერი, რომელიც, ცხადია, კლუბის ხელმძღვანელობის აზრს გამოხატავს.

# მე თქვენ... ანუ პერესის მზამზარეული რეცეპტი

**გახსოვთ,** რა ოსტატურ ხერხს მიმართა ფლორენტინო პერესმა, რათა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელის სავარძელში მოკალათებულიყო? სრულიად საკმარისი გახდა წარმოეთქვა ჯადოსნური ფრაზა — მე თქვენ გიყიდით ფიგუს — და ამან ლორენსო სანსის მთელი ნაამაგარი და ორი მოგებული ჩემპიონთა თასი გადაწონა: „რეალის“ ქომაგთა უმრავლესობამ მხარი პერესს დაუჭირა.

რატომ გავიხსენეთ ეს უკვე მრავალჯერ თქმული და დაწერილი ამბავი? საქმე ის გახლავთ, რომ პრეზიდენტის არჩევნები „ბენფიკაშიც“ მოახლოვდა. დღეს ლისაბონური კლუბის ქომაგები საარჩევნო ყუთებთან მივლენ და გადაწყვეტენ, ვის ანდონ კლუბის სადავეები.

მავანი მანუელ ველარინიუ, რომელიც კენჭს იყრის, ცდილობს, პერესის ოინი გაიმეოროს. დგას და ბენფიკელებს ჰპირდება — მე თქვენ გიყიდით... ვის? ცხადია, ეს ფიგუ ვერ იქნება. ეს გახლავთ უგო ლეალი — ისიც პორტუგალიელია, ამჟამად მადრიდის „ატლეტიკოში“ თამაშობს და ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ.

გავიხსენოთ, რომ პერესმა ფიგუს „ბარსელონასთან“ გაფორმებული კონტრაქტი დაარღვევინა და კატალონიელებს სამაგიეროდ კომპენსაცია გადაუხადა, რაც წინასწარვე განსაზღვრული თანხა გახლდათ — 56 მილიონი დოლარი. ველარინიუც ზუსტად ასე მოქცევას აპირებს: ახალგაზრდა პორტუგალიელს „ატლეტიკოდან“ წაიყვანს, მადრიდელებს კი 26 მილიონ დოლარს გადაუხდის.

ახლა მადრიდული კლუბი ირწმუნება, ლეალის გაყიდვას არ ვაპირებთო, მაგრამ თუ არჩევნები მოიგო, ველარინიუსაც წინ, ალბათ, ვერაფერი დაუდგება. აქვე აღვნიშნოთ, რომ პორტუგალიელი ნახევარმცველი ადრე სწორედ „ბენფიკაში“ თამაშობდა. ამიტომ ამ შემთხვევაში უფრო მართებული იქნებოდა — მე თქვენ დაგიბრუნებთ.

**ნიკა შუბლაძე**

## ფეხბურთის [illegible]



**ინგლისური** „ლიდსის“ ფორვარდ მაიკლ ბრიჯისს მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ, რის გამოც იგი დაახლოებით ოთხ თვეს ვერ ითამაშებს. 22 წლის ფეხბურთელი წინა კვირას ჩემპიონთა ლიგაში „ბეშიქთაშის“ წინააღმდეგ შეხვედრაში დაშავდა. „მაიკლის ტრავმა ძალიან საშწუხაროა. იგი ხანგრძლივი დროით დაგვაკლდება“ — განაცხადა ლიდსელთა მწვრთნელმა დევიდ ოლირიმ. აღსანიშნავია, რომ შარშანდელი სეზონი ბრიჯისმა ერთობ ძლიერად ჩაატარა და 22 გოლი გაიტანა.

**ფრანგული მარსელის „ოლიმპიკიდან“ მცველი სებასტიან პერესი მიდის. „ხშირად მეუბნებიან, რომ კლუბის ტაქტიკურ გეგმებს ვერ მოვერგე. დავიღალე, მარსელში თამაში აღარ მსურს“ — განაცხადა პერესმა, რომელიც „ოლიმპიკში“ ორი სეზონის წინ „ბასტიადან“ ჩაირიცხა, მანამდე კი „ბლექბერნ როვერსში“ თამაშობდა. ფეხბურთელის უიღბლობას ახლა ტრავმაც დაერთო, მან მუხლი დაიზიანა და ველარ ვარჯიშობს. მცველის შეძენას სეზონის დასაწყისში „მონაკო“ აპირებდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა.**

**ინგლისის** მეორედივიზიონური „სუინდონის“ მწვრთნელი კოლინ ტოდი ამიერიდან „დერბი ქაუნთის“ კრიზისიდან თავის დაღწევაში დაეხმარება — იგი ჯიმ სმიტის თანაშემწედ დაინიშნა. ქვედალიგურ კლუბს მწვრთნელის გაშვება არ სურდა, მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ პრემიერლიგელებმა თავისას მიაღწიეს. ტოდი „სუინდონს“ ექვსი თვე წვრთნიდა. აღვნიშნოთ, რომ 57 წლის სპეციალისტი თავის დროზე სწორედ „დერბიში“ თამაშობდა და 1972 და 1975 წელს ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. „კოლინი დერბიში ჩამოსასვლელად მზადაა. მართალია, ზოგიერთი დეტალი შესათანხმებელია, მაგრამ ეს ალბათ სულ მალე მოგვარდება“ — განაცხადა გიორგი ქინქლაძის ამჟამინდელი გუნდის აღმასრულებელმა შეფმა კიტ ლორინგმა.

**შოტლანდიურმა „დანდიმ“ „ბოლონიადან“ მეკარე მარკო როკატი ინათხოვრა. ფეხბურთელი „დენს პარკზე“ ალბათ სეზონის ბოლომდე დარჩება, სადებიუტო მატჩი კი შესაძლოა შაბათს „დანფერმლაინის“ წინააღმდეგ ჩაატაროს. „არ გამოვრიცხავ, მარკო საბოლოოდ შევიძინოთ. ახლა მთავარია, მან სეზონის დარჩენილ ნაწილში თავი გამოიჩინოს“ — განაცხადა „დანდის“ იტალიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ. ისიც გავიხსენოთ, რომ გიორგი ნემსაძის გუნდი ცოტა ხნის წინ მეკარე რობ დუგლასმა დატოვა, რის გამოც ბონეტი იძულებული გახდა, ბრიტანეთში თავისი თანამემამულე მიეწვია.**

**გერმანელი** ფორვარდის, კარსტენ იანკერის შეძენა „სარაგოსას“ გადაუწყვეტია. ესპანელები ძლიერ თავდამსხმელს მას შემდეგ ეძებენ, რაც სავო მილოშევიჩი „პარმაში“ გაყიდეს. სააგენტოების ცნობით, პრიმერადივიზიონის კლუბსა და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია და არ არის გამორიცხული, ტრანსფერი მალე შედგეს.

**ინგლისურმა „ბრედფორდმა“ სტენ კოლიმორს სეზონის ბოლომდე გაუფორმა კონტრაქტი. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ფეხბურთელი „ლესტერიდან“ უმსგავსო საქციელის გამო გარიცხეს. 29 წლის ჭირვეულ ფორვარდს ინგლისის ნაკრებში მხოლოდ სამი შეხვედრა ჩაუტარებია. არადა, 1995 წელს მან ბრიტანული სატრანსფერო რეკორდი დაამყარა, როცა „ნოტინგემ ფორესტიდან“ „ლივერპულში“ 8,5 მილიონ გირვანქად გადავიდა. მერე კოლიმორი „ასტონ ვილაში“ მოხვდა, „ლესტერში“ კი წლეულს თებერვალში ჩაირიცხა.**

# გავუშვათ, არ გავუშვათ

**დანიური** „კოპენჰაგენის“ პრეზიდენტმა ნილს კრისტიან ჰოლმსტრიომმა თქვა, რომ ყაბულსაა, გუნდიდან გაუშვას როი ჰოჯსონი, თუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას გადაწყვეტს.

თავიდან მოვყვეთ. კევინ კიგანის გადადგომის შემდეგ უამრავ ადამიანზე ითქვა, მწვრთნელების კანდიდატიაო. იუმორის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებულებმა პოლ გესქოინიც ახსენეს. უმთავრეს პრეტენდენტებად კი სამს მოიხსენიებენ: როი ჰოჯსონს, სვენ გორან ერიკსონსა და არსენ ვენგერს. ადრე ფავორიტად მიჩნეულ ტერი ვენეიბლზს, როგორც ჩანს, წყალი შეუდგა.

როგორც კი ჰოჯსონის გვარმა გაიჟღერა, „კოპენჰაგენის“ თადარიგიანმა პრეზიდენტმა თქვა, ეგ კაცი ჩვენთან სამი თვის მოსულია და არსად გავუშვებთო, მაგრამ თუ თავში მოყვანილი მისი ნათქვამით ვიმსჯელებთ, აზრი შეუცვლია.

## უნგრეთი

### XIII ტური. A ჯგუფი

**ნიირშეგი — დუნაფერი 2:5; ტატაბანია — დიორ ეტო 3:3; ფერენცვაროში — შოპრონი 2:1; ჰონვედი — ჰალადაში 2:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 13 | 7 | 5 | 1 | 35:19 | 26 |
| ტატაბანია | 13 | 7 | 5 | 1 | 28:18 | 26 |
| ფერენცვაროში | 13 | 6 | 3 | 4 | 23:20 | 21 |
| შოპრონი | 13 | 6 | 1 | 6 | 21:23 | 19 |
| დიორ ეტო | 13 | 5 | 3 | 5 | 20:21 | 18 |
| ჰონვედი | 13 | 3 | 5 | 5 | 18:20 | 14 |
| ჰალადაში | 13 | 2 | 4 | 7 | 13:24 | 10 |
| ნიირშეგი | 13 | 3 | 0 | 10 | 10:29 | 9 |

### B ჯგუფი

**ვაშაში — დებრეცენი 3:1; უიპეშტი — ნადიკანიჟა 4:2; ვიდეოტონი — პეჩი 3:2; ზალაეგერსეგი — მტკ 2:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 13 | 8 | 3 | 2 | 30:10 | 27 |
| უიპეშტი | 13 | 7 | 3 | 3 | 32:18 | 24 |
| ვაშაში | 13 | 6 | 4 | 3 | 20:11 | 22 |
| დებრეცენი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:19 | 20 |
| ვიდეოტონი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:20 | 18 |
| ზალაეგერსეგი | 13 | 3 | 7 | 3 | 11:18 | 16 |
| პეჩი | 13 | 2 | 2 | 9 | 12:23 | 8 |
| ნადიკანიჟა | 13 | 2 | 2 | 9 | 12:39 | 8 |

## ამხანაგური მატჩი

### აშშ 2:0 მექსიკა

**1:0 დონოვანი (50), 2:0 ვოლფი (79)**

## პოლონეთი

### ლიგის თასის მეოთხედფინალი. I მატჩები

**ზაგლებე — პოლონია 1:0; რადომსკო — გურნიკი 3:2; ამიცა — პოგონი 2:2; ლეგია — ვისლა 1:1**

## რუმინეთი

**მე-10 ტური: როკარი — დინამო 1:3; ნაციონალი — სტიაუა 1:2; გლორია — ბაკეუ 2:1; ფორესტა — არჯეში 2:2; უნივერსიტატია — გაც მეტანი 2:1; რაპიდი — ჩაჰლაული 1:1; ბრაშოვი — პეტროლული 1:0; ასტრა — ოცელული 2:1**

**პირველობის** ლიდერ კრაიოვას „უნივერსიტატიას“ ახალი თავკაცი ჰყავს. ამ პოსტიდან გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე გადასული ფლორინ მარინის ადგილი ნიკოლაე მანეამ დაიკავა. 46 წლის სპეციალისტი ჯერ კიდევ წინა კვირაში ბუქარესტის „რაპიდის“ მწვრთნელის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მთავარ მწვრთნელთან ერთად გაათავისუფლეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტატია | 10 | 6 | 3 | 1 | 14:7 | 21 |
| სტიაუა | 10 | 6 | 2 | 2 | 21:16 | 20 |
| ბრაშოვი | 10 | 5 | 3 | 2 | 6:3 | 18 |
| პეტროლული | 10 | 5 | 2 | 3 | 14:11 | 17 |
| დინამო | 10 | 4 | 3 | 3 | 18:16 | 15 |
| ოცელული | 10 | 4 | 3 | 3 | 15:13 | 15 |
| არჯეში | 10 | 4 | 3 | 3 | 12:14 | 15 |
| როკარი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:17 | 14 |
| რაპიდი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:10 | 13 |
| ასტრა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:12 | 13 |
| ფორესტა | 10 | 3 | 4 | 3 | 13:15 | 13 |
| ბაკეუ | 10 | 3 | 3 | 4 | 15:16 | 12 |
| გლორია | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| ნაციონალი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:17 | 8 |
| ჩაჰლაული | 10 | 1 | 4 | 5 | 10:18 | 7 |
| გაც მეტანი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:12 | 5 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. A ჯგუფი

### ლევერკუზენი 1:0 სპარტაკი

1:0 ბალაკი (52)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, იენს ნოვოტნი, ჰოფმანი, რეები, რამელო, ბალაკი (ბრდარიჩი 75), ზე რობერტო (ვრანიეში 81), ნოივილი, კირსტენი, რინკი (ოჯიგვე 46)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, მარკაო (კალინიჩენკო 58), პარფიონოვი, ბეზროდნი, რობსონი
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: რიხარდ ვოიჩიკი (პოლონეთი)
20 000 მაყურებელი

**მაგარი** კაცია რუდი ფიოლერი. მის ხელში გერმანიის ნაკრებმა სამი თამაში ჩაატარა, ესპანეთთან (4:1), ინგლისთან (1:0) და საბერძნეთთან (2:0); „ლევერკუზენში“ დანიშვნის მერე დიდმა რუდიმ ორჯერ გაიყვანა გუნდი სათამაშოდ, ბუნდესლიგაში „დორტმუნდთან“ (2:0) და ლიგაში „სპარტაკთან“. მოკლედ, ხუთი თამაში — ხუთი მოგება, თან ერთადერთი გაშვებული გოლი.

მაგარი კაცია რუდი ფიოლერი, მაგრამ მან ვერ შეძლო „ლევერკუზენის“ ჯგუფიდან გაყვანა. ამისთვის გერმანელებს რუსთათვის 3:0 უნდა მოეგოთ, ხოლო ბოლო ტურში „სპორტინგი“ დაემარცხებინათ, იმის გათვალისწინებით, რომ „რეალი“ „სპარტაკს“ მოსკოვში მოუგებდა. იყო მეორე უფრო ძნელად შესასრულებელი ვარიანტიც: „ლევერკუზენი“ „სპარტაკს“ 2:0 უგებდა, მერე პორტუგალიელებს მინიმუმ სამი ბურთით ამარცხებდა, ხოლო „სპარტაკი“ ასევე მინიმუმ სამი ბურთით აგებდა ესპანელებთან.

ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ დაძრახავს ფიოლერს ამ ვარიანტების შეუსრულებლობისთვის. ამიტომ მატჩის შემდეგ გერმანულ ტელეარხზე სასაუბროდ მიწვეულ მწვრთნელს უხასიათობა სულაც არ ეტყობოდა: „არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მაქსიმუმს მივაღწიეთ — უეფას თასზე ვითამაშებთ. მოდით, გულახდილად ვთქვათ: „სპარტაკს“ ძალიან იოლად შესასრულებელი ამოცანა ჰქონდა, სამი გოლი არ უნდა გაეშვა, ჩვენ კი „დორტმუნდთან“ მატჩის შემდეგ გადაღლილები ვიყავით. ერთი თხოვნაც მექნება — ლიგიდან გავარდნას კრისტოფ დაუმს ნუ დავაბრალებთ, მან ოთხი წლის მანძილზე გუნდისთვის ძალიან ბევრი გააკეთა“.

„თამაშით საოცრად უკმაყოფილო ვარ — ეს ოლეგ რომანცევის სიტყვებია — ფაქტობრივად, 5-6 კაცით ვითამაშეთ, დანარჩენები დამბლადაცემულებივით იყვნენ. თუმცა ბიჭებს მაინც და მაინც ვერ ვუსაყვედურებ. ძნელია სრული მობილიზაცია, როცა იცი, რომ ორბურთიანი წაგებაც ხელს გაძლევს“.

REUTERS ლევერკუზენიდან



გმადლობთ კრისტოფ! — ლევერკუზენელი ქომაგები „სპარტაკთან“ თამაშისას

იმ ხუთ-ექვს კაცს შორის იყო რუსთა კაპიტანი ეგორ ტიტოვი, რომელმაც, რუდი ფიოლერის თქმით, ბრწყინვალედ ითამაშა.

ერთადერთი გოლი საკმაოდ იშვიათი სტანდარტული სიტუაციიდან გავიდა — საჯარიმოს შიგნით, ზედ პენალტის ნიშნულთან დანიშნული თავისუფალი საჯარიმო დარტყმით, რომელიც კუთხურის ჩაწოდების შემდეგ რუსი მცველის სახიფათო თამაშს მოჰყვა. შესრულება მიხაელ ბალაკმა ითავა და დაგორებული ბურთი კარიდან გამოვარდნილ ალექსანდრ ფილიმონოვს თავზე გადაავლო, ხარიხას მოახვედრა და ბადეში გაახვია.

### რეალი 4:0 სპორტინგი

1:0 გუტი (11), 2:0 სავიო (41), 3:0, 4:0 მორიენტესი (61, 69)
რეალი: სესარი, ჟერემი, კამპო, რობერტო კარლოსი (სოლარი 68), ელგერა, მაკელელე, სელადესი, გუტი, სავიო, ფიგუ (მაკმანამანი 52), მუნიტისი (მორიენტესი 61)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სპორტინგი: ნელსონი, პრატესი, დიმაში, ბეტუ სევერუ, ანდრე კრუზი, დელფიმი (ბინუ 46), მაპონი (აკოსტა 46), ზა პინტუ, უგო (ბარბოსა 68), ჟოაუ პინტუ, მპენზა
მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
55 000 მაყურებელი

**„თქვენთვის** ორი ამბავი მაქვს, კარგი და კარგი — მომლიმარმა ვისენტე დელ ბოსკემ ამ სიტყვებით გახსნა მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია — ერთი კარგი ამბავი ისაა, რომ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ, მეორე კი — უმოტივაციოდ დარჩენილმა ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდებულად ითამაშეს“.

„რეალი“ ჯგუფიდან უკვე მეოთხე ტურის მერე იყო გასული, ამიტომ დელ ბოსკესგან ნახარები პირველი ამბავი ცოტა მოძველებულია. ახლა რაც შეეხება მეორეს. მწვრთნელმა ჩვეული სასტარტო შემადგენლობიდან იკერ კასილიასი, ფერნანდო იერო და რაული დაასვენა, მეორე ტაიმში ერთმანეთის მიყოლებით შეცვალა რობერტო კარლოსი, ლუიშ ფიგუ და პედრო მუნიტისი. რა მივიღეთ? ის, რომ სახეშეცვლილ სასტარტო შემადგენლობას „რეალისთვის“ არაფერი დაუკლია, ხოლო სტივ მაკმანამანისა და ტრავმამოშუშებული ფერნანდო მორიენტესის გამოყვანამ „სამეფო კლუბი“ უფრო გააძლიერა.

„შეუძლებელია, არ ალფრთოვანდე მორიენტესით — თქვა დელ ბოსკემ — ამდენი ხანი გაუცდა და მის ფორმას არაფერი დასტყობია. მაკმანამანით და სოლარითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. მათ დაამტკიცეს, რომ მუდამ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ იმსახურებენ“. აღვნიშნოთ, რომ ფიგუს ნაცვლად შესული მაკა ბრწყინვალედ ანაწილებდა პასებს, ხოლო მორიენტესმა თავისი პირველი, „რეალისთვის“ კი მესამე გოლი მოედანზე გასვლისთანავე, ბურთთან პირველივე შეხებით გაიტანა.

ჟურნალისტებმა დელ ბოსკეს ჰკითხეს, დღეს მაკმანამანს აქებთ, აქამდე კი მის გაყიდვასა თუ იჯარით გაშვებაზე საუბრობდითო. მწვრთნელმა ოსტატურად აარიდა თავი პირდაპირ პასუხს — იმაზე ვფიქრობ, რომ ჩემპიონთა ლიგა უნდა მოვიგოთ, ტრანსფერებისთვის არ მცალიაო.

„რეალი“ სერიოზულად უმიზნებს ჩემპიონთა თასის მეცხრედ მოპოვებას. დელ ბოსკემ ისიც თქვა: „გასულ სეზონში ჩემპიონები გავხდით, მაგრამ მაშინ ბევრად უფრო ცუდად ვთამაშობდით, ვიდრე ახლა და შანსიც უკეთესი გვაქვს“. ულვაშა რეალელის აზრს იზიარებენ ლონდონელი ბუქმეიკერებიც, რომლებიც უპირველეს ფავორიტებად „რეალს“ და „ლაციოს“ მიიჩნევენ.

პირველ ტაიმში გატანილი გოლები არ გვიხსენებია და მათ ახლა მივუბრუნდეთ. პირველი გოლი ფიგუსა და კაპიტნის სამკლაურიანი გუტის ერთობლივი გარჯის შედეგია, თუმცა პორტუგალიელის დამსახურება მაინც უფრო მეტია. ფიგუ მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა თანამემამულეთა საჯარიმოში და მისი დარტყმული რიკოშეტის შემდეგ საკმაოდ უცნაური ტრაექტორიით შორეულ ძელთან გუტის თავზე დააჯდა, მან კი კარში გადაგზავნა. ტაიმის მიწურულს უკვე გუტი შეიჭრა მარცხენა ფლანგიდან და უმეთვალყურეო სავიოს ჩააწოდა.

ეჰ, საწყალი აუგუსტო ინასიო. ვინ იცის, ეგებ შეეწიროს კიდეც ლიგაში ასეთ საშინელ ჩავარდნას. თამაშის შემდეგ კი მან თქვა: „ჩემი ბიჭებისგან მეტს ველოდი, არ გამოვიდა. „რეალი“ ძალიან ძლიერი გუნდია“.

**გიორგი დარჯანია**

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 1:0 | 5:3 | 4:0 | 15:7 | 13 |
| 2 | სპარტაკი | 7.11 | | 2:0 | 3:1 | 8:3 | 9 |
| 3 | ლევერკუზენი | 2:3 | 1:0 | | 3:2 | 9:12 | 6 |
| 4 | სპორტინგი | 2:2 | 0:3 | 7.11 | | 5:15 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. B ჯგუფი

### არსენალი 4:2 სპარტა

1:0 პარლოუ (5), 2:0 ლორენი (7), 3:0 დიქსონი (35), 3:1 ლაბანტი (40პ), 4:1 კანუ (51), 4:2 როსიცკი (90)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვიეასი, ლუჟნი, სილვინიო (ეშლი კოული 46), პირესი (ბერხკამპი 62), ვიეირა, პარლოუ, ლორენი, კანუ, ანრი (ვილტორდი 71)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სპარტა: პოსტულკა, ლაბანტი, ჰორნაკი, ბოლფი, ირჟი ნოვოტნი, ჰაშეკი, სიონკო (პაპუშეკი 85), როსიცკი, იაროშიკი, იუნი (მინარი 46), კინჩლი
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)
34 497 მაყურებელი

**„ორმა** ადრეულმა გოლმა „არსენალს“ დიდი უპირატესობა მიანიჭა. ამის შემდეგ წარმატებაზე ველარც ვიოცნებებდით. თუმცა, დასაწყისშივე ჩვენს სასარგებლოდ პენალტი რომ დაენიშნათ, ვინ იცის, რა მოხდებოდა“ — „სპარტას“ მწვრთნელის ივან ჰაშეკის ეს სიტყვები მატჩის არსს გამოხატავს კიდეც და არც გამოხატავს — „არსენალი“ იმდენად სჯობდა მეტოქეს, რომ ალბათ ვერანაირი პენალტი მათ სულისკვეთებას წინ ვერ აღუდგებოდა.

ჰაშეკი მესამე წუთზე მომხდარ ეპიზოდზე ლაპარაკობდა, როცა ლი დიქსონს საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ ლუქსემბურგელმა მსაჯმა ალენ ჰამერმა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. ეს იყო და ეს. მერე ჩრდილოლონდონელებმა ისეთი ცეცხლი დაანთეს, „ჰაიბერი“ კინაღამ ჭკუიდან შეშალეს. დაწყებიდან სულ შვიდი წუთი გასულიყო და მეთოფეები უკვე ორი გოლით დაწინაურდნენ: ჯერ პარლოუმ, მერე კი ლორენმა ჩეხებს თავიდანვე მოუთავეს ხელი. მოგვიანებით დიქსონმა და კანუმ კიდევ ორჯერ დააწყებინეს სტუმრებს ცენტრიდან. „არსენალი“ ისე მძლავრად უტევდა, რომ სპარტელები მათთან შედარებით პატარა ბავშვებს დაემსგავსნენ. ის ორი გოლიც, ჩეხებმა რომ გაიტანეს, უფრო მასპინძელთა ზედმეტი სილაღის ბრალი იყო, ვიდრე ჩეხების ოსტატობისა. განსაკუთრებით პირველი, როცა მისტერ დევიდ სიმენს მარეკ კინჩლის დარტყმული ხელიდან გაუვარდა და მერე იმდენი მოახერხა, მსაჯს პენალტი დაანიშნინა. ნაჩუქარი თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა ვლადიმირ ლაბანტმა.

„არსენალს“ ანგარიშის გაზრდის კიდევ არაერთი შანსი ჰქონდა. ტიერი ანრისა და შეცვლაზე შესულ სილვენ ვილტორდს სულ ცოტა დააკლდათ, თორემ „სპარტას“ მთლად თავლაფდასხმულს გაისტუმრებდნენ პრაღაში.

„მართალია, მატჩის ბედი დასაწყისშივე გადავწყვიტეთ, მაგრამ ეს ჩვენს სიძლიერეზეც მეტყველებს. შინ ყველა თამაში მოვიგეთ და ამით მეტად კმაყოფილი ვარ. წინა წლებში, „უემბლიზე“ თამაშისას, ნამდვილად არ გვიმართლებდა, „ჰაიბერი“ კი მართლაც „არსენალის“ სახლია — თქვა მეთოფეთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა — ახლა, ჯგუფის ბოლო მატჩი დონეცკში გველის. არავის ეგონოს, რომ უკრაინაში ტურისტებად გავემგზავრებით. ჩვენთვის მოტივაცია ყოველთვის არსებობს და იქაც უნდა გავიმარჯვოთ. ვფიქრობ, დიდებული გუნდი გვყავს, რომლის მებრძოლი სული კიდევ ბევრჯერ გამოჩნდება“.

საინტერესოა, რომ მასპინძელთა ოთხივე გოლის ავტორებმა წლევანდელ სეზონში პირველად გაიტანეს. ჩვეულებრივ, ისინი მეგოლეებად არ ითვლებიან და ეს ამბავი მეთოფეთა დიდ პოტენციალს კიდევ უფრო წარმოაჩენს.

REUTERS რომიდან



ლაციო — შახტარი 5:1. დონეცკელი სერგეი ატელკინი (მარცხნივ) და რომაელი ხუან სებასტიან ვერონი

### ლაციო 5:1 შახტარი

0:1 ვორობეი (42), 1:1 კლაუდიო ლოპესი (48), 2:1 ფავალი (54), 3:1 ვერონი (57), 4:1, 5:1 კლაუდიო ლოპესი (68, 90)
ლაციო: პერუცი, ფავალი, ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, პანკარო, ლომბარდო (სენსინი 71), ბარონიო (სტანკოვიჩი 46), ნედვედი, ვერონი, ს. ინძაგი (კრესპო 46), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
შახტარი: ვირტი, ალიუტა (ბიელიკი 70), გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი (ხმარკო 76), ბახარევი, კოვალევი (სტაროსტიაკი 84), ზუბოვი, ატელკინი, ვორობეი, ოკორონკვო
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო
მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)
30 000 მაყურებელი

**არგენტინელი** კლაუდიო ლოპესის ჰეთ თრიქს თითო გოლი ფავალიმ და ვერონმაც დაამატეს და „ლაციომ“ „შახტარი“ 5:1 გაანადგურა. პირველი წუთიდანვე ნათელი გახდა, რომ გუნდებს შორის ოსტატობაში ძალიან დიდი განსხვავება იყო. „ლაციო“ განუწყვეტლივ უტევდა, მაგრამ კვლავ ჩინებულად თამაშობდა დონეცკელთა მეკარე იური ვირტი. რომაელებმა იმდენი მომენტი ვერ გამოიყენეს, ერთმანეთს გაოგნებულნი შეხედავდნენ ხოლმე. ტაიმის ბოლოს კი... უკრაინელებმა სწრაფი კონტრშეტევა მოახერხეს და საჯარიმოში შეჭრილმა ანდრეი ვორობეიმ ცაციათი მარცხენა ცხრიანში შეაგდო. თუმცა, ჯობდა არ გაეტანა, ეგებ „ლაციოში“ მხეცი ბოლომდე არ გაეღვიძებინა. დაიწყო თუ არა მეორე ტაიმი, სტუმართა კარს გოლების სეტყვამ გადაუარა. ცხრა წუთში რომაელებმა სამი ბურთი შეაგდეს და საქმე ამით მოამთავრეს. ბოლო ორი გოლი კი ლოპესმა ქომაგთათვის ჩაროზად თუ გაიტანა.

„შესვენებაზე ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ „ლაციო“ ასეთ შედეგს არაფრით შეურიგდებოდა და მძლავრად შემოგვიტევდა. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღებით თამაში ვთხოვე. სამწუხაროდ, დავალება ვერ შესრულდა. პირველი ორი გოლი ხომ დაცვის მოდუნების გამო გავუშვით.

„ლაციოსთან“ და „არსენალთან“ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელმა მატჩებმა კარგად დაგვანახა, თუ რამდენი სამუშაო გვაქვს, რათა მომავალში უფრო ღირსეულად ვითამაშოთ“ — განაცხადა დონეცკელთა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ.

„პირველი ტაიმის წაგების შემდეგ ჩემმა ფეხბურთელებმა ნამდვილი მებრძოლი სული გამოავლინეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მიხარია, რომ ლოპესმა და კრესპომ ასე კარგად ითამაშეს. მათ ხომ ტრავმები ახლახან მოიშუშეს“ — თქვა რომაელთა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა.

**სოლომონ ბულისაშვილი**

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:0 | 4:2 | 3:2 | 11:5 | 13 |
| 2 | ლაციო | 1:1 | | 3:0 | 5:1 | 12:4 | 10 |
| 3 | სპარტა | 0:1 | 7.11 | | 3:2 | 6:12 | 3 |
| 4 | შახტარი | 7.11 | 0:3 | 2:1 | | 5:15 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. C ჯგუფი

### ჰერენვენი 0:2 ლიონი

**0:1 მალბრანკი (68), 0:2 მარლე (78)**
**ჰერენვენი: ვონკი, ვენემა, კლომპე, ჰანსმა, დე ნოიერი, ტალანი (კოლკი 68), რადომსკი (ვან გესელი 25; დენებუმი 71), იენსენი, ნურმელა, პუიზინგი, ლურლინგი**
**მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი**
**ლიონი: კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, ლაკილი, ბრეშე, ლინარესი, ვიოლო, ს. ანდერსონი (მალბრანკი 33), მარლე, ვერელი (მიულერი 82), დელმოტი (დორასო 60)**
**მწვრთნელი: ჟაკ სანტინი**
**მსაჯი: ლუშილიუ კარდოზო (პორტუგალია)**
**14 000 მაყურებელი**

**ლიონს** ჰერენვენში რომ წაეგო (რაც წინა ტურში „ოლიმპიკოსს" დაემართა), ფრანგები ლიგის მიღმა რჩებოდნენ. „ლიონს" ჰერენვენიდან მხოლოდ ერთი ქულა რომ წამოეღო, მაინც ლიგის მიღმა რჩებოდა. ზუსტად იგივე ითქმის ჰოლანდიელებზეც, ფრე ან წაგება მათთვის გავარდნის ტოლფასი იყო, თუმცა ერთი განსხვავება მაინც არის — „ჰერენვენს" ჩარჩენისთვის არავინ დაძრახავდა.

ისე, დიდი კერკეტი კაკალი ყოფილა ფოპ დე ჰაანის გუნდი: აქამდე, ორ საშინაო შეხვედრაში, აშკარა აუტსაიდერობის მიუხედავად მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ახლაც 68-ე წუთამდე არ ტყდებოდა.

თამაში მასპინძელთა სახიფათო შეტევით დაიწყო. პირველივე წუთებზე მიკა ნურმელამ რივალდოობა მოინდომა და მის სტილში შეასრულა საჯარიმო. ფრანგმა მეკარე გრეგორი კუპემ კი წინა დღით პოლ რობინსონის საგმირო საქმეები გაიხსენა და მისებრ აული.

როგორ ფიქრობთ, რამდენი წუთის შემდეგ შეიქმნა მეორე სახიფათო მომენტი „ლიონის" კართან, ან თუნდაც მეორე მხარეს? ტაიმის მიწურულს, 42-ე წუთზე. ენტონი ლურლინგი ფრანგ მცველებს დაუძვრა და სტუმრები ისევ კუპეს ყოჩაღობამ იხსნა. შესვენებამდე მეტი არაფერი მომხდარა. თუმცა, როგორ არა — 33-ე წუთზე სონი ანდერსონი სტედ მალბრანკმა შეცვალა, რომელმაც მეორე ტაიმში გოლი გაიტანა.

მასპინძლებს უმეთვალყურეოდ დარჩათ მალბრანკი. ფეხბურთელს თითქმის არავინ უშლიდა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარე ჰანს ვონაკმა მოიგერია და მალბრანკმა მხოლოდ დამატებაზე ივარგა.

„ჰერენვენი" მოეშვა, „ლიონი" პირიქით — გახალისდა. შედეგად ფრანგებმა ათ წუთში მეორეც შეაგდეს და მინიმუმ უეფას თასზე გადასვლა გაინაღდეს. და ლიგა? ლიგის მეორე ეტაპამდე „ლიონს" ერთი გოლი აშორებს: თუ ბოლო ტურში ფრანგები შინ „ოლიმპიკოსს" თუნდაც 1:0 მოუგებენ, ისინი მეორე ადგილზე გადიან.

### ოლიმპიაკოსი 1:0 ვალენსია

**1:0 ჯორჯევიჩი (65პ)**
**ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ამანატიდისი, გეორგატოსი (ალექსანდრისი 59), პაცაცოღლუ, ჯორჯევიჩი, კონტისი, ზე ელიასი, ზეტერბერგი, ჯოვანი, ხუტოსი (ანატოლაკისი 74), ლუსიანო (იანაკოპულოსი 59)**
**მწვრთნელი: იანის მაცურაკისი**
**ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, ხერარდო, ანგულო, დეშამპი, ალბელდა (მიია 49), ვისენტე, დიეგო ალონსო (კარეუ 66), პარი (ანგლომა 80)**
**მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი**
**მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)**
**58 000 მაყურებელი**

**ექტორ რაულ კუპერმა** პირობა შეასრულა და ვერც შეასრულა. ერთი კვირის წინ, როცა „ვალენსიამ" ჯგუფიდან გასვლა გაინაღდა, არგენტინელი მწვრთნელი ამბობდა: „დარჩენილი ორი თამაშის იოლად დათმობას არ ვაპირებთ. ცხადია, ჩვენი მთავარი მიზანი ლიგის მოგებაა, მაგრამ არაფრისმომცემი თამაშების მოგებაც გვსურს". კუპერმა დანაპირები იმ თვალსაზრისით შეასრულა, რომ ბერძნები ბლომად ანერვიულა და მხოლოდ პენალტით წააგო. რაც შეეხება პირობის არშესრულებას, ამაზე ქვემოთ.

როცა ვამბობთ, რომ ესპანელებმა ბერძნები ანერვიულეს, არ ნიშნავს, თითქოს ისინი ბევრს უტევდნენ და უალრესად სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ. პირიქით, ფაქტობრივად არ გადასულან მეტოქის ნახევარზე. მათი თამაში ვარჯიშებს ჰგავდა, როცა მწვრთნელი ფეხბურთელებს ეუბნება: აბა, ახლა თავდაცვისუნარიანობა შევამოწმოთ და ვნახოთ, როგორ გვეხერხება საჯარიმო მოედნამდე მოსული მეტოქის იერიშების მოგერიებაო.

მიუხედავად იმისა, რომ ვალენსიელები ასე ან დაახლოებით ასე თამაშობდნენ, მათ სასახელოდ უნდა ითქვას — გამუდმებულ შეტევებში გართულ „ოლიმპიაკოსს" სულ რამდენჯერმე შეაქმნევინეს მართლაც სახიფათო მომენტი.

ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგაში პირველად მოთამაშე ლამბროს ხუტოსს არ გაუმართლა — სანტიაგო კანისარესის კართან ხუთიოდე მეტრში მდგომმა პრედრაგ ჯორჯევიჩისგან მიღებული ბურთის აცილება მოახერხა. ეს პირველ ტაიმში იყო, გოლი კი შესვენების შემდეგ გავიდა: ფრანგთა ყველაფრის მომგები ნაკრების ოდინდელმა კაპიტანმა დიდიე დეშამპმა საკუთარ საჯარიმოში შეცვლაზე შესული სტელიოს იანაკოპულოსი დასცა და პენალტი ჯორჯევიჩმა გაიტანა.

დაიმსახურეს და მოიგესო — თქვა მატჩის შემდეგ კუპერმა. მისმა ბერძენმა კოლეგამ იანის მაცურაკისმა აღნიშნა: „გაგვიჭირდა. დიდ უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ სტუმრები თავს ერთობ კარგად იცავდნენ, თუმც მთავარი ხომ ანგარიშია. ჩვენ მოვიგეთ და ამით კმაყოფილი ვარ".



ოლიმპიაკოსი — ვალენსია 1:0. მასპინძელთა ბრაზილიელი ზე ელიასი გამარჯვების მისაღწევად ფრენასაც არ მორიდებია

**გიორგი დარჯანია**

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 2:1 | 1:0 | 7.11 | 6:3 | 12 |
| 2 | ოლიმპიაკოსი | 1:0 | | 2:1 | 2:0 | 6:4 | 9 |
| 3 | ლიონი | 1:2 | 7.11 | | 3:1 | 7:6 | 6 |
| 4 | ჰერენვენი | 0:1 | 1:0 | 0:2 | | 2:8 | 3 |

## ჩემპიონთა ლიგა. V ტური. D ჯგუფი

### შტურმი 2:0 რეინჯერსი

**1:0 იურანი (20), 2:0 პრილასნიგი (90)**
**შტურმი: შიკლგრუბერი, პოპოვიჩი, ნოიკირხნერი, კორსოში, მამედოვი, შუპი, რაინმაიერი (მინავანდ ჩალი 46), ფლურკინი, პრილასნიგი, იურანი (შტრაფნერი 64), კოციანი**
**მწვრთნელი: ივიცა ოსიმი**
**რეინჯერსი: კრისტიანსენი, პორინი (ნეგრი 78), ამორუზო, კონტერმანი, ნუმანი, კანჩელსკისი, ფერგიუსონი, თუგაი, ვან ბრონკჰორსტი (მაკკანი 55), რ. დე ბური, უოლესი (დოდსი 73)**
**მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი**
**გაძევება: ნუმანი (85)**
**მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)**
**15 400 მაყურებელი**

**გრაცის** „შტურმი" საკუთარ „არნოლდ შვარცენეგერზე" დაუმარცხებელი გუნდია.

აი, კიდევ ერთი მაგალითი — ოთხშაბათს „შტურმმა" შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს" შანსი არ დაუტოვა და 2:0 მოუგო.

„დღეს განსაკუთრებულად კარგად ვითამაშეთ. ბიჭებმა მტკიცე დისციპლინა და მებრძოლი სულისკვეთება გამოამჟღავნეს. თავიდან ვნერვიულობდი, მთავარი იყო, პირველი გოლი ჩვენ არ გაგვეშვა, ეს გეგმებს აგვირევდა. ბოლო ტურის წინ თუ ლიდერები ვიქნებოდით, ვერც წარმოვიდგენდი. ყველაფერი ჩინებულადაა, თუმცა გუნდი დიდ ზეწოლას განიცდის და ამას უნდა გავუძლოთ" — თქვა „შტურმის" მთავარმა მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა ნამატჩევს.

ტრიბუნებზე შეკრებილმა 15 400 ქომაგმა „არნოლდ შვარცენეგერი" კმაყოფილმა დატოვა.

მატჩი თვალსასეირო გამოვიდა. სწრაფი ტემპი და ორმხრივი იერიშები შეხვედრას წუთით არ მოჰკლებია. ეგაა, გოლები მხოლოდ ერთი გუნდის კარში გავიდა.

მე-20 წუთზე გარუსებულმა უკრაინელმა სერგეი იურანმა, რომელსაც ამ მატჩამდე წლევანდელ გათამაშებაში კაპიკის საქმე არ გაუკეთებია, ჩინებულად ითამაშა, პრილასნიგისა და რაინმაიერის წამოწყებულ შეტევას კარგი გაგრძელება მოუძებნა, ერთი მოძრაობით ფერგიუსონი და მეკარე კრისტიანსენი ჩამოიშორა და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო. წონასწორობის აღდგენა სტუმრებს პირველ ნახევარში სამჯერ მაინც შეეძლოთ, მაგრამ თუგაიმ, კანჩელსკისმა და ვან ბრონკჰორსტმა ვერ ივარგეს. არ გეგონოთ, „შტურმი" უსაქმოდ ყოფილიყო — რამდენჯერმე სხვაობის გაზრდის შესაძლებლობა მათაც გაუშვეს.

მეორე ტაიმში ძირითადად შოტლანდიელები უტევდნენ, „შტურმი" კი კონტრიერიშების იმედად იყო. ოსიმის ტაქტიკამ გაამართლა — მატჩის მიწურულს მასპინძლებმა „რეინჯერსის" დაცვის მოშიშვლებით ისარგებლეს, მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირეს და პრილასნიგმა სტუმართა სათადარიგო მეკარე კრისტიანსენს მეორედ გაუტანა. ამ დროს შოტლანდიური კლუბი რიცხობრივ უმცირესობაში იყო — მსაჯმა 85-ე წუთზე ჰოლანდიელ მცველ არტურ ნუმანს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და ცხადია, მინდვრიდანაც დაითხოვა.

„დაცვით აღშფოთებული ვარ. სწორედ მათი შეცდომების გამო გავუშვით გოლები. ნუმანიც უსამართლოდ გაგვიძევეს. ისე, რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს ტრავმა ბოლომდე არც ჰქონდა მოშუშებული" — თავი იმართლა ნამატჩევს „რეინჯერსის" თავკაცმა დიკ ადვოკაატმა.

ამ მოგებით „შტურმი" პირველ ადგილზე ალზევდა და ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსიც გაუჩნდა. ბოლო ტურში ავსტრიელებს სტუმრად „გალათასარაისთან" ფრეც ჰყოფნით. ხოლო თუ „რეინჯერსი" — „მონაკოს" შეხვედრა ფრედ დასრულდება, „გალა" — „შტურმის" მატჩის შედეგს ავსტრიელთათვის აზრი დაეკარგება.

### მონაკო 4:2 გალათასარაი

**1:0 კონტრერასი (6), 2:0 ბონალი (19), 3:0 სიმონე (22), 3:1 ჰაქან უნსალი (24), 4:1 ნონდა (26), 4:2 ბიულენთ ქორქმაზი (63)**
**მონაკო: პორატო, კონტრერასი (ლეონარი 68), მარკეში (ირლი 42), კრისტენვალი, ჯეტუ, ჟიული (დაბო 65), გალიარდო, სიმონე, ჟურიეტი, ნონდა, ბონალი**
**მწვრთნელი: კლოდ პუელი**
**გალათასარაი: ქერემი, ბიულენთ ქორქმაზი, პოპესკუ, ოკანი, სუათი (ჰასან სასი 66), ჟარდელი, ჰაჯი (ბიულენთ აქინი 42), დავალა უმითი, ჰაქან უნსალი, კაპონე, ერგუნი**
**მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ**
**გაძევება: ჟურიეტი (60), ჯეტუ (63)**
**მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)**
**18 000 მაყურებელი**

**კარგი** თამაში იყო — ბევრი გოლით, უფრო მეტი საგოლე მომენტით, რამდენიმე გაფრთხილებით და ორი გაძევებით.



მონაკო — გალათასარაი 4:2. მონაკოელ მარტინ ჯეტუს თურქ ოკან ბურუქთან (№7) ხისტი თამაში გაძევებად დაუჯდა

მე-60 წუთზე მასპინძლებს ჟურიეტი გაუგდეს. დიდი არაფერი ყოფილა — ფრანგმა მცველმა ჰაქან უნსალს ფეხებში წაარტყა, თურქი კი ლამის ერთ მეტრზე ახტა, სახე დაიმანჭა და ისეთი იღრიალა, „გალათასარაის" მთელი სათადარიგო სკამი წამოიშალა. ნორვეგიელი რუნე პედერსენიც ანკესზე წამოეგო და ჟურიეტის პირდაპირ წითელი ბარათი უჩვენა. არადა, გაფრთხილება რომ ეკმარა, არც არავინ დაძრახავდა. „მონაკო" ათი კაცით დარჩა. ამ ჯარიმიდან ჩაწოდებული ბურთი ბიულენთმა თავით კარში გადაგზავნა. ანგარიში 4:2 გახდა. „მონაკომ" თამაში ცენტრიდან განაახლა, ბურთი დაკარგა და... ჯეტუს მსაჯმა უხეშობა არ აპატია, მეორედ გააფრთხილა და შესაბამისად, გააძევა კიდეც. „მონაკოს" რიცხობრივი უმცირესობა თვალშისაცემი გახდა. და მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ „გალათასარაი" მთელი ძალით შეუტევდა და ფსიქოლოგიურად გატეხილ მეტოქეს საკუთარ კარს მიაჯაჭვებდა, ცხრა მონაკოელმა გმირობა ჩაიდინა, თერთმეტ თურქს არ დაეჩაგვრინა. ეგ კი არა, აქეთ დაჯაბნა და ოდნავ რომ გამართლებოდა, ერთი-ორ გოლს კიდევ გაუტანდა. საბოლოოდ მასპინძლებმა ანგარიში შეინარჩუნეს და 4:2 გაიმარჯვეს.

პირველ ტაიმში კი ფრანგებმა თურქებს დიდი შტურმი მოუწყვეს. დისკვალიფიცირებული ტაფარელის ნაცვლად კარში ჩამდგარი ქერემი საცოდავი სანახავი იყო, მას „ლუი მეორეზე" ბომბავდნენ და ოთხჯერ „ააფეთქეს" კიდეც, ოთხჯერ კი არა, ხუთჯერაც, მაგრამ ერთხელ ბონალიმ „ფუჭი ნაღმი" ესროლა — მსაჯმა, თამაშგარე იყოო.

პირველ ნახევარში გაშვებულ ოთხ გოლს თურქებმა ერთით უპასუხეს — ჰაქან უნსალმა პორატო შეარცხვინა, როცა მახვილი კუთხიდან ახლო კუთხეში გაუტანა.

„ახლა ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. იმედია, შოტლანდიაში ჰოვიგებთ და შემდეგ ეტაპზეც გავალთ. მართალია, ბიჭებს მოედანზე ვერ დავეხმარები, მაგრამ ტრიბუნიდან მთელი სულითა და გულით ვუქომაგებ" — თქვა გაძევებულმა ჟურიეტიმ ნამატჩევს.

**განო ოქრობირიძე**

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შტურმი | | 3:0 | 2:0 | 2:0 | 7:10 | 9 |
| 2 | გალათასარაი | 7.11 | | 3:2 | 3:2 | 8:11 | 7 |
| 3 | რეინჯერსი | 5:0 | 0:0 | | 7.11 | 8:5 | 7 |
| 4 | მონაკო | 5:0 | 4:2 | 0:1 | | 11:8 | 6 |

# სარბიელი

# სპორტული ლატარია
# "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. მე-10 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 23.15 | 001 | კოტბუსი-ბოხუმი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 002 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.30 | 003 | უნტერჰახინგი-ჰამბურგი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 18.30 | 004 | აინტრახტი-ფრაიბურგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 23.15 | 007 | შალკე-ლევერკუზენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 008 | მიუნხენ 1860-ჰერტა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 009 | კიოლნი-შტუტგარტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-10 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 010 | ნიურნბერგი-ქემნიცი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 011 | ნიურნბერგი-ქემნიცი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 012 | როიტლინგენი-არმინია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 013 | ალემანია-ოსნაბრიუკი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 18.00 | 014 | მაინცი-ულმი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 016 | კიკერსი-დუისბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-მიონხენგლადბახი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 018 | ალენი-ფიურტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 019 | ზანქტ პაული-ზაარბრიუკენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. მე-11 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 020 | არსენალი-სიტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 021 | არსენალი-სიტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 022 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 023 | იფსვიჩი-მიდლსბრო | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 024 | ლესტერი-დერბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 025 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 026 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 027 | სანდერლენდი-ქოვენთრი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 028 | ვესტ ჰემი-ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 029 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 030 | ლივერპული-ევერტონი | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 031 | ბრედფორდი-ლიდსი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. მე-16 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 032 | პრესტონი-ბარნსლი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 033 | ბოლტონი-კრისტალ პალასი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 19.00 | 034 | ბარნლი-ნორვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 035 | ჯილინგემი-ქრიუ | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 036 | ჰადერსფილდი-ბლექბერნი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 19.00 | 037 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 038 | უენსდი-ფულემი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 19.00 | 039 | სტოკპორტი-ნოტინგემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 040 | ტრანმერი-ქუინზ პარკი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 041 | უიმბლდონი-შეფილდი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 042 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 043 | გრიმსბი-ვესტ ბრომვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. მე-16 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 044 | ბრენტფორდი-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 045 | როვერსი-ოლდემი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 046 | ლუტონი-რექსემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 047 | მილუოლი-კემბრიჯი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 048 | ნორთჰემპტონი-როტერჰემი | 1,9 | 3,0 | 3,6 |
| 19.00 | 049 | ნოტსი-სუინდონი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 050 | პიტერბრო-კოლჩესტერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 051 | რედინგი-ოქსფორდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 052 | რედინგი-ოქსფორდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 053 | სტოკი-ბორნმუთი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 054 | სუონსი-პორტ ვეილი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 19.00 | 055 | უიგანი-ბერი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 056 | უიკომბი-ბრისტოლი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. მე-16 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 057 | ბარნეტი-ლინკოლნი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 19.00 | 058 | კარლაისლი-სკანთორპი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 059 | ჩელტენემი-ბლეკპული | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 060 | ჩესტერფილდი-კარდიფი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 061 | დარლინგტონი-ბრაიტონი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 062 | ექსეტერი-როჩდეილი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-ლეიტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 064 | მაკლსფილდი-ჰალიფაქსი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 065 | მენსფილდი-საუთენდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 066 | პლიმუთი-კიდერმინსტერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 19.00 | 067 | შრიუსბერი-ტორკი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.00 | 068 | იორკი-ჰალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-13 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 069 | სტრასბური-მარსელი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.15 | 070 | ტრუა-მონაკო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.00 | 071 | ბასტია-სენტ ეტიენი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 072 | ლილი-ტულუზი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 23.00 | 073 | ლიონი-ოსერი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 074 | მეცი-ლანსი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 075 | პსჟ-ბორდო | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 076 | რენი-გენგამი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 077 | სედანი-ნანტი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-17 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 078 | ლე ავრი-გენიონი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 079 | ლორიანი-ნანსი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 21.00 | 080 | მარტიგი-კაენი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 081 | აიაჩო-ნიორი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 082 | ანჟე-ბოვუა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 083 | კანი-ნიცა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 084 | შატორუ-ვასკეალი | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 23.00 | 085 | ლე მანი-ნიმი | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 23.00 | 086 | სოშო-კრეტეი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 087 | სოშო-კრეტეი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 088 | მონპელიე-ლავალი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| | | **იტალია. სერია B. მე-8 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 089 | ემპოლი-რავეანა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 090 | კიევო-ანკონა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 091 | კოზენცა-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 092 | მონცა-ჩიტადელა | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 093 | პესკარა-ჯენოა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 18.00 | 094 | პიაჩენცა-ტორინო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 095 | პისტოიეზე-კროტონე | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 096 | სამპდორია-კალიარი | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 097 | ტერნანა-სალერნიტანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 098 | ვენეცია-ტრევიზო | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| | | **იტალია. სერია C1/ა. მე-9 ტური** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 099 | ალბინოლეფე-პიზა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 100 | ალესანდრია-არეცო | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.30 | 101 | ალძანო-სპეცია | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.30 | 102 | კარარეზე-ლეკო | 1,7 | 2,7 | 6,0 |
| 18.30 | 103 | კომო-ბრეშელო | 1,5 | 3,1 | 7,5 |
| 18.30 | 104 | ლივორნო-მოდენა | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 18.30 | 105 | ლუკეზე-ლუმეცანე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 18.30 | 106 | რეჯანა-ჩეზენა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.30 | 107 | ვარეზე-სპალ | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | **იტალია. სერია C1/ბ. მე-9 ტური** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 108 | ასკოლი-აკილა | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.30 | 109 | ბენევენტო-აველინო | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 18.30 | 110 | დი სანგრო-ატლეტიკო | 1,55 | 3,0 | 7,0 |
| 18.30 | 111 | კატანია-ჯულიანოვა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.30 | 112 | ფ.ანდრია-ფერმანა | 2,5 | 2,6 | 2,8 |
| 18.30 | 113 | მესინა-ტორესი | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.30 | 114 | ნოჩერინა-პეზარო | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| 18.30 | 115 | სავოია-პალერმო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 116 | ვიტერბეზე-ლოდიჯანი | 1,8 | 2,6 | 5,3 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. მე-7 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 117 | ნუმანსია-დეპორტივო | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 23.15 | 118 | ვილიარეალი-ბილბაო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 24.00 | 119 | მალიორკა-ბარსელონა | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 24.00 | 120 | სარაგოსა-მალაგა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 01.00 | 121 | ლას პალმასი-რასინგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 122 | რაიო ვალეკანო-ალავესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 123 | ესპანიოლი-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 21.00 | 124 | სელტა-ვალიადოლიდი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 21.00 | 125 | სოსიედადი-რეალი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 23.00 | 126 | ოსასუნა-ვალენსია | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. მე-9 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 127 | ბადახოსი-უნივერსიდადი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 21.00 | 128 | ფეროლი-ტენერიფე | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.00 | 129 | კომპოსტელა-ეიბარი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 130 | უელვა-სალამანკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 131 | ლევანტე-სევილია | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 14.30 | 132 | ხეტაფე-ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 15.00 | 133 | ატლეტიკო-კორდობა | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 134 | ბეტისი-ესტრემადურა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 21.00 | 135 | ხაენი-მურსია | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 136 | სპორტინგი-ლეგანესი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 21.00 | 137 | ელჩე-ალბასეტე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. მე-9 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 01.00 | 138 | ბრაგა-სალგეირუში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 139 | ბელენენსეში-ფერეირა | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 140 | ბენფიკა-კამპომაიორენსე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 141 | ბენფიკა-კამპომაიორენსე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 20.00 | 142 | ამადორა-ფარენსე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 143 | ლეირია-გიმარაეში | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 20.00 | 144 | აveeში-ჟილ ვისენტე | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 145 | ბეირა მარი-სპორტინგი | 5,6 | 3,2 | 1,6 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 146 | ბოავიშტა-მარიტიმუ | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 01.00 | 147 | პორტუ-ალვერკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 148 | პორტუ-ალვერკა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. მე-9 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 149 | მარკუ-აკადემიკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 150 | სეტუბალი-ლამაში | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 151 | ესპინიუ-ვარზიმი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 19.30 | 152 | ნავალი-იმორტალი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 153 | სანტა კლარა-ნასიონალი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 20.00 | 154 | რიუ ავე-ფელგეირაში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 155 | შავეში-ოვარენსე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 156 | მაია-ლეცა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.00 | 157 | პენაფიელი-ფრეამუნდე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 158 | სიტარდი-ბრედა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 159 | ალკმაარი-ტვენტე | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 160 | ჰერენვენი-გრააფსხაპი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 161 | პსვ-აიაქსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.30 | 162 | ნაიმეგენი-ტილბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.30 | 163 | როდა-ვალვაიკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 17.30 | 164 | სპარტა-გრონინგენი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 17.30 | 165 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-10 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 166 | ემენი-იგლსი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 167 | ჰაარლემი-ექსელსიორი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 22.00 | 168 | დორდრეხტი-დენ ბოსხი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 169 | ჰელმონდი-დენ ჰააგი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 22.00 | 170 | ჰერაკლესი-მაასტრიხტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 171 | ეინდჰოვენი-ტელსტარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 172 | ოსი-ვეენდამი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.00 | 173 | ცვოლე-ვენლო | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 174 | ცვოლე-ვენლო | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.00 | 175 | კამბური-ვოლენდამი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-11 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 176 | ლიერსი-მუსკრონი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 177 | ბევერენი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 178 | შარლერუა-ლუვიე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 179 | შარლერუა-ლუვიე | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 180 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 181 | ანდერლეხტი-ლოკერენი | | | |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 182 | გენკი-გენტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 183 | სენტ ტრუიდენი-მეხელენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 184 | ანტვერპენი-სტანდარდი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 18.00 | 185 | ჰარელბეკე-აალსტი | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 186 | ვესტერლო-ბრიუგე | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-11 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 187 | მონსი-ჰეკელგემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 188 | ლიეჟი-დესელი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 189 | სერკლი-დენდერლეუ | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 190 | სერკლი-დენდერლეუ | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 191 | ინგელმუნსტერი-ოსტენდე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 192 | დაინცე-მოლენბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 193 | ლომელი-ტურნჰაუტი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 194 | ჰეუსდენი-მაასლანდი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 195 | რუზელარე-ტინენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.00 | 196 | სტრომბეკი-გეელი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **საბერძნეთი. მე-4 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 21.00 | 197 | არისი-პაოკ | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 198 | იონიკოსი-აეკ | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 19.00 | 199 | ოფი-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 19.00 | 200 | ირაკლისი-იანინა | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 201 | ათინაიკოსი-კალამატა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 202 | პანიონიოსი-ქსანთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 203 | პანილიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 204 | ეთნიკოსი-პანაჰაიკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **ჩეხეთი. მე-12 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 205 | ბოჰემიანსი-სიგმა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 206 | ბანიკი-სპარტა | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 207 | ბლშანი-ბუდეიოვიცე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 17.30 | 208 | სინოტი-ბრნო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.30 | 209 | პლზენი-პრჟიბრამი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 19.30 | 210 | დრნოვიცე-ჟიჟკოვი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 211 | სლავია-იაბლონეცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 212 | სლავია-იაბლონეცი | | | |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 213 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **პოლონეთი. მე-12 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 16.00 | 214 | პოლონია-ვიძევი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 215 | პოლონია-ვიძევი | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 17.00 | 216 | სტომილი-გროცლინი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 17.00 | 217 | შლიონსკი-ზაგლებე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 218 | ოდრა-გურნიკი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 219 | რუხი-ლეგია | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 20.00 | 220 | კატოვიცე-რაძიონკოვი | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 221 | პლოცკი-ვისლა | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 20.30 | 222 | ამიცა-პოგონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **თურქეთი. მე-10 ტური** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 223 | ფენერბაჩე-დენიზლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 224 | ფენერბაჩე-დენიზლი | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 15.00 | 225 | ტრაბზონი-ანთალია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 226 | ტრაბზონი-ანთალია | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 15.30 | 227 | ანკარაგიუჯიუ-ადანა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 16.00 | 228 | ბურსა-იეთფა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 21.00 | 229 | ერზურუმი-ბეშიქთაში | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 15.30 | 230 | გაზიანთეფი-რიზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 231 | გაზიანთეფი-რიზე | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 15.30 | 232 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 233 | ქოჯაელი-ისთანბული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 234 | გალათასარაი-იოზგათი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 235 | გალათასარაი-იოზგათი | | | |
| | | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **შოტლანდია. მე-13 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 236 | დანდი-იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 4,4 | 3,0 | 1,7 |
| 19.00 | 237 | დანფერმლაინი-დანდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 238 | ჰართსი-სენტ ჯონსტონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 19.00 | 239 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 240 | რეინჯერსი-კილმარნოკი | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 241 | სენტ მირენი-აბერდინი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | |
| 22.05 | 242 | მოზერუელი-სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | | **ავსტრია. მე-16 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 243 | ზალცბურგი-ავსტრია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 18.30 | 244 | შტურმი-ბრეგენცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 245 | შტურმი-ბრეგენცი | | | |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.00 | 246 | რაპიდი-ადმირა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 247 | რაპიდი-ადმირა | | | |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.30 | 248 | ტიროლი-რიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 249 | ტიროლი-რიდი | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.30 | 250 | ლინცერი-გრაცერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **შვეიცარია. Ⴇ ჯგუფი. მე-16 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 22.30 | 251 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 22.30 | 252 | სიონი-ლუგანო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 253 | ქსამაქსი-სერვეტი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 17.30 | 254 | ციურიხი-არაუ | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.15 | 255 | ბაზელი-ივერდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 256 | ბაზელი-ივერდონი | | | |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 257 | ლოზანა-სენტ გალენი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-18 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 20.30 | 258 | ბადენი-ვიტერთური | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 20.30 | 259 | კარუჟი-იანგ ბოისი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 20.30 | 260 | თუნი-ვანგენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.30 | 261 | ვილი-ლოკარნო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.30 | 262 | დელემონი-კრინსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 263 | დელემონი-კრინსი | | | |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.30 | 264 | ბელინცონა-სოლოთურნი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 265 | ბელინცონა-სოლოთურნი | | | |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **დანია. მე-14 ტური** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 18.00 | 266 | ოლბორგი-სილკებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 267 | ჰადერსლევი-აკადემისკი | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 18.00 | 268 | ოდენსე-ვიბორგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 269 | კოპენჰაგენი-ჰერფიოლგე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.05 | 270 | ორჰუსი-ბრიონდბიუ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 271 | ლიუნგბიუ-მიდტიულანდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **რუსეთი. 29-ე ტური** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 272 | ზენიტი-სპარტაკი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| | | **შვედეთი. მე-25 ტური** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 16.30 | 273 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 16.30 | 274 | ტრელებორგი-ფრიოლუნდა | 1,15 | 5,0 | 9,0 |
| 16.30 | 275 | იორებრო-სუნდსვალი | 1,75 | 3,3 | 3,3 |
| 16.30 | 276 | იორგრიტე-გიოტებორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 16.30 | 277 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.30 | 278 | გაის-ნორჩიოპინგი | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| 16.30 | 279 | ჰეკენი-აიკ | 2,6 | 3,2 | 1,9 |
| | | **ნორვეგია. პლეი-ოფი** | | | |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 280 | ვოლერენგა-სიოგნდალი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 17.00 | 281 | ცსკა-ანჟი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | | **ნორვეგია. თასის ფინალი** | | | |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 282 | ვიკინგი-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **27 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 901 | ბუფალო-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 902 | კაროლინა-ნიუ ჯერსი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 903 | აილენდერსი-მონრეალი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 904 | ტამპა ბეი-ოტავა | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 905 | კოლუმბუსი-ვაშინგტონი | 2,5 | 4,0 | 1,75 |
| 24.00 | 906 | რეინჯერსი-პიტსბურგი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 907 | ნეშვილი-ფლორიდა | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 908 | მინესოტა-კალგარი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 909 | დალასი-ფინიქსი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 910 | ვანკუვერი-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 911 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| | | **28 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 912 | ბოსტონი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 913 | მონრეალი-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 914 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 915 | ფლორიდა-ოტავა | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 916 | დეტროიტი-კოლუმბუსი | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 917 | ჩიკაგო-ბუფალო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 918 | სენტ ლუისი-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 919 | კოლორადო-ედმონტონი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 920 | ფინიქსი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 921 | სან ხოსე-ატლანტა | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 922 | კალგარი-ანაჰაიმი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 923 | რეინჯერსი-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 924 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,55 | 4,0 | 3,0 |
| 24.00 | 925 | კაროლინა-სენტ ლუისი | 2,3 | 4,0 | 1,9 |
| 24.00 | 926 | მინესოტა-ჩიკაგო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 927 | კოლორადო-ფინიქსი | 1,75 | 4,0 | 2,5 |
| 24.00 | 928 | ედმონტონი-ანაჰაიმი | 1,75 | 4,0 | 2,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**დღეს, 27 ოქტომბერს**

# ბათუმში

**12 საათიდან კვლავ ამუშავდება**
**«კროკოს» ბიურო**

მისამართი: მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

**ქუთაისში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ძველ მისამართზე:**
პუშკინის №16 (ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში)

# ხელისუფლებამ პირობა შეასრულა

## გუშინ სპორტის დეპარტამენტში სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორებს შეპირებული პრემიები გადაეცათ



გურამ ციციშვილის ფოტო

ოთხი წლის მერე ოთხი მაგდენი! მთავრობისგან დაჯილდოებული სიდნეის პრიზიორები: ელდარ კურტანიძე, გიორგი ასანიძე, მუხრან ვახტანგაძე, გიორგი ვაზაგაშვილი, ვლადიმერ ჭანტურია და აკაკი ჩაჩუა

დეპარტამენტის თავმჯდომარის, კახი ასათიანის არყოფნაში მასპინძლობა მისმა მოადგილემ, ლერი ხაბელოვმა ითავა. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია — მედალოსნებმა ფულის ასაღებად მოსვლა დაიგვიანეს. თავიდან დარბაზში გიორგი ასანიძე, მუხრან ვახტანგაძე და აკაკი ჩაჩუა იყვნენ. ელდარ კურტანიძემ წუთი-წუთზე მოასწრო და როცა ხელის მოსაწერად უხმეს, იხუმრა, ჯერ ფული მომეცით და ეგ მერეო. გიორგი ვაზაგაშვილი და ვლადიმერ ჭანტურია კი სულ ბოლოს გამოჩნდნენ, როცა ალაფურშეტი დამთავრდა.

ლერი ხაბელოვმა პრიზიორები ანბანის მიხედვით გამოიძახა. ტაშის გრიალში პირველად ასანიძემ ჩაიბარა მოზრდილი კონვერტი, რომელშიც 39400 ლარი იდო. ლარის დღევანდელი კურსით სწორედ ამდენია ხელისუფლებისგან პრემიად დაწესებული 20 ათასი დოლარი. დარბაზის ხუმრობას გიორგიმ ხუმრობითვე უპასუხა, დათვლა არ უნდა, იმედია, არ დააკლებდნენო. ექვსეულმა თანხასთან ერთად დიპლომებიც მიიღო. დაჯილდოვდნენ მათი მწვრთნელებიც — ბეგი დარჩია, ზაზა თურმანიძე, გია გალდავა, ოთარ ტატიშვილი, ჯონი რეხვიაშვილი (ჭიდაობა), რამაზ გურგენიძე, ვანო გრიქუროვი (ძალოსნობა), შოთა ხაბარელი, ბერდია გუგავა (ძიუდო), სოზარ კულუა (კრივი). თითოეული 7880 ლარით.

მედალოსნებს პრემია — 5 ათასი ლარი უცხოეთში მოსაქმე ქართველმა ბიზნესმენებმაც დაუწესეს. მათი ახალშექმნილი ფონდის („გამარჯვება“) სახელით მსახიობმა გოგი ხარაბაძემ პრიზიორებს აღუთქვა, რომ ამ თანხას ხვალ, თბილისობის დღესასწაულზე გადასცემენ. ხვალვე მათ ქალაქის მერი ვანო ზოდელავა შეხვდება და როგორც ამბობენ, ჯილდოდ შეპირებული ბინების გასაღებებსაც ჩააბარებს.

საბინაო პრობლემას შევეხეთ და ბარემ ასანიძეზეც ვთქვათ. საბოლოოდ გადაწყდა — ორი ოროთახიანი ბინის ნაცვლად ის ერთ სამოთახიანს მიიღებს. აქვე მოგახსენებთ, რომ პრიზიორთა ექვსეული წარდგენილია ღირსების ორდენებზე.

გუშინ პრემიები მხოლოდ პრიზიორებს როდი გადაეცათ. ხელისუფლებამ არც IV-VI ადგილებზე გასულები დაივიწყა და მეხუთეადგილოსანი გენადი ჩხაიძე (ჭიდაობა) 4 ათასი, ხოლო მეექვსეადგილოსნები — დავით პოღოსიანი (ჭიდაობა) და ილია გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში) 2 ათასი დოლარის ექვივალენტური ლარით დაასაჩუქრა. ამ თანხის 20 პროცენტი ერგოთ მათ პირად მწვრთნელებს, ნუგზარ სხირელს, ჯონი რეხვიაშვილს (ჭიდაობა) და ნიკოლოზ ჭანტურიას (ტანვარჯიში).

ამასთან, მოჭიდავე პრიზიორებს — კურტანიძეს, ჩაჩუას და ვახტანგაძეს ის 3-3 ათასი ლარიც ელით, რომელსაც მათ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი შეჰპირდა. იგი ახლახან კი დაჭრეს, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე დამაკმაყოფილებელია.

შეხვედრის ბოლოს სამადლობელ სიტყვაში გიორგი ასანიძემ მედალოსანთა სახელით პირობა დადო, ათენის ოლიმპიადიდან უკეთესი შედეგებით დავბრუნდებითო. ცოტა მოწვეულმა სტუმრებმაც ილაპარაკეს. მერე კი იყო ტრადიციული აზრთა გაცვლა-გამოცვლა და პირადი საუბრები ასევე ტრადიციული ალაფურშეტის თანხლებით.

**ირაკლი თავაძე**



# გადავდგები!



ეს რა ხათაბალაში ვარ... დარდობს ჯონ მაკინროი

**სათაურში** ნახსენები და, როგორც წესი, სიტყვაბადვე დარჩენილი სიტყვები ამ შემთხვევაში მავან სახელმწიფო მოხელეს კი არა, ჩოგბურთის მარადიულ „ცუდ ბიჭს“, ჯონ მაკინროის ეკუთვნის. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ოფიციალური თანამდებობა მხოლოდ ერთი აქვს — ის აშშ-ის დევისის თასის გუნდის კაპიტანია და სწორედ ამ თანამდებობიდან გადადგომით იმუქრება.

„გეუბნებით, რომ გაისად კაპიტნად აღარ ვიმუშავებ, თუ დრამატული ცვლილებები არ მოხდა. ჩემი აზრით, ამერიკამ ხმა უნდა ამოიღოს, ბოიკოტითაც დაიმუქროს, რათა ტურნირის ფორმატი შეიცვალოს და ის ისევ პოპულარული გახდეს. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია ამტკიცებს, რომ წინასწარ შეთანხმებული სათამაშო თარიღების დანიშვნით პროგრესს მიაღწია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მე მინდა, ვაკეთო ის, რაც საზოგადოებას მართლა აინტერესებს“.

მაკინროის აღშფოთება და იმედგაცრუება გასაგებია. ის რამდენიმე წელი იბრძოდა, რათა დევისის თასის გუნდის კაპიტნად დაენიშნათ, მაგრამ თავისი უდიდესი ავტორიტეტის მიუხედავად წამყვანი ამერიკელი ჩოგბურთელები ტურნირზე ვერ მიიზიდა — ნახევარფინალში ესპანელების წინააღმდეგ თამაშზე მას მარტო პიტ სამპრასმა და ანდრე აგასიმ კი არა (რომელთაც მცირე ტრავმები ჰქონდათ), მაიკლ ჩანგმაც კი უარი უთხრა. შედეგად იანკები 0:5 განადგურდნენ, დაბოღმილმა ჯონმა კი კორტიდან პირდაპირ აეროპორტს მიაშურა.

„მე მინდა, სამუშაო სიამოვნებას მანიჭებდეს, ასე კი კორტის კიდეში ნერვებაშლილი ვზივარ და ბევრი არაფრის გაკეთება არ შემიძლია. რა სიამოვნებაზეა ლაპარაკი? იქნებ ჩემი ასეთი განწყობა იმის ბრალია, რომ ვერაფერი შევცვალე. ალბათ, წინასწარ უნდა მცოდნოდა ეს და თავი არ მომეტყუებინა, მაგრამ რას იზამ“.

მაკინროის განცხადება ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე სინამდვილეს სრულად ვერ ასახავს. მართალია, სამპრასი და აგასი, აგრეთვე ფილიპუსისი ავსტრალიაში და ნიკოლას კიფერი გერმანიაში ხშირად უარობენ სამშობლოს სახელით ასპარეზობას, მაგრამ ყველა სხვა ვარსკვლავი დიდ პატივად მიიჩნევს დევისის თასზე თამაშს.

„დიდი სურვილი მაქვს, ახალგაზრდა ჩოგბურთელებს, ახალ თაობას დავეხმარო. სამპრასს, აგასის ან ტოდ მარტინს მე ვერაფრით ვუშველი, მათ თავიანთი მწვრთნელები ჰყავთ. მე კორტის პირას ჯდომით და „იე, იე“-ს ყვირილით წუთიერ ზეგავლენას ვახდენ, მეტს არაფერს. მინდა, უფრო ახალგაზრდა მოთამაშეების აღზრდაში მივიღო მონაწილეობა, მაგრამ იუნიორების პროგრამა არანაირად მეხება, მხოლოდ ოთხი კვირისთვის ვარ დაქირავებული“.

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის ტირადა ამით არ ამოწურულა, მისი მომდევნო სამიზნე დები უილიამსები გახდნენ. „მათ თავიანთი ქედმაღლური ქცევით ბევრი მოიმდურეს. რა დაშავდება იმით, თუ სხვა ჩოგბურთელებს „გამარჯობას“ ეტყვიან? ძალიან გამაღიზიანა იმან, რომ ვინუსმა აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალზე ფინალში დამარცხებული ლინდსი დევენპორტი საერთოდ არ ახსენა. სხვებს დამსახურება უნდა დაუფასო. შეიძლება თქვათ, მაკინროიმ სხვებს ზრდილობა როგორ უნდა ასწავლოსო, მაგრამ მე კოლეგებს ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობოდი“.

„ოუფენის“ დროს აგორებული ჭორი, მაკინროის დებ უილიამსთაგან რომელიმესთან გაჯიბრება სურსო, მაკინროიმ უარყო, დონალდ ტრამპმა უზარმაზარი საპრიზოები კი შემომთავაზა, მაგრამ არ დავთანხმდებიო: „საბოლოოდ არა, მაგრამ 90 პროცენტით უარს ვამბობ. თუკი ხალხის დასაინტერესებლად მსგავსი მატჩების მოწყობა გვჭირდება, ჩოგბურთი გაცილებით შავ დღეში ყოფილა, ვიდრე გვეგონა. რას მოგვცემს თუნდაც ის, რომ ვინუსს 6:3, 6:3 მოვუგო?“

მაგრამ რას იზამს მაკინროი, თუ ვინუს უილიამსი 6:3, 6:3-ს მოუგებს? „ტანზანიაში გადავსახლდები“ — იყო ამერიკელის პასუხი.

**ავთანდილ სვანიძე**

# რუსული ნავსი

**მოსკოვი. რუსეთი. „კრემლის თასი“. კაცები. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $**

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ტიტულსა და სუპერვარსკვლავის სტატუსს ფლობს, მარატ საფინის კარიერას აქამდე ერთი უსიამოვნო ლაქა დაჰყვებოდა — მშობლიური „კრემლის თასის“ გათამაშების სამგზის მონაწილე რუსი პირველ წრეს ვერ გასცდენოდა.

„იქნებ ეს იმის ბრალია, რომ აქ ჩემგან ყველა გამარჯვებას ელის. ტრიბუნებზე ბევრნი არიან მეგობარ-ნათესავები, ძალიან მინდა, მათ იმედი არ გავუცრუო და ამიტომ ლამის მეშინია თამაში“ — აღნიშნა 20 წლის აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონმა, რომელმაც ბოლო ორ ტურნირზე მეტისმეტად ადრეულ ეტაპზე წააგო.

ამჯერად საფინმა, თავისიანების გასახარად, ნავსი გატეხა და „ოლიმპიისკის“ სპორტულ კომპლექსში არცთუ სავსე ტრიბუნების წინ გერმანელ რაინერ შუტლერს 6:4, 6:4 აჯობა.

**პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — დენის გოლოვანოვი (რუსეთი) 7:6 (7:3), 6:4; მარკ როსე (4, შვეიცარია) — ანდრეი ჩერკასოვი (რუსეთი) 6:2, 6:4, ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) — ფერნანდო ვისენტე (7, ესპანეთი) 7:5, 4:6, 6:3; ირჟი ნოვაკი (8, ჩეხეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 3:6, 6:3, 6:4.**

**ბაზელი. შვეიცარიის დარბაზის ღია პირველობა. ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $**

შვეიცარიის დარბაზის ღია პირველობაზე მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მაგნუს ნორმანი სულ ტყუილად განთესეს პირველ ნომრად — სკანდინაველმა კორტზე გასვლაც კი ვერ მოახერხა, ისე განაცხადა თამაშზე უარი.

ნორმანს ზურგი გასულ შაბათს, წვიმის გამო გადადებულ შანხაის პირველობის მეოთხედფინალში, თანამემამულე იონას ბიორკმანთან პაექრობისას წამოსტკივდა, ხოლო როდესაც იმავე დღეს მაიკლ ჩანგთან გაჯიბრებაც მოუხდა, ტრავმა კიდევ უფრო გაუუარესდა. შვედმა ჩინეთიდან ტიტული მაინც გამოაყოლა ხელს, მაგრამ ბაზელისკენ ფრენისას ზურგმა ისე შეაწუხა, ამ კვირაში თამაშზე ხელის აღება მოუხდა.

„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, თანდათან ვიბრუნებდი კარგ ფორმას და თავდაჯერებას. ბაზელში გამარჯვება დიდად წამადგებოდა იმაში, რომ სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში პირველი გავმხდარიყავი“ — შემოთვალა სკანდინაველმა.

ნორმანის არყოფნაში გამარჯვების ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტად მისივე თანამემამულე ტომას ენკვისტი (2) იქცა. კვადრატულ შვედს პირველ წრეში უმძიმესი ბრძოლა გადახდა ამერიკელ ჟან-მაიკლ გემბილთან. „იაგუარების“ კოლექციონერმა იანკიმ მატჩში 21 ეისი მოაწოდა, მაგრამ პირველი ხელის მარათონულ ტაი-ბრეიკზე ერთბაშად 7 სეტ-პოინტი ვერ გამოიყენა და დაისაჯა კიდეც — 7:6 (16:14), 7:6 (7:4) ენკვისტის სასარგებლოდ.

**პირველი წრე: ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — სირილ სოდნიე (საფრანგეთი) 6:2, 6:2; რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — ხუან კარლოს ფერერო (5, ესპანეთი) 6:4, 6:3; დავიდე სანგვინეტი (იტალია) — სედრიკ პიოლინი (6, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:2; გრეგ რუზედსკი (ინგლისი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 7:5, 6:4; როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:3, 6:3; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 3:6, 6:4, 6:4; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:0, 6:4; ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:3, 6:4; ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) — მარსელო რიოსი (ჩილე) 3:6, 6:4, 6:4.**




გერმანული ფირმის OTTO
OTTO SCHWAB VERSAND
ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში გთავაზობთ
კატალოგებში წარმოდგენილი ევროპული სტანდარტის საქონლის გამოწერას გერმანიიდან
მისამართი: აღმაშენებლის 172 (გერმანიის საელჩოს გვერდით)
ტელეფონები: 35 17 95; 8 77 45 97 29
ვმუშაობთ ყოველდღე 11-დან 19 საათამდე
www.otto.de




REUTERS

მარატ საფინი

# ბროშარის დროული აღსარება

## დოპინგს ყველა იღებს, ეს ყველამ იცის და ყველა დუმს

**ოთხშაბათს** ლილში მიმდინარე სასამართლო პროცესი „ფესტინას“ თაობაზე დასაწყისზე არანაკლებ საინტერესოდ გაგრძელდა. დილის სხდომაზე ვილი ვოეს ადვოკატმა ჟან-ლუი ბესიმ ცხრა სამოქალაქო მხარიდან შვიდის დაზარალებულთა რიცხვში ყოფნა გააპროტესტა. მისი აზრით, საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციას (სვფ), ველოსპორტის საერთაშორისო კავშირს (ვსკ), „ტურ დე ფრანსის“ ორგკომიტეტს, საათების ფირმა „ფესტინას“ და მრბოლ პასკალ ერვეს „ფესტინას“ გუნდში გამეფებული დოპინგიდან მხოლოდ მოგება ჰქონდათ. თავის სიტყვაში მეტრ ბესიმ განსაკუთრებით ვსკ-ს პრეზიდენტს, ჰოლანდიელ ჰეინ ვერბრიუგენს შეუტია, ადამიანს, რომელიც „ბოლო „ტურის“ დროს აღებული ანალიზების განადგურებით იმუქრება (რაც სამხილთა განადგურებაა) და რომელმაც 1997 წელს სვფ-ს პრეზიდენტ დანიელ ბაალთან ერთად დოპინგით მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ლორან ბროშარის დანაშაული დამალა.“

ჟან-ლუი ბესის ნათქვამის გაბათილებას პროკურორიდან დაწყებული მისი სამიზნეების ადვოკატებით დამთავრებული ყველა შეეცადა და მეტნაკლებად შეძლეს კიდეც ეს. მანამდე სასამართლომ აფთიაქარ კრისტინ პარანიეს მოუსმინა, რომელსაც ვილი ვოეს აკრძალული პრეპარატებით არალეგალურად მომარაგება ბრალდება. მან თავი იმით იმართლა, რომ სამი წლის ავადმყოფი ბავშვი მყავდა და დამატებითი თანხები მჭირდებოდა მის სამკურნალოდო. მისმა მეუღლემ კი თავი გაისულელა და განაცხადა, რომ ვოესთვის მიყიდული პრეპარატები მას სამკურნალო ეგონა და აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს დოპინგი იყო.

ნაშუადღევს სიტყვა პასკალ ერვესა და ლორან ბროშარსაც მიეცათ, რომლებმაც რიშარ ვირანკისა და ლუკ ლებლანის მსგავსად საჯაროდ განაცხადეს, რომ დოპინგს იყენებდნენ. ბროშარმა ისიც აღიარა, რომ 1997 წლის 12 ოქტომბერს სან სებასტიანში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, მის ორგანიზმში ნამდვილად იყო დოპინგის ნარჩენები, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატამდე 8-10 დღით ადრე, „ვუელტაზე“ მიუღია. მოსამართლის ჩაძიებით შეწუხებულმა ბროშარმა თავი იმით იმართლა, აქაოდა, ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის დღეს მასტიმულირებელი არაფერი გადამიყლაპია და ის რბოლა მხოლოდ ჩემი ფეხების წყალობით მოვიგეო.

თუმცა მერე ვოემ ისაუბრა და ბროშარის ნათქვამი გააქარწყლა: „მასაც ჰქონდა უფლება, სხვებივით მომზადებულიყო“ — თქვა „ფესტინას“ ყოფილმა მასაჟისტმა.

— უფრო ნათლად განგვიმარტეთ, რას გულისხმობთ — იკითხა პროცესის თავმჯდომარემ, მოსამართლე დელეგოვმა.

— იგი ეპო-ს და ზრდის ჰორმონებს იღებდა — დააზუსტა ვოემ.

არადა, ბროშარმა დოპინგ-კონტროლი სან სებასტიანშივე ჩააბარა, მაგრამ... „როგორც აღმოჩნდა, თქვენ ძველი რიცხვით გამოწერილმა სამედიცინო ცნობამ გიხსნათ. ექიმმა ფერნანდო დიას ხიმენესმა კი სიყალბე ჩაიდინა“ — ეს ბატონ დელეგოვის სიტყვებია.

შემდეგ „ფესტინას“ ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა ისაუბრა და ამ საკითხსაც თითქმის მთლიანად მოეფინა ნათელი. „როცა ბროშარი დოპინგზე დაიჭირეს, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა შარლი მოტემ დამირეკა და მითხრა: „არ ინერვიულო. მანდაურ ექიმ ფერნანდო დიას ხიმენესს ძველი რიცხვით უნდა დააწერინო ცნობა.“ ყველაფერი ასეც გავაკეთეთ და ხიმენესმა ცნობა 7 ოქტომბრის რიცხვით მოგვცა. ეს სერტიფიკატი წესით რბოლის დღესვე უნდა წარგვედგინა, თორემ ბროშარს ოქროს მედალი ჩამოერთმეოდა, მაგრამ ვსკ-მ თავის წესებს გადაუხვია, საქმე ჩაფარცხა, რადგან ეს მის ინტერესებშიც შედიოდა“ — თქვა ბრუნო რუსელმა. მან გუნდში ვირანკის როლზეც ბევრი ილაპარაკა, რადგან ეს მოსამართლემ თხოვა, რომლის აზრითაც ვირანკი, ბროშართან და ერვესთან ერთად, რუსელის გარეშე მართავდა გუნდს. „ხშირად არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ შემეძლო. ისინი უკვე თავად ითხოვდნენ დოპინგს და ისეთ პრეპარატებსაც, მანამდე რომ საერთოდ არ გამოგვეყენებინა. 1997 და 98 წლების „ტურების“ დაწყებისას ვირანკი მეკითხებოდა, ბიჭები იყვნენ თუ არა ყველანაირად მზად, ანუ დოპინგს თუ იღებდნენ. მას აინტერესებდა, დოპინგის სამი კვირის მარაგი თუ გვქონდა. იგი ამას მბრძანებლური ტონით კი არ აკეთებდა, არამედ ისე, თითქოს პატრონი იყო და უბრალოდ, მიმდინარე ამბები აინტერესებდა. რბოლებისასაც ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა და შეასრულებინებდა თანაგუნდელებს, მე გაგებაშიც არ ვიყავი და ინფორმაცია მერელა მომდიოდა“ — განაცხადა რუსელმა.

„ფესტინას“ ლიდერი მართლაც საკმაოდ გარეული რომ ყოფილა დოპინგის ორგანიზაციულ საკითხებში, ისიც მოწმობს, რომ 1998 წლის „ტურის“ სტარტის წინ დუბლინში ვოეს დაჭერა როცა ამცნეს, პირველად „პროდუქტების“ ბედით დაინტერესებულა.

„დიახ, მეც ვიღებდი დოპინგს“ — განაცხადა პასკალ ერვემ რუსელის საუბრის შემდეგ. ეს სიტყვები ისე თქვა, თითქოს ახალი ამბავი იყო და დოპინგისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაციაც არ მოეხადოს. „ადრეც უნდა მეღიარებინა, მაგრამ მხოლოდ ცხრა კაცი რომ ვიჩაგრებოდით, ნერვებს მიშლიდა. ეპო და კორტიკოიდები პროფესიონალებში გადასვლის დღიდან, 1994 წლიდან აღმოვაჩინე“ — დაამატა ერვემ, რომელიც ვირანკის ერთგული გრეგარია, „ფესტინადან“ მას იტალიურ „პოლტიში“ გაჰყვა, ამ სეზონის ბოლოს კი „პოლტის“ გაუქმების მერე ვირანკივით უმუშევარია.

დაბოლოს, მივუბრუნდეთ ბროშარს. მას ცოტა ადრე რომ ეღიარებინა დოპინგის მიღება, მსოფლიოს ჩემპიონობას ჩამოართმევდნენ, ახლა კი სამწლიანი ვადა რამდენიმე დღის გასულია და მასაც ხაზვივით შერჩა ოქროს მედალი. აღსარებასაც სდომებია დროის შერჩევა.



REUTERS ფოტო

მოსამართლე დანიელ დელეგოვი

**გაგი გურული**

# ამერიკული გერმანულმა მოიგო



REUTERS ფოტო

არნო ტურნანი

**ოლიმპიადის** დამთავრებიდან ერთი თვის თავზე ტრეკზე ველომრბოლნი მანჩესტერში შეიყარნენ და ოთხშაბათიდან მსოფლიოს ჩემპიონატიც გააჩაღეს. პროგრამაშია მედლების 12 კომპლექტი, რვა ოქროსთვის ვაჟები იბრძოლებენ, ოთხი კი ქალების წილია.

დაღლილობა — აი, სიტყვა, რომელიც ამ პირველობის ეპითეტად შეიძლება გამოვიყენოთ. „ეს ტურნირი ისეთ დროს დაინიშნა, რომ ოლიმპიური ჩემპიონებისთვის ხელახალი მოტივაციის პოვნა ძალიან ძნელი იყო. მათ დასვენება არჩიეს“ — თქვა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა ჟერარ კენტენმა. ასე, მაგალითად: მანჩესტერში ჩასვლაზე უარი თქვეს ჰოლანდიელმა ლეონტიენ ზაილაარდმა, ამერიკელმა მარტი ნოთსტეინმა და გერმანელმა რობერტ ბარტკომ, ფრანგმა ფლორიან რუსომ კი არ ისურვა იმ დისციპლინაში გამოსვლა, რომელშიც ოლიმპიური ოქრო მოიგო და მხოლოდ გუნდურ სპრინტში ცდის ბედს. საბოლოოდ ინგლისში 12 ოლიმპიური ჩემპიონიდან მხოლოდ ოთხმა გადაწყვიტა, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ებრძოლა იმავე დისციპლინაში, რომელშიც სიდნეიში იმარჯვა.

ამის მიუხედავად, მანჩესტერში მაინც ძალიან საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი, რისი დასტურიც ოთხშაბათ საღამოს ჩატარებული რბოლებია — მედლების ორი კომპლექტი უკვე გათამაშდა.

კილომეტრზე რბოლაში საუკეთესო ფრანგი არნო ტურნანი იყო და თანაც ახალი მსოფლიოს რეკორდით. მისი მთავარი მეტოქე, წესით, ოლიმპიური ჩემპიონი ჯეისონ ქველი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ იგი შინაური გარემოს მხარდაჭერითაც სარგებლობდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მშვენივრად იბრძოლა 31 წლის გერმანელმა სორენ ლაუსბერგმა და კინაღამ ჩემპიონი გახდა. დისტანციის ბოლო მან ტურნანზე უფრო ძლიერადაც გაიარა, მაგრამ მაინც კარიერაში მესამე ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. 22 წლის ფრანგისთვის კი, რომელმაც ოლიმპიადაზე მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა, ეს მსოფლიოს ჩემპიონატების მეექვსე ოქრო იყო.

„ამ საღამოს თქვენ ჩემი ნამდვილი შესაძლებლობები ნახეთ. სიდნეიში კი რა მოხდა, ჯერაც ვერ გამიგია. ყოველ შემთხვევაში, ის დღე ჩემი არ იყო“ — განაცხადა ტურნანმა, რომელიც მანჩესტერში კიდევ ორ დისციპლინაში (სპრინტსა და გუნდურ სპრინტში) აპირებს გამოსვლას.

ქველი ბრინჯაოს მედლითაც ძალიან კმაყოფილი ჩანდა, რადგან თურმე ამის იმედიც არ ჰქონია. „ოლიმპიური თამაშების შემდეგ ძალიან დაკავებული ვარ და სავარჯიშო დროის გამონახვაც კი მიჭირს“ — უთხრა მან ჟურნალისტებს.

მასსავით მოულოდნელად გაიხარა ლაუსბერგმაც, რომელსაც ადრე მოპოვებულ ვერცხლთაგან ერთი სწორედ მანჩესტერში მიუღია. „მეგონა, მეტოქეები ჩემზე გაცილებით უკეთეს ფორმაში იქნებოდნენ და მათთან გაჯიბრება არც მიცდია. უბრალოდ, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა მინდოდა, რამაც საბოლოოდ მედალი მომიტანა“ — თქვა გოლიათმა გერმანელმა, რომელსაც პოდიუმზე დგომისას სახე სულ უცინოდა.

იმ საღამოს გერმანია უოქროოდ მაინც არ დარჩა. გერმანულმა დუეტმა მოიგო „ამერიკული“, რასაც მეორენაირად „მედისონსაც“ უწოდებენ. აქ თითოეულ გუნდში ორი მრბოლია, რომლებიც ხშირი ესტაფეტის პრინციპით 240 წრეს (60 კმ) გადიან. ყოველი 20 წრის ბოლოს საშუალედო სპრინტი იმართება და პირველი ოთხეული ჩასათვლელ ქულებსაც იღებს. ეს ქულები ბოლოს ჯამდება და გამარჯვებული ასე ვლინდება. „ამერიკული“ პირველად მსოფლიოს ჩემპიონატების პროგრამაში 1995 წელს შეიტანეს და მას მერე გერმანია პირველად გაჩემპიონდა.

მედლების მომპოვებელმა გუნდებმა რბოლის პირველ ნახევარში დანარჩენები ერთი წრით ჩამოიტოვეს და სწორედ ამის ხარჯზე იმარჯვეს. სხვათა შეტევები წარმატებებით არ დაგვირგვინებულა, რადგან ტემპი საკმაოდ მაღალი იყო.

პოდიუმზე თავიდან მხოლოდ ხუთი კაცი ავიდა. თანაგუნდელისთვის განკუთვნილი ბრინჯაოს მედალი 35 წლის ხუან კურუჩეტმა მიიღო, რომელიც 1997 წელსაც მესამე იყო, ოღონდ თავის ძმა გაბრიელთან ერთად. მასზე ათი წლით უმცროსი ედგარდო სიმონი კი ისე გაესავათებინა რბოლას, პოდიუმამდე კარგა ხნის შემდეგლა მიაღწია.

**გაიოზ თალაკვაძე**

### კილომეტრზე რბოლა

1. არნო ტურნანი (საფრანგეთი) — 1წთ 01,61968
2. სოერენ ლაუსბერგი (გერმანია) — 1წთ 01,744
3. ჯეისონ ქველი (დიდი ბრიტანეთი) — 1წთ 02,449

### ამერიკული

1. შტეფან შტეინვეგი, ერიკ ვეისპფენინგი (გერმანია)
2. ხუან ლანარქსი, ისააკ გალვესი (ესპანეთი)
3. ხუან კურუჩეტი, ედგარდო სიმონი (არგენტინა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

BT Global Challenge
The world's toughest yacht race

რეგატა «BT გლობალ ჩელენჯი»

# ცისფერ პრერიებში

**რეგატა** სარგასის ზღვაში შეცურდა. ვერ გეტყვით, მიცურავენ თუ არა იახტები იმ საზღვაო მინდვრების რაიონში, რომელთაც კოლუმბის მატროსები გააკვირვეს, რადგან მათგან მოსული ცნობები ბევრად განსხვავებულ თემას ეხება — კავშირის პრობლემებს.

ყველაზე მეტად „ტიიმ სპირიტს“ უჭირს. ორიოდე დღის წინ იახტის ანძას ელჭექმა დასცხო. მსხვერპლი არ ყოფილა, მაგრამ უახლესი სატელიტური კავშირის სისტემები „SAT B“ და „მობიქი“ მთლიანად განადგურდა. იახტიდან ყოველგვარი ვიდეოინფორმაციისა და ელექტრონული ფოსტის ნაკადი შეწყდა და შკიპერმა ჯონ რიდმა (მან იახტა ბოსტონში ჩაიბარა) რეგატის მმართველი კომიტეტისგან რაიმე მაგიერი ითხოვა. უკავშიროდ იახტას, ცხადია, არავინ დატოვებდა და „ტიიმ სპირიტზე“ შედარებით მოძველებული სატელიტური სისტემა „SAT C“ ამუშავდა, რომელსაც სამი წლის წინანდელი რეგატისას იყენებდნენ. მისი მეშვეობით ოფიციალური ინფორმაციის, ამინდის პროგნოზისა და ელექტრონული რუკების მიღება შეიძლება, ხოლო რადიოკავშირის SSB სისტემა იახტების ერთმანეთთან და ნაპირთან კონტაქტს უზრუნველყოფს. ერთია მხოლოდ — ბუენოს აირესამდე „ტიიმ სპირიტის“ გუნდის წევრები ახლობელთა სახეების ნახვას ვერ შეძლებენ და პირიქით, ხოლო გუშინწინ ჯონ რიდი ნაპირთან საუბრისას გულმოსული იყო: „ვინ თქვა, მეხი ერთ ადგილს ორჯერ არ ეცემაო, წინა რეგატისასაც მსგავსი ამბავი ჩვენ არ დაგვემართა?“

პრობლემები აქვთ აგრეთვე „ვერიტასს“, „კომპაქს“ და „ნორვიჩ იუნიონს“, მაგრამ ეს უკანასკნელი ძირითად ჯგუფთან ჩამორჩენას ნელ-ნელა ამცირებს. პირველ ადგილზე ბოლო დღეებში „ელ ჯი ფლატრონი“ გაიჭრა, ჩქარა გაზარდა უპირატესობა და ახლა „ქუალსტოუნს“ 45 მილს უგებს.

### II ეტაპი

ბოსტონი — ბუენოს აირესი

| | | |
|---|---|---|
| „ელ ჯი ფლატრონი“ | 4263 | 0 |
| „ქუალსტოუნი“ | 4308 | 45 |
| „კომპაქი“ | 4310 | 47 |
| „ტიიმ სპირიტი“ | 4334 | 71 |
| „სერკო“ | 4369 | 106 |
| „ლოჯიკე“ | 4373 | 110 |
| „ოლიმპიკ გრუპი“ | 4374 | 111 |
| „ბი პი“ | 4394 | 131 |
| „აილ ოფ მენი“ | 4401 | 138 |
| „ვერიტასი“ | 4430 | 167 |
| „სპირიტ ოფ ჰონკონგი“ | 4439 | 176 |
| „ნორვიჩ იუნიონი“ | 4464 | 201 |

*მეორე სვეტში მოცემულია მანძილი ფინიშამდე, მესამეში — დაშორება ლიდერთან*

THE TIMES Clipper 2000

რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»

# მოთმლვა დასრულდა

**„ტაიმს კლიპერ 2000“-ის** იახტებმა მსუბუქი პირველი ეტაპი პორტუგალიურ ვილამურაში დაასრულეს და ახლა ატლანტის ოკეანეში ბევრად ხანგრძლივი ცურვა ელით. 22 ოქტომბრის ადრიან დილას ვილამურას პირველი „ბრისტოლი“ მიადგა. ეს ბუნებრივიც იყო, „ბრისტოლი“ ლამის სტარტიდან ლიდერობდა და მხოლოდ გზის პირველ ნახევარში მოუწია „პლიმუთთან“ პაექრობამ. ყველაზე სანახაობრივი კი მესამე ადგილისთვის გამართული სპრინტი გახლდათ, რომელშიც „პორტსმუთმა“ „ლონდონს“ სამი წუთით (!) აჯობა, თუმცა დედაქალაქელებს მეოთხე ადგილიც არ ეწყინებოდათ, თავიდან ხომ აუტსაიდერები იყვნენ.

### I ეტაპი

პორტსმუთი — ვილამურა

| | | |
|---|---|---|
| „ბრისტოლი“ | 22.10.00 | 10:35 |
| „პლიმუთი“ | 22.10.00 | 13:40 |
| „პორტსმუთი“ | 22.10.00 | 19:45 |
| „ლონდონი“ | 22.10.00 | 19:48 |
| „ჯერსი“ | 22.10.00 | 21:03 |
| „ლიდსი“ | 22.10.00 | 23:12 |
| „გლაზგო“ | 23.10.00 | 01:30 |
| „ლივერპული“ | 23.10.00 | 03:52 |

*მეორე სვეტში მოცემულია ფინიშის თარიღი, მესამეში — ადგილობრივი დრო*

# ოფიცერი გვყავს, თანაც საერთაშორისო



ზურაბ ფალავანდიშვილის ფოტო

გია ჭუმბურიძე: ჩვენი კაცი IRB-ში

**ამ** დღეებში თბილისში რაგბის საერთაშორისო საბჭოდან (IRB) მოვლინებული ევროპაში რაგბის განვითარების გენერალური მენეჯერი რობერ ანტონიონი და ფრანგული კლუბის „ბეგლ-ბორდო“-ს პრეზიდენტი, პროფესიით არქიტექტორი მიშელ მოგა სტუმრობდნენ. მათი ვიზიტის მიზანი ქართული მხარის მიერ შემუშავებული პროექტების განხილვა-დამტკიცება გახლდათ. პროექტები ითვალისწინებს საშუალო სკოლებში რაგბის დანერგვასა და სწავლებას, საქართველოში მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარების მოწყობას, 17-წლამდელ მორაგბეთა შორის შავი ზღვის თასის და შვიდკაცა რაგბიში ევროპის ჩემპიონატის ჩატარებას. წარდგენილი პროექტები მოწონებულია და მათი განხორციელებისთვის საჭირო თანხის უმეტეს ნაწილს რაგბის საერთაშორისო საბჭო გაიღებს. ამასთან ერთად სტუმრებმა საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას უმაღლეს და ჭაბუკთა ლიგების მწვრთნელთა ტესტირება ურჩიეს. ასეთი პრაქტიკა ადრე საფრანგეთში დაინერგა და გაამართლა კიდეც. რაც მთავარია, ის მწვრთნელი, რომელიც ტესტებს წარმატებით ჩააბარებს, IRB-ში რეგისტრირებულ დიპლომს და სერთიფიკატს მიიღებს, რაც საშუალებას მისცემს, თავისი საქმიანობა უცხოეთში განაგრძოს. ეს ყველაფერი სამომავლო გეგმებია, მანამდე კი, როგორც ჩანს, რაგბის საერთაშორისო საბჭოს უმაღლეს ეშელონებში ქართული რაგბის ბოლოდროინდელი წარმატებები სათანადოდ შეფასდა, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების ოფიცრის ვაკანტური თანამდებობა ჩვენმა სპეციალისტმა, გია ჭუმბურიძემ დაიკავა. იგი პირველი ქართველია, რომელიც IRB-ის სისტემაში იმუშავებს და მისი სრულფასოვანი მუშაკი იქნება. გია ჭუმბურიძე სადღეისოდ საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო განყოფილებას ხელმძღვანელობს, მანამდე კი კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

**ბაჩო სვანიძე**

# პატარა ბორჯღალოსნები გადაჯგუფებას აპირებენ

**2001 წლის** აპრილში ჩილე ჭაბუკთა მსოფლიო თასის გათამაშებას უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები „B“ ჯგუფში იასპარეზებს და „A“ ჯგუფში გადასასვლელად იბრძოლებს. გუშინ სპორტის აკადემიის სტადიონზე ჭაბუკთა ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანიშვილმა უმაღლეს და ჭაბუკთა ლიგებში მოთამაშე ყველა სასურველ კანდიდატს უხმო და საწვრთნელ-სასელექციო მატჩებიც გამართა. გამორჩეულ მოთამაშეთაგან საქართველოს ნაკრების ბირთვი ჩამოყალიბდება. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა შარშან საფრანგეთში გამართულ ანალოგიურ ტურნირზე იასპარეზეს, მაგრამ მაშინ ღირსეულს ვერაფერს მიაღწიეს და ელიტაში ადგილის მოპოვება ვერ შეძლეს. ამჯერად ახალი დამრიგებლების გაწვრთნილები ეცდებიან სასურველი შედეგის მიღწევას. ამაში ნარიმანიშვილს მისი თანაშემწეები — მამუკა ტყეშელაშვილი და ლევან მაისაშვილი დაეხმარებიან.

**ბაჩო სვანიძე**

# მამლები იფხორებიან

**საფრანგეთის** მორაგბეთა ნაკრები ნოემბერში ჯერ ავსტრალიას უმასპინძლებს ტესტ-მატჩში, შემდეგ კი ახალ ზელანდიას. „მამლების“ მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა უკვე დაასახელა ის 22 მორაგბე, რომლებსაც იგი ამ ორ მატჩში ენდობა. შემადგენლობაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ლაპორტის ყოფილ გუნდ „სტად ფრანსეს“ ჰყავს — შვიდი. „მე იმ მორაგბეებს ვუხმე, რომლებიც ახლა საუკეთესო ფორმაში არიან. ავსტრალიასთან ჩვენს თავს უნდა ვაჯობოთ, თანაც მსოფლიოს თასის ფინალში წაგებისთვის რევანშიც უნდა ავიღოთ. მერე კი ახალ ზელანდიასაც ამნაირივე შემართებით უნდა დავუხვდეთ“ — თქვა „მამლების“ სტრატეგმა.

ლაპორტის სიაში ორი დებიუტანტია. თუ ფრანსის ნტამაკი პირველად გამოიძახეს ფრანგთა მთავარ გუნდში, ფაბრის ლანდრო 1994 წლამდე 7-ჯერ იჯდა საფრანგეთის ნაკრების სათადარიგოთა სკამზე, მაგრამ თამაშში ერთხელაც არ ჩართულა. ლაპორტმა აგრეთვე გადაწყვიტა, კიდევ ერთი შანსი მიეცა სერჟ ბეტსენისთვის, რომელიც უკვე კარგა ხანია, „მამლებში“ აღარ გამოჩენილა. „ის ახლა მშვენიერ ფორმაშია. მისი მთავარი ნაკლი ის იყო, რომ არცთუ იშვიათად ცდებოდა, მაგრამ ბეტსენის პროგრესი ახლა აშკარაა“ — ცოტა უცნაურად შეაფასა ბიარიცელი ლაპორტმა და იქვე დაამატა, რომ იგი დაცვაში საიმედოა და გუნდსაც კარგად იცნობს.

ავსტრალიასთან 4 ნოემბერს გასამართ ტესტში რამდენიმე მორაგბე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს, თუმცა გამორიცხული არ არის, ისინი ახალ ზელანდიასთან გაიყვანონ. ფრანსის ნტამაკის უფროსი ძმა — ემილი, პიტერ დე ვილიე, რაფაელ იბანესი, აბდელატიფ ბენაზი და ტომა ლიევრემონი, მართალია, დიდი ძალა არიან, მაგრამ თამაში უიმათოდაც შეიძლება. მით უმეტეს, ასეთი შემადგენლობით:

**უკანახაზელები:** ფილიპ კარბონო (პო), ფაბიენ გალტიე (კოლომიე), იან დელეგი (ტულუზი), კრისტოფ ლამეზონი (აჟანი), დავიდ ბორი (მონფერანი), ტომა კასტენიედი (სარასენსი, ინგლისი), ფრანკ კომბა (სტად ფრანსე), კრისტოფ დომინისი (სტად ფრანსე), რიშარ დურთი (ბეზიე), ტომა ლომბარი (სტად ფრანსე);

**წინახაზელები:** კრისტიან კალიფანო (ტულუზი), სილვენ მარკონე (სტად ფრანსე), ფრანკ ტურნერი (ტულუზი), ოლივიე აზამი (გლოუსესტერი, ინგლისი), ფაბრის ლანდრო (სტად ფრანსე), დავიდ ორადუ (სტად ფრანსე), ოლივიე ბრუზე (ნორთჰემპტონი, ინგლისი), ფაბიენ პელუ (ტულუზი), სერჟ ბეტსენი (ბიარიცი), ოლივიე მანი (მონფერანი), კრისტოფ მონი (სტად ფრანსე), ფრანსის ნტამაკი (კოლომიე)

# შავმა ბოლმა თან წაიღო

**ველინგტონელი** სამმეოთხედელი ჯეისონ ოჰალორენი ერთადერთი ახალბედაა ახალი ზელანდიის 26-კაციან ნაკრებში, რომელიც ნოემბერში ტურნეს გამართავს იაპონიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ოჰალორენი უკვე რამდენიმე წელია, ველინგტონშია და ზე 12-შიც იცავს მის ღირსებას და ახალი ზელანდიის პროვინციათა პირველობაზეც. ოღონდ აქამდე „ოლ ბლექსის“ ხელმძღვანელთა ყურადღება ვერაფრით მიიპყრო.

„მან მთელი სეზონი მშვენივრად ჩაატარა. განსაკუთრებით პროვინციათა პირველობის ნახევარფინალში მომეწონა. გონიერი მორაგბეა, ლიდერობაც შეუძლია იკისროს, ფიზიკურადაც ძლიერია. ასე რომ, ნაკრებში მოხვედრას ნამდვილად იმსახურებდა“ — განაცხადა ახალი ზელანდიის მთავარმა მწვრთნელმა უეინ სმიტმა.

სმიტმა და მისმა დამხმარეებმა, ტონი ჯილბერტმა და პეტერ ტორბორნმა, გუნდში რამდენიმე ისეთი კაციც დააბრუნეს, რომლებსაც უკვე კარგა ხანია, შავი კვართი აღარ მოურგიათ — ბრიუს რეიჰანა, კარლოს სპენსერი, ფილო ტიატია, გრეგ ფიკი და გორდონ სლეიტერი. სამაგიეროდ, მათ არ მიიწვიეს ველინგტონის ცენტრი ალამა იერემია, რადგანაც მან კარიერის იაპონიაში გაგრძელება გადაწყვიტა. ჯოშ კრონფელდიც, რომელიც ჯერ ამბობდა, ფრანგებთან მსოფლიოს თასის ნახევარფინალში წაგებისთვის რევანშის მერე მივატოვებ ნაკრებსო, ევროპულ ტურნემდე გამოეთხოვა „ოლ ბლექსს“.

იერემიას არყოფნა იმის მაუწყებელია, რომ სამმეოთხედელთა შუაში მისი თანაგუნდელი ტანა უმაგა ითამაშებს. ამ ამპლუას უმაგა დიდხანს ეკურკურებოდა და ახლა ძალიანაც გახარებულია. შერკინების მესამე ხაზის ცენტრში კი ტიატია დადგება, რაც მისი მაჯის ტრავმის გათვალისწინებით ერთობ მოულოდნელია. თუმცა სმიტი ირწმუნება, რომ ტიატია ტესტებისთვის სრულიად ჯანმრთელი იქნება. „ტიატიას გარეშე საფრანგეთთან ძალიან გაგვიჭირდებოდა“ — დაამატა სმიტმა.

ახალი ზელანდიის სატურნეო შემადგენლობა:

**უკანახაზელები:** კრისტიან კალენი (ველინგტონი), დერილ გიბსონი (კენტერბერი), დოუგ ჰოულეტი (ოკლენდი), ჯონა ლომუ (ველინგტონი), ბრიუს რეიჰანა (ვაიკატო), ტანა უმაგა (ველინგტონი), პიტა ალატინი (ოთაგო), ჯეისონ ოჰალორენი (ველინგტონი), ენდრიუ მერთენსი (კენტერბერი), კარლოს სპენსერი (ოკლენდი), ბაირონ კელეჰერი (ოთაგო), ჯასტინ მარშალი (კენტერბერი);

**წინახაზელები:** რონ კრიბი (ნორთ ჰარბორი), ფილო ტიატია (ველინგტონი), ტეინ რენდელი (ოთაგო), სკოტ რობერტსონი (კენტერბერი), რუბენ ტორნი (კენტერბერი), ტოდ ბლეკედერი (კაპ. კენტერბერი), ტროი ფლეველი (ნორთ ჰარბორი), ნორმ მაქსველი (კენტერბერი), კრეიგ დოუდი (ოკლენდი), გრეგ ფიკი (კენტერბერი), გორდონ სლეიტერი (ტარანაკი), გრეგ სომერვილი (კენტერბერი), მარკ ჰამეტი (კენტერბერი), ენტონ ოლივერი (ოთაგო)

**გაიოზ თალაკვაძე**

**ახალი ზელანდიის მატჩები:**

| | | |
|---|---|---|
| 3.11 | ტოკიო | წყნარი ოკეანის ბარბაროსები — ახალი ზელანდია |
| 7.11 | ლანსი | ფრანგი ბარბაროსები — ახალი ზელანდია |
| 11.11 | სენ დენი | საფრანგეთი — ახალი ზელანდია |
| 18.11 | მარსელი | საფრანგეთი — ახალი ზელანდია |
| 25.11 | გენუა | იტალია — ახალი ზელანდია |



# დომინატორი გაცოცხლდა

25 ოქტომბერი

**ბუფალო — კაროლინა 4:1**

2:0 1:0 1:1

1:0 რეი 3'18 (1); 2:0 გრეტონი 4'47 (2); 3:0 რასმუსენი 22'48 (2); 4:0 დიუმონი 44'41 (3); 4:1 ონილი 49'27 (2)

**კოლუმბუსი — სან ხოსე 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 სუტერი 15'43 (1); 0:2 მარლო 30'23 (4); 1:2 კლესლა 54'33 (2); 1:3 დამფუსი 59'27 (1)

**დეტროიტი — ტამპა 5:1**

2:0 2:1 1:0

1:0 შენაჰანი 13'51 (3); 2:0 ლაპოინტი 14'39 (5); 2:1 ხარიტონოვი 31'39 (2); 3:1 ფიოდოროვი 33'09 (5); 4:1 მერფი 38'14 (1); 5:1 გილკრისტი 46'21 (1)

**ფლორიდა — ნიუ ჯერსი 1:2**

1:0 0:1 0:1

1:0 შპაჩეკი 5'53 (2); 1:1 მოგილნი 32'55 (3); 1:2 სელიაში 58'27 (2)

**პიტსბურგი — ოტავა 2:3**

0:1 0:2 2:0

0:1 ფიშერი 19'13 (1); 0:2 ბონკი 30'29 (4); 0:3 არვედსონი 35'30 (5); 1:3 იაგრი 47'00 (8); 2:3 იაგრი 56'43 (9)

**ტორონტო — მინესოტა 6:1**

4:0 1:0 1:1

1:0 რობერტსი 0'44 (2); 2:0 ბერეზინი 5'35 (3); 3:0 ჰოგლუნდი 15'44 (2); 4:0 რობერტსი 17'38 (3); 5:0 კროსი 36'27 (1); 6:0 ხრისტიჩი 55'59 (2), 6:1 უოლცი 58'47 (3)

**დალასი — ვანკუვერი 2:6**

0:1 2:3 0:2

0:1 ჰ. სედინი 11'26 (3); 1:1 ჰალი 32'15 (7); 1:2 მორისონი 33'21 (4); 1:3 პედერსონი 34'22 (2); 2:3 ჰალი 35'05 (8); 2:4 ჰელმერი 37'55 (2); 2:5 ბერტუცი 45'31 (3); 2:6 კუკი 51'00 (2)

**კოლორადო — ნეშვილი 2:1**

0:0 0:0 1:1 1:0

0:1 გ. ჯონსონი 55'02 (1); 1:1 დრური 58'08 (4); 2:1 ფორსბერგი 63'58 (8)

**ედმონტონი — ატლანტა 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 სვარტვადეტი 6'52 (2); 0:2 ოდეტი 33'41 (7); 1:2 უეიტი 41'05 (3); 1:3 სკალდე 59'07 (1)

**ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 6:2**

1:1 3:0 2:1

1:0 შტუმპელი 10'17 (2); 1:1 პ. კარია 11'44 (3); 2:1 სმოლინსკი 20'15 (2); 3:1 ემერსონი 23'33 (3); 4:1 რაინპრეხტი 28'43 (4); 5:1 რ. ბლეიკი 41'26 (4); 6:1 გ. მიურეი 50'13 (4); 6:2 რუჩინი 56'51 (2)

როგორც იქნა, სეზონში პირველი გამარჯვებით გაიხარა ბუფალოს მეკარე დომინიკ ჰაშეკმა. წინა ორ, მოგებულ მატჩში, ბუფალოელების კარში „დომინატორის“ შემცვლელი იდგა, თავად ჰაშეკმა კი 5 შეხვედრიდან 4 წააგო და მაშინ, როცა ყველამ იფიქრა, მისი ვარსკვლავი ჩაესვენაო, კვლავ ჩვეულად გაიბრწყინა. მან ყველაფერი იღონა, რათა ბუფალოს შეხვედრის დასაწყისში მოპოვებული ორშაიბიანი უპირატესობა არ დაეკარგა და ბოლო ორ პერიოდში 30 დარტყმა მოიგერია.

ამ ტურს იუბილარებიც ჰყავდა. თავის მე-1000 მატჩში სან ხოსეს მცველმა გერი სუტერმა გოლი გაიტანა, ხოლო ტორონტოელმა გერი რობერტსმა ლიგაში 800 თამაში 2 გოლითა და პასით აღნიშნა.

მთავარი მოვლენა კი ლოსანჯელესელ ლუკ რობიტაილის მიღწევები იყო. „კინგსის“ ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ ერთბაშად ორი ზღვარი გადალახა: გუნდთან ერთად მე-1000 ქულა მოიპოვა, ხოლო თავად კარიერაში მე-600 პასი მიითვალა. ანაჰაიმთან შეხვედრის წინ გუნდმა რობიტაილი ვერცხლის ყვანჯით დააჯილდოვა, ხოლო ლიგამ ლამაზი თასი უსახსოვრა. გახარებულმა ლუკმაც ორმაგად მოინდომა და 3 პასით გუნდის დამაჯერებელ გამარჯვებაში [illegible] წილი დაიდო.

ზედიზედ მესამე მატჩია, ოტავა სულელურად ფლანგავს თამაშის მსვლელობისას მოპოვებულ სოლიდურ უპირატესობას. წინა ორ მეტოქეს „სენატორებმა“ ქულა აჩუქეს, ამჯერად კი, პიტსბურგთან ფრეს ძლივს გადაურჩნენ.

შარშანდელმა დებიუტანტმა ატლანტამ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა და სადღეისოდ ლიგაში მხოლოდ ერთი გუნდი დარჩა მოუგებელი — ფლორიდა ნიუ ჯერსისთან ორთაბრძოლაში კვლავ უკბილოდ ითამაშეს „პანტერების“ ფორვარდებმა, პაველ ბურემ ზედიზედ მეოთხედ დარჩა უქულოდ.

დაბოლოს, დღის მთავარი სენსაცია — დალასი განადგურდა. შარშანდელმა ფინალისტმა წინა ხუთი მატჩი მოიგო, მაგრამ ახლა მეკარე ედ ბელფორის უვარგის თამაშს ემსხვერპლა. თუმცა ბელფორიც ხომ რკინის არაა, მით უმეტეს, რომ წინა შეხვედრაში მოპოვებული ქულები მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურება იყო. კოლორადომ კი ზედიზედ მეცხრე წაუგებელი თამაში ჩაატარა, ხოლო მთლიანად რეგულარულ ჩემპიონატში 26 მარტის შემდეგ არ დამარცხებულა (+15=2-0).

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ჰიტსბურგიდან

უხეშობით ცნობილმა პიტსბურგელმა დარიუს კასპარაიტისმა (მარცხნივ) ოტაველი ანდრიას დაცელი მოიხელთა

საქართველოს ჩემპიონატი
II ტურის საუკეთესო მოთამაშე
მამუკა ტურაშვილი — აზოტი



**ახალი** საკალათბურთო სეზონის საწყის ორ ტურში ყველაზე დასამახსოვრებელი, ალბათ, „მაკაბი“ — „აზოტის“ დაპირისპირება იყო. კამერუნელებით გაძლიერებულმა და კორაჩის თასზე ნათამაშევმა „მაკაბიმ“ კვირას, რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა რუსთაველი გუნდის წინააღმდეგ, მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში მყოფმა მესამე მეოთხედის შუაწელში მატჩი ლამის სათავისოდაც შემოაბრუნა, მაგრამ აზოტელებმა მამუკა ტურაშვილმა „მაკაბის“ ყოველგვარი მცდელობა ფუჭი გახადა და მეტოქეს ბრძოლაზე ხელი აალებინა.

იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული „აზოტი“ მესამე ათწუთეულში ოდნავ მოეშვა. „მაკაბიმ“ ამით ისარგებლა, დაცვაში რამდენიმე ბურთი აილო და სწრაფი პირველი შეტევები განავითარა. შედეგად თბილისელებმა ჩამორჩენა 12 ქულამდე შეამცირეს და თამაშის იშტაზე მოსულთ იქნებ მატჩში გარდატეხაც შეეტანათ, რომ არა მამუკა ტურაშვილი. „ვითადან“ „აზოტში“ წლეულს გადაბარგებულმა მსროლელმა რკინის ნერვები გამოაჩინა, მცირე მონაკვეთში ორი სამქულიანი ჩააგდო და ამით, ფაქტობრივად, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ტურაშვილი სამიანების ოსტატი რომ არის, ყველასთვის კარგად ცნობილია. ეს ფაქტი მით უფრო აღსანიშნავია, რომ მამუკამ „აზოტისთვის“ ყველაზე კრიტიკულ მომენტში გამოიდო თავი და მანამდე ჩრდილში მყოფმა ხელის აუკანკალებლად დაბომბა და დააშმათა მეტოქე. ახლა, ალბათ, ყველასთვის გასაგებია, თუ რატომ გახდა ტურაშვილი „სარბიელის“ რჩეული — მეათე ეროვნულის მეორე ტურში, ვფიქრობთ, სწორედ იგი იყო საუკეთესო.

ტურას სანაკრებო დონეზეც უსახელებია თავი, მისმა ზუსტმა სამქულიანმა ახლო წარსულში ეროვნული გუნდიც დიდად ახეირა. ამ ოთხი წლის წინ საქართველოს ნაკრები ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მოსახვედრად იბრძოდა, კვიპროსში გამართული საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო დღეს ქართველებს მასპინძლებთან მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ. შეხვედრის უკანასკნელ წამზე სწორედ ტურაშვილმა ჩააგდო გამარჯვების მომტანი სამქულიანი და ნაკრებს შესარჩევი ეტაპისკენ გაუკვალა გზა. ეს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი სამქულიანი იყო დღემდე მამუკას კარიერაში.

სხვათა შორის, ამ ზაფხულს ტურაშვილი კალათბურთთან გამოთხოვებას აპირებდა. წლების მანძილზე „ვითას“ კაპიტანს ამ განზრახვაზე „აზოტმა“ აალებინა ხელი და მამუკაც სწორედ რუსთაულ კლუბში ჩაირიცხა. ვფიქრობთ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო ტურამ — მისი დონის კალათბურთელები ხომ არცთუ ბევრია ჩვენში.

## სუპროლიგა

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 26 ოქტომბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
| --- | --- |
| სპლიტი 68:59 პანათინაიკოსი | კრკა 64:72 ეფესი |
| ცეპტერი 69:84 ცსკა | ბაიერი 82:90 ოსტენდე |
| სიენა 67:70 ვილერბანი | მაკაბი 95:69 პლანია |
| ულკერი 90:84 ალბა | პაო ორტეზი 84:76 სკავოლინი |

# სმიტს აგენტამდე ჩაჰყვნენ

**მძიმე** დღეში ჩავარდა „მინესოტა ტიმბევულვზი“. კლუბს ნბა-ს კომისარის, დევიდ შტერნის საშინელი რისხვა დაატყდა თავს. აბა, რა ეგონათ „მინესოტას“ მამებს, ამ ორი წლის წინ კალათბურთელ ჯო სმიტთან საიდუმლო კონტრაქტს რომ აფორმებდნენ. 1998 წელს „მინესოტამ“ სმიტს ნბა-ს საკონტრაქტო წესების გვერდის ავლით ფარულად დაუდო ხელშეკრულება და სასურველი კალათბურთელი ათი წლით თავისთან დაიგულა, მაგრამ „შეთქმულები“ საიდუმლოს კარგად ვერ გაუფრთხილდნენ, ინფორმაციამ გაჟონა და ახლა ეს ამბავი საკალათბურთო ამერიკის უმთავრეს სასაუბრო თემად იქცა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია სასტიკად კრძალავს და ებრძვის ასეთ კონტრაქტებს, თუმცა აქამდე, მსგავსი რამ ვერ აღმოაჩინა. ახლა კი განრისხებულმა ამერიკული კალათბურთის მამამ მაგიდაზე მუშტი დაჰკრა... წესების უგულებელმყოფთა სასჯელი უმძიმესია, რათა სხვებმა ჭკუა ისწავლონ. კლუბ „მინესოტა ტიმბერვულვზს“ არცთუ სახუმარო თანხის გადახდა დაეკისრება, ჯარიმა 3,5 მილიონი, რაც ნბა-ს მიერ ოდესმე დაკისრებულ ფინანსურ სანქციათა შორის სარეკორდოა. დისკვალიფიკაციას მიიღებს კლუბის მილიარდერი მფლობელი გლენ ტეილორი, მკაცრად დაისჯებიან კლუბის ხელმძღვანელებიც, წარსულში დიდი კალათბურთელის, ან კი „მინესოტას“ გენერალური მენეჯერის, სახელოვანი კევინ მაკჰეილის ჩათვლით. წყლიდან სხვებთან შედარებით მშრალი ამოვიდა გუნდის მთავარი მწვრთნელი ფლიპ სანდერსი. როგორც ჩანს, იგი ნაკლებადაა ამ საქმეში გარეული. მთავარი და დაკისრებულ სანქციათა შორის უმძიმესი ის არის, რომ „მინესოტა“ ტიმბერვულვზს“ ჩამოერთმევა მომდევნო ხუთი დრაფტის (2005 წლის დრაფტის ჩათვლით) პირველ წრეში არჩევნის გაკეთების უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ „მინესოტა“ ხუთი წელი მოკლებული იქნება საშუალებას სტუდენტურ ლიგაში თუ სხვაგან დაღვინებული ნიჭიერი კალათბურთელები შეიმატოს.

რაც შეეხება თავად ჯო სმიტს, იგი უფრო მკაცრად დაისაჯა, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო მოსალოდნელი. გარდა იმისა, რომ შეუწყვიტეს „მინესოტასთან“ კონტრაქტი, სმიტი კიდევ სამი წელი ვერ ისარგებლებს ეგრეთ წოდებული ლარი ბერდის საკონტრაქტო წესით, რაც შემდეგს ითვალისწინებს: კალათბურთელს, რომელსაც ნბა-ში ექვსი სეზონი გაუტარებია და აქედან მინიმუმ ბოლო სამი ერთ კონკრეტულ გუნდში, უფლება აქვს, გასამრჯელოს მაქსიმუმი მოითხოვოს, რაც ნბა-ს შესაბამისი კანონებით დაშვებულია. ცოტა ჩახლართული კია, მაგრამ ბატონ ნბა-ს ასე დაუწესებია და მის შესრულებას ბრძანებს. წესის დამრღვევს კი რაც დაატყდება თავს, ეს სმიტის და „მინესოტის“ მაგალითიდანაც მშვენივრად ჩანს. კალათბურთელმა და მისმა კლუბმა ვერ მოითმინეს და ასეთი კონტრაქტი (ათ წელიწადში 93 მილიონი) დაშვებულ ვადაზე სამი წლით ადრე გააფორმეს. ახლა კი სმიტს ამგვარი ხელსაყრელი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა არა ერთი, არამედ სამი წლის შემდეგ მიეცემა. ორი წლის წინ ამ 93 მილიონს გამოდევნებული სმიტის სასჯელიც ესაა. ახლა იგი ამ სამ წელში რამდენიმე მილიონს უნდა დასჯერდეს. სმიტი თავს იმართლებს — „მე ფული არასდროს მხიბლავდა უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვას. მინდოდა, კალათბურთი მეთამაშა და მეპოვნა საუკეთესო ადგილი, სადაც ამას გავაკეთებდი. ასეთად „მინესოტა“ ჩავთვალე. იმიტომ გავაფორმე კონტრაქტი, რომ რაც შეიძლება დიდხანს მსურდა აქ დარჩენა“. ახლა სმიტი თავისუფალი აგენტია და უფლება აქვს, ნბა-ს დანარჩენი 28 გუნდიდან ნებისმიერს მიაშუროს, თუმც, თუ მისი სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი არ შეგვეპარება, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ისევ „მინესოტაში“ დარჩენას ამჯობინებს. ის ურიგო მოთამაშე არაა და „ტიმბერვულვზი“ არ ისურვებდა მის დაკარგვას, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი უსიამოვნობა შეემთხვა. რაც შეეხება ახალ კონტრაქტს, ის სასჯელის გათვალისწინებით დიდი არ იქნება, მაგრამ სმიტისთვის ხომ ფული მეორეხარისხოვანია.

ჯო სმიტთან და „მინესოტასთან“ ერთად კალათბურთელის აგენტი ერიკ ფლეიშერიც დაისჯება. კომისარი დევიდ შტერნი ნბა-ს მოთამაშეთა ასოციაციასთან (NBPA) მოლაპარაკებას აპირებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, ჩამოართვას თუ არა ნბა-ს მოთამაშეთა საქმეების წარმართვის უფლება. აღსანიშნავია, რომ ერიკ ფლეიშერი იმ ლარი ფლეიშერის შვილია, რომელიც NBPA-ს პირველი აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. სწორედ ლარი ფლეიშერმა ურჩია დევიდ შტერნს 1984 წელს, დაეწესებინა სახელფასო ფონდი და შემოეღო შეზღუდვები კონტრაქტებზე, რომლებიც ასტრონომიული ტემპებით იზრდებოდა.

ერიკ ფლეიშერის ძმაც აგენტია. მარკ ფლეიშერი ვლადიმერ ბოისას, ზაზა ფაჩულიას, დეიან ბოდიროგას, დამირ მულაომეროვიჩის, კევინ გარნეტის და სხვათა მენეჯერი გახლავთ.

**ირაკლი ფირცხვილი**



ჯო სმიტი

## კორაჩის თასი. II შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები

25 ოქტომბერი (ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია)

*პეკაესი (პოლონეთი)* — ვურცბურგი (გერმანია) 95:79 (89:89)
სავინსკი (სლოვენია) — *ოპავა (ჩეხეთი)* 88:79 (62:91)
*უნიკახა (ესპანეთი)* — მონსი (ბელგია) 97:66 (95:62)
გროდნო (ბელარუსი) — *შახტიორი (რუსეთი)* 63:76 (53:97)
*სპარტაკი (რუსეთი)* — კოუვოტი (ფინეთი) 77:63 (73:72)
*ვოივოდინა (იუგოსლავია)* — მზტ (მაკედონია) [illegible]:85 (81:78)
შიროკი (ბოსნია) — *დარუშაფაკა (თურქეთი)* [illegible] (62:103)
შოლე (საფრანგეთი) — *ბინგოლი (ბელგია)* 82:94 (79:77)
*დიჟონი (საფრანგეთი)* — ფრიბურგი (შვეიცარია) 68:49 (80:73)
ამიგოსი (პორტუგალია) — *ლე მანი (საფრანგეთი)* 88:110 (74:104)
უნიაუ (პორტუგალია) — *კასერესი (ესპანეთი)* 84:93 (67:75)
ხირონა (ესპანეთი) — *ატლონი (ბელგია)* 66:83 (70:83)
*ტელეკომი (პორტუგალია)* — კანარიასი (ესპანეთი) 82:75 (66:72)
*ტრიესტი (იტალია)* — სლოვანი (სლოვენია) 94:76 (69:86)
*ვიოლა (იტალია)* — ატომერომუ (უნგრეთი) 87:71 (73:79)
ჰერცოგტელი (გერმანია) — *სტრასბური (საფრანგეთი)* 85:91 (66:80)
აპოლონი (კვიპროსი) — *ჰემოფარმი (იუგოსლავია)* 70:75 (50:75)
მიტელდოიჩერი (გერმანია) — *მონტეკატინი (იტალია)* 62:75 (80:72)
სენტ პიოლტენი (ავსტრია) — *სოლნოკი (უნგრეთი)* 87:87 (68:82)
*ავტოდორი (რუსეთი)* — ცსკა (ბულგარეთი) 92:62 (109:75)
სუნდსვალი (შვედეთი) — *ხიმკი (რუსეთი)* 82:81 (75:86)
სედერტელიე (შვედეთი) — *ლოკომოტივი (რუსეთი)* 101:85 (54:76)
*ჟელეზნიკი (იუგოსლავია)* — იამბოლგაზი (ბულგარეთი) 75:62 (67:65)
*ფენერბაჰჩე (თურქეთი)* — იგოკეა (ბოსნია) 73:65 (75:78)
*პროკომი (პოლონეთი)* — ობერვარტი (ავსტრია) 106:55 (87:72)
გალათასარაი (თურქეთი) — *სლობოდა დიტა (ბოსნია)* 81:77 (64:70)
*ტელეკომი (თურქეთი)* — რიეკა (ხორვატია) 89:62 (92:101)
*ნიარ ისტი (საბერძნეთი)* — აქილეასი (კვიპროსი) 92:60 (106:70)
*მაკაბი (რამათ განი, ისრაელი)* — არადი (რუმინეთი) 92:87 (100:73)
*რიკო (ჰოლანდია)* — ოკაპი (ბელგია) 66:62 (85:67)
ბენსტონი (ხორვატია) — *ლევსკი (ბულგარეთი)* 69:69 (67:90)

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ჯგუფურ ეტაპზე*
*ჯგუფური ეტაპი დაიწყება 15 ნოემბერს*

## კორაჩის თასი. II შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

# შურისძიება იტალიურად: ტრიესტმა სლოვანი ევროპიდან მოკვეთა

**ტრიესტი (იტალია) — სლოვანი (სლოვენია) 94:76**

**ტრიესტი:** კალაბრია (8), კაზოლი (14), კიპრუსი, ლაეცა (14), მოლტიდო (9), პენი (24), პოდესტა (12), შოუ (13)

**სლოვანი:** ბოისა (8), კოკალი (1), კოვაჩი (10), ლაკოვიჩი (12), მარავიჩი (18), ნოვაკი (16), პავიჩი, ცქიტიშვილი (9), უგრეხელიძე (2), ტაკელი

„ჩანს, მაღალი კლასის გუნდია „ტრიესტი“ და 17-ქულიანი სხვაობით წაგების მიუხედავად, კორაჩის თასის ჯგუფურ ეტაპში მოსახვედრად მაინც იბრძოლებს“ — ეს სიტყვები ვლადიმერ ბოისამ ამ გუნდების პირველი მატჩის შემდეგ გვითხრა, რომელიც სლოვენიაში გაიმართა და ჩვენებურთა „სლოვანის“ დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ბოისას ნათქვამი გამართლდა, შინ დაამარცხდა „ტრიესტმა“ „სლოვანი“, თანაც ისეთი სხვაობით, როგორც შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სჭირდებოდა. ორი მატჩის ჯამში, ჩვენთვის სამწუხაროდ, სწორედ „სლოვანი“ გამოვიდა წაგებული.

შეხვედრის პირველივე მეოთხედმა ცხადყო, რომ „სლოვანს“ კარგი დღე არ დაადგებოდა. საწყისი ათწუთეული 7 ქულით მოიგო „ტრიესტმა“, მერე და მერე, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ იტალიელები მიზანს, ტაიმის ბოლოს ისეთი ანგარიში დაფიქსირდა, როგორიც მასპინძელ გუნდს აძლევდა ხელს — 53:35.

18 ქულით ჩამორჩენა ფსიქოლოგიურად დამთრგუნველი აღმოჩნდა „სლოვანისთვის“, ბოისას, უგრეხელიძისა და ცქიტიშვილის გუნდმა ვერც შესვენების შემდეგ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. იტალიელებმა კი პირიქით, მეტად გაილაღეს და თამაშის იშტაზე მოსულებმა მესამე მეოთხედშივე მოუთავეს ხელი მეტოქეს. უკანასკნელი ათწუთეულის დაწყებამდე ანგარიში 72:52 იყო, ორრაუნდიანი ბრძოლის გამარჯვებული კი — გარკვეული. დარჩენილ დროში „სლოვანს“ სულ ცოტა, 13 ქულის გაქვითვა მართებდა, რაც, ცხადია, ვერ მოახერხა და კორაჩის თასზე ასპარეზობას გამოეთხოვა.

ბოისა, რომელიც ამ გუნდების სლოვენიური მატჩის გმირად შერაცხეს, საპასუხო შეხვედრაში ვერაფრით გამოირჩა. ვოვამ 8 ქულა კი გააკეთა, მაგრამ სამქულიანები და საჯარიმოები ძალიან ცუდად ისროლა. სამიდან სამივე სამიანი გააცუდა და 10 შესაძლებლობიდან მხოლოდ 4 საჯარიმო გამოიყენა.

ვერც უგრეხელიძემ ისახელა თავი. იგი, როგორც ამ ბოლო დროს ხდება, „სლოვანის“ ძირითად ხუთეულში იყო, მაგრამ მხოლოდ ორი ქულით შეეშველა გუნდს. მართალია დათომ ხუთი მოხსნაც მიითვალა, მაგრამ მთლიანობაში ფარი აშკარად დათმო „სლოვანმა“, რაც ამ გუნდის ქართველი ცენტრის, უგრეხელიძის არცთუ კარგი თამაშით აიხსნება.

აი, ცქიტიშვილზე კი ვეჭვობთ, ცუდად მოუბრუნდეს ენა „სლოვანის“ მთავარ მწვრთნელ ტომო მაჰორიჩს. ნიკამ მოედანზე 13 წუთი დაყო და 9 ქულას მოუყარა თავი.

თავისი გუნდის მარცხის მიზეზი გუშინ ვლადიმერ ბოისამ შემდეგნაირად ახსნა:

„პირველ და მეორე მეოთხედში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მეტოქე მეტისმეტად აგრესიულად იყო განწყობილი და მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანა. პირწმინდად დავთმეთ ფარი და გარედან შეტევებს მივეძალეთ, მაგრამ ბედი არ გვწყალობდა, წარმოუდგენლად ბევრი სამქულიანი და საჯარიმო ავაცილეთ. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი გუნდის ახალგაზრდულმა ასაკმაც, „სლოვანის“ ბევრ კალათბურთელს ამ დონეზე თამაშის გამოცდილება არ ჰქონდა და ფსიქოლოგიურად გატყდნენ, საკუთარი ძალების ველარ ირწმუნეს. ნამდვილად არ გახლავთ „ტრიესტი“ იმ კლასის, 18 ქულით მოეგო „სლოვანისთვის“, მაგრამ რაღაც დაგვემართა, არავის გამოგვივიდა თამაში, ისეთი პოზიციებიდან გვიცუდდებოდა ნასროლი, ახლაც გაკვირვებული ვარ. ყოველივეს საკუთარი კედლების ფაქტორიც დაერთო, იტალიელები მხურვალედ ქომაგობდნენ თავისიანებს, დარბაზი გადაჭედილი იყო. ისე, ერთი-ორი უხეში შეცდომა მსაჯმაც დაუშვა, სადაო ეპიზოდებში მასპინძელთა მხარე დაიჭირა.

მატჩის შემდეგ ტომო მაჰორიჩს დანა პირს არ უხსნიდა. ცხადია, ძალიან გაბრაზებული იყო, მაგრამ მოთამაშეებთან სიტყვა არ დაუძრავს. გზაში გვითხრა, ახლა მთელი შესაძლებლობები სლოვენიის ჩემპიონატში უნდა წარმოვაჩინოთო“.

**გიორგი ბიქაშვილი**


REUTERS მადრიდიდან



REUTERS მადრიდიდან

# გუშინწინ, ბერნაბეუზე

„რეალის“ ფანებმა „სპორტინგის“ დამხობა სათანადოდ აღნიშნეს და აპრილში საძაგელი „ბარსას“ ჩამოსვლისთვის მზადებასაც აქედანვე შეუდგნენ. ცალკე მოჩანს ტიკინა, გუნდის ატრიბუტიკით მორთული და ფრიად სასაცილო, ხოლო მეორეგან — უსიმეტრიოდ გაფორმებული ტრანსპარანტი, რომელიც ფიგუს სიყვარულს უცხადებს, „ლიდსს“ კიდევ მადლობას. ცხადია, რატომაც...

# გრძელდება...


REUTERS ნიუ იორკიდან

ნამდვილად გრძელდება ნიუიორკული საბეისბოლო დერბი „იანკიზსა“ და „მეთსს“ შორის „მსოფლიო სერიის“ მოსაგებად. „შიი სტედიუმზე“ მეოთხე მატჩისას, ტრადიციულად, რიგი აღსანიშნავი ამბები მოხდა. მაგალითად, პუბლიკას იემენიდან ჩამოსული ხუთი ამერიკელი მეზღვაური წარუდგინეს, რომლებიც 17 თანამოძმისგან განსხვავებით იქ მომხდარ ინციდენტს გადაურჩნენ. ხალხი მათ მხურვალედ მიესალმა, მერე კი იყო თავად თამაში, მშვენიერი საყურებელი და ფოტოზე ნაჩვენები ფრაგმენტის მაგვარებით სავსე.


REUTERS სიდნეიდან

# საშუპის წონ

პარაოლიმპიადა კვირის ბოლომდე გასტანს. 125 ქვეყნის 4 000-ზე მეტი ინვალიდი სპორტსმენი ჯერაც აგრძელებს მედლისძიებას და მათგან ერთ-ერთი ფრანგი ლუდივინ ლუაზუ იყო, მაგრამ მხოლოდ იყო. მადამ ლუაზუმ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვის საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა.


REUTERS ნიუ იორკიდან

# გამართლებული

სრულიად უბრალო ფოტოა, ამერიკულად მობურთავე, „პენ სტეიტის“ ქუარტერბეკი, რაშარ კეისი ბურთით ხელში „ილინოისის“ ჩათვლის ზონისკენ მირბის, მაგრამ მისი მოედანზე გამოსვლის წინაისტორიაა გამოსარჩევი: თავისუფლად შეიძლებოდა ამ საპატიო ადგილის ნაცვლად ვირის აბანოს მოედანზე ერბინა. კეისსა და მის მეგობარ დესმონდ მილერს ღამის კლუბში მორიგე პოლიციის ოფიცრის გალახვა ბრალდებოდათ და სასამართლომ გასამართლებელი განაჩენი თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე გამოიტანა, ამიტომ კეისის არ ემჩნევა, მაგრამ გულიდან ლოდმოხსნილი მოძრაობს.


REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge